

# სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენინგებისათვის

სასწავლო კურსისათვის თემაზე:  
„ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები  
საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“

# სახელმძღვანელო მომზადებულია პროექტის „SHIELD - ოჯახში ძალადობის პრევენციისა და დაძლევისათვის საქართველოში“ ფარგლებში

სახელმძღვანელო მომზადებულია ავტორთა ჯგუფის მიერ:  
**გია გოგიბერიძე (რედაქტორი);**  
**მაკა ფერაძე; გივი მიქანაძე; ნოდარ სააკაშვილი**

სტილის რედაქტორი და კორექტორი: **თინათინ მოსიაშვილი**

ილუსტრაციების ავტორი: **ზაალ სულაკაური**



პროექტი „SHIELD – ოჯახში ძალადობის პრევენციისა და დაძლევისათვის საქართველოში“ ხორციელდება „გაეროს ქალთა ორგანიზაციის“ (UN WOMEN) მიერ შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) დაფინანსებით, ა/ო „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის“ ორგანიზებით

## რეცენზია

ოჯახური ძალადობის მოვლენა თანდათან გამოდის საზოგადოებაში დამკვიდრებული ტაბუირებული საკითხთა ჩამონათვალიდან. ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ქართული საზოგადოება მზად არის, ხმა აიმაღლოს ზოგადად ძალადობის, განსაკუთრებით კი ოჯახში ძალადობის ფაქტების წინააღმდეგ. სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრები თავს აღარ იკავებენ კომპეტენტური ორგანოებისათვის ძალადობის ფაქტების შესახებ ინფორმაციის დროულად მიწოდებისგან, მიუხედავად იმისა, ისინი ოჯახის წევრები არიან, თუ ძალადობის მოწმეები.

აღნიშნული ტენდენციის ზრდა უდავოდ ხელს უწყობს სამართლებრივი საზოგადოების ჩამოყალიბებას. თუმცა აუცილებელია აღინიშნოს, რომ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საზოგადოების ჩართულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივია, საქართველოს პოლიციელთა მაღალკვალიფიციური მოქმედება ძალადობის თითოეულ ფაქტზე. პოლიციელთა პროფესიონალიზმზე დამოკიდებულია ოჯახში ძალადობის დროს კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმების მოქმედების ეფექტურობა, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო აამაღლებს პოლიციისადმი საზოგადოების ნდობას.

წინამდებარე სახელმძღვანელოში სისტემურად არის დამუშავებული ოჯახში ძალადობის პრობლემეტიკა. იგი განკუთვნილია ამ საკითხების სწავლებით დასაქმებული ინსტრუქტორებისათვის. სახელმძღვანელო წინა გამოცემებისაგან, პირველ ყოვლისა, იმით განსხვავდება, რომ მასში მთლიანად არის გათვალისწინებული ბოლო პერიოდში განხორციელებული სამართლებრივი ცვლილებები. გარდა ამისა, სახელმძღვანელოში განხილულია ოჯახში ძალადობის არსი და მისი ნეგატიური ასპექტები, თეორიები ოჯახში ძალადობის შესახებ. სახელმძღვანელოში მოყვანილია მისი დამუშავების პერიოდისათვის აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოში არსებული სტატისტიკური მონაცემები. გამოცემაში საუბარია ოჯახში ძალადობის სუბიექტებზე, რისკფაქტორებზე, ოჯახში ძალადობის დინამიკასა და, საერთოდ, მის განმაპირობებელ ფაქტორებზე. მასში დეტალურად არის განხილული აღნიშნულ ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირებისა და მსხვერპლთა სოციალური დაცვის მექანიზმები. წიგნში ჩამოყალიბებულია მეთოდოლოგიური მითითებები ოჯახში ძალადობის ფაქტების, აგრეთვე ძალადობის, სრულწლოვანი და არასრულწლოვანი მსხვერპლის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, სახელმძღვანელო ხელს შეუწყობს აღნიშნული საკითხებით დასაქმებული პოლიციელების მიერ პრობლემის ფუნდამენტურ შესწავლას და ეფექტურს გახდის მათ საქმიანობას. სახელმძღვანელოში გამოყენებული ილუსტრაციები კიდევ უფრო გასაგებს და ადვილად აღსაქმნელს ხდის მასში წარმოდგენილ საკითხებს. ნიგნი საინტერესო საკითხავი იქნება არა მხოლოდ აღნიშნულ პრობლემაზე მომუშავე სამოქალაქო ინსტიტუტებისთვის, არამედ ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

**ნატია დეკანოიძე**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს  
აკადემიის რექტორი

# შინაარსი

1. შესავალი	7
2. თავი I. ოჯახში ძალადობის არსი, ფორმები, გამოვლინება, ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სტატისტიკა	9
1.1. ოჯახში ძალადობის არსი და მისი ნეგატიური ასპექტები	9
1.2. ოჯახში ძალადობის შესახებ არსებული ძირითადი თეორიები	11
1.3. ოჯახში ძალადობის შესახებ არსებული სტატისტიკა და მისი რეგულირების ძირითადი საკანონმდებლო ტენდენციები	16
1.4. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საქართველოში მოქმედი ძირითადი სამართლებრივი აქტების მიმოხილვა	17
1.5. ოჯახში ძალადობის გამოვლინების ფორმები	22
3. თავი II. ოჯახში ძალადობის სუბიექტები, რისკ-ჯგუფები, დინამიკა და განმაპირობებელი ფაქტორები	24
2.1. ოჯახში ძალადობის სუბიექტები და რისკ-ჯგუფები	24
2.2. ოჯახში ძალადობის განმაპირობებელი ფაქტორები (მიზეზები) და დინამიკა	27
4. თავი III. ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირებისა და სოციალური დაცვის მექანიზმები	35
3.1. ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირების მექანიზმები	35
3.2. დამცავი და შემაკავებელი ორდერები	38
3.3. პასუხისმგებლობა დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის	43
3.4. პოლიციის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების თვალსაზრისით	45
3.5. მოძალადისათვის იარაღის ჩამორთმევის (იარაღით სარგებლობის შეზღუდვის) წესი და პირობები	50
3.6. ოჯახში ძალადობის პრევენცია და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციალური დაცვის მექანიზმები	52
5. თავი IV. ოჯახში ძალადობის ფაქტის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის იდენტიფიცირების საკითხები	56
4.1. პოლიციის მიერ ოჯახში ძალადობის ფაქტის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის პირველადი იდენტიფიცირების საკითხები	56
4.2. ოჯახში ძალადობის ფორმების იდენტიფიცირება	66
4.3. ოჯახში ძალადობის არასრულწლოვან მსხვერპლთა იდენტიფიცირება	70
4.4. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირება ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის მიერ	76

<b>6. გამოყენებული ლიტერატურა</b>	78
<b>7. დანართი №1. სასწავლო გეგმა თემაზე: „ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“</b>	82
<b>8. დანართი №2. სასწავლო მოდული თემაზე: ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით</b>	91
<b>9. დანართი №3. ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სტატისტიკა</b>	103
<b>10. დანართი №4. ძალადობის ბორბალი</b>	113

## შესავალი

ოჯახში ძალადობა თავისი არსით ერთ-ერთი ყველაზე რთული, სპეციფიკური და გავრცელებული სოციალურ-სამართლებრივი პრობლემაა, რომელიც სამართალდარღვევათა რიგ ნიშნებს შეიცავს. კონფლიქტი უშუალოდ შეეხება თანაცხოვრებით ერთმანეთთან დაკავშირებულ პირებს, ატარებს ლოკალურ და ჩაკეტილ ხასიათს და მის წინააღმდეგ ბრძოლა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის არსებული საერთო პრაქტიკული გამოცდილებით ნაკლებ ეფექტურია. ოჯახში ძალადობის სამართალდარღვევებთან ბრძოლის სპეციფიკურობა მდგომარეობს, როგორც მისი გამოვლენის სირთულეში, ისე მის წინააღმდეგ გამოსაყენებელი იძულებითი ღონისძიებების ეფექტურ და მართლზომიერ შერჩევაში.

აღნიშნული სპეციფიკურობა აიძულებს სახელმწიფოებს დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა, ზოგჯერ არაორდინალური ღონისძიებები, რომლებიც პრობლემის დაძლევის ან მისი დონის შემცირებისაკენ იქნება მიმართული და რომლებიც სახელმწიფო მოხელეთა და საზოგადოების წევრთა (საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთა) სოციალური პარტნიორობისა და ურთიერთთანამშრომლობის პრინციპებზე იქნება დაფუძნებული.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების გატარებას ასევე უკავშირდება იმ პირთა ცნობიერების ამაღლება, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ აღნიშნული სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს, პირველ ყოვლისა, შეეხება პოლიციის თანამშრომლებს, რომელთაც ყველაზე პირველად უწევთ შეხება ოჯახში ძალადობის ფაქტებთან. შესაბამისად, ოჯახში ძალადობის პრობლემის არსის, მისი სოციალური საშიშროების, მის წინააღმდეგ გამოსაყენებელი ღონისძიებებისა და პრევენციული მექანიზმების შესახებ პოლიციის თანამშრომელთა გაცნობიერებასა და მათთვის მსგავს საკითხებზე სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელ კომპლექსურ ღონისძიებათა უმნიშვნელოვანეს და ეფექტურ ნაწილად უნდა განვიხილოთ.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება წარმოდგენილი სახელმძღვანელო, რომელშიც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, უცხოური ანალოგიისა და არსებული პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით განხილულია ოჯახში ძალადობის პრობლემის არსი, მისი სოციალური საშიშროება, ძალადობის ფორმები, დინამიკა და განმაპირობებელი ფაქტორები, ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირებისა და სოციალური დაცვის მექანიზმები,

ასევე პოლიციის ფუნქციები და მოვალეობები ოჯახში ძალადობის ფაქტებთან ბრძოლის თვალსაზრისით.

სახელმძღვანელო დახმარებას გაუწევს პოლიციის თანამშრომლებს, ასევე ყველა დაინტერესებულ პირს ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სასწავლო კურსის გავლისას. იგი შინაარსობრივი და სტრუქტურული თვალსაზრისით უკავშირდება შესაბამისი სასწავლო კურსით გათვალისწინებულ საკითხებს და წარმოადგენს აღნიშნული საკითხების შესწავლის თეორიულ საფუძველს.



# თავი I.

## ოჯახში ძალადობის არსი, ფორმები, გამოვლინება, ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სტატისტიკა

---

### 1.1. ოჯახში ძალადობის არსი და მისი ნეგატიური ასპექტები

ოჯახში ძალადობის თემა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მრავალ ქვეყანაში ტაბუირებული იყო, რადგან მსგავსი საკითხების სააშკარაოზე გამოტანა ადამიანების პირად ცხოვრებაში ჩარევად განიხილებოდა. თუმცა, საზოგადოებაში თანდათან მკვიდრდებოდა აზრი, რომ გაუმართლებელია ოჯახში ძალადობის პრობლემის იგნორირება, მასზე თვალის დახუჭვა, რადგან ძალადობა საფრთხეს უქმნის ადამიანების უსაფრთხოებას, მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. ის ისეთივე დანაშაული და საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი საფრთხეა, როგორც ძალადობა ოჯახის გარეთ. ამასთან, ოჯახში ძალადობა მხოლოდ კონკრეტული ოჯახის ცალკეული წევრების პრობლემა არ არის, ასეთი კონფლიქტები ნეგატიურად მოქმედებს ოჯახის სხვა წევრებზე, განსაკუთრებით არასრულწლოვან პირებზე, იწვევს მათი ფსიქიკისა და ცნობიერების დამახინჯებას. რაც ზოგადად საზოგადოებაში არაჯანსაღი სიტუაციის ჩამოყალიბებას განაპირობებს.

მეცნიერული გამოკვლევებით დადგენილია, რომ ოჯახში ძალადობა ყველა ტიპის საზოგადოებისა და კულტურის პრობლემაა. იგი თანაბრად აღმოცენდება, როგორც საზოგადოების განვითარების ან განათლების შედარებით დაბალ საფეხურზე მყოფ, ისე განათლებულ და განვითარებულ ნაწილში.

უნდა აღინიშნოს, რომ, სიმწვავის მიუხედავად, ოჯახში ძალადობის ფაქტები უმეტესად მაინც ჩრდილშია მოქცეული. ძალადობის მსხვერპლებს არ სურთ განცდილის შესახებ საჯარო საუბარი, პოლიციაში (სასამართლოში) განცხადება, რცხვენიათ, ან არ სურთ ოჯახის „ლალატი“, ეშინიათ მოძალადის მხრიდან შურისძიებისა და აგრესიისა, არ სჯერათ სამართალდამცავი ორგანოების ეფექტურობის. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც ნათესავები მსხვერპლს ადანაშაულებენ მომხდარში. თუ ამას ემატება სამართალდამცავი ორგანოების არაეფექტური მოქმედება, მსხვერპლი, ფაქტობრივად, მარტო რჩება თავის მსუხარებასა და ტკივილთან. შესაბამისად, ოჯახში ძალადობის პრობლემის დაძლევისათვის საზოგადოების აქტიურობას, საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმებისა და სამართალდამცავი სტრუქტურების არსებული რესურსების

მიზანმიმართულ, ქმედით და ურთიერთშეთანხმებულ გამოყენებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. წინააღმდეგ შემთხვევაში პრობლემის გაღრმავება და კონფლიქტების შემდგომი ესკალაცია გარდაუვალი გახდება.

როდესაც საუბრობენ ოჯახში ძალადობის ნეგატიურ მხარეებზე, მკვლევართა უმეტესობა სხვა ფაქტორებთან ერთად მიუთითებს იმ სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებზეც, რასაც ძალადობისაგან გამონვეული დიდი დანახარჯები იწვევს და რაც, რომელსაც წესი, გაუმართლებელ ხარჯებად განიხილება. ხარჯები, რამდენიმე თვალსაზრისით კლასიფიცირდება, კერძოდ,

**პირდაპირი დანახარჯი**, რომელიც მოიცავს სამედიცინო მომსახურების, ფსიქოლოგიური დახმარების, მსხვერპლის თავშესაფარში ყოფნის, სისხლის სამართლებრივი დევნის, სასამართლო განხილვასთან დაკავშირებულ და სხვა მსგავს ხარჯებს.

**არაპირდაპირი დანახარჯი**, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის შემდგომ გართულებებთან (მსხვერპლის დეპრესიულ მდგომარეობასთან და მის თანმდევ უარყოფით შედეგებთან, ნარკოტიკებისადმი, ალკოჰოლისადმი მის მიდრეკილებასთან, გახშირებულ თვითმკვლევლობებთან, ცალკეულ დაავადებათა - კარდიოლოგიურ, სიმსივნურ, ტუბერკულოზურ, სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებათა შესაძლო წარმოშობასა და მკურნალობასთან).

**ეკონომიკური მულტიპლიკატორის ეფექტი**, რომელიც მოიცავს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ნაკლებ დასაქმებულობას, სამუშაოზე მათი პროდუქტიულობის დაცემასა და დაბალ შემოსავლებს. მაგალითად, აშშ-ში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ძალადობის მსხვერპლი ქალების 30%-მა ოჯახში ძალადობის მიზეზით სამსახური დაკარგა. ამასთან, ქალები, რომლებიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლები არიან, სხვებთან შედარებით ორჯერ ნაკლებს გამოიმუშავენ.

**სოციალური მულტიპლიკატორის ეფექტი**, რომელიც მოიცავს ძალადობის თაობათაშორის გავლენას ბავშვებზე, სოციალური კაპიტალის დაგროვების შემცირებას, ცხოვრების დონის გაუარესებასა და დემოკრატიულ პროცესებში ნაკლებ მონაწილეობას. ამ ეფექტის რაოდენობრივი გამოსატყა რთულია, თუმცა, იგი სერიოზულ გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე.

ოჯახში ძალადობის ძირითადი მახასიათებელია მოძალადის მიერ მსხვერპლის (უმეტეს შემთხვევაში ქალის ან არასრულწლოვანის) ნივთად აღქმა და საკუთარი მანიპულაციების ობიექტად გადაქცევა. მოძალადე ცდილობს მსხვერპლის დამორჩილებას და აიძულებს, იმოქმედოს მისი ნება-სურვილის მიხედვით. ამასთან, საყურადღებოა, რომ, ოჯახში ძალადობა განიხილება არა როგორც ცალკეული კონფლიქტების ერთობლიობა, არამედ მორჩილებაზე აგებული ურთიერთობების მთლიანი კომპლექსი, სადაც ოჯახის ერთმა წევრმა იცის, რომ იგი დაზღვეული არ არის ოჯახის მეორე წევრის აგრესიისგან.

ამასთან, ოჯახში ძალადობა შემდეგი ძირითადი მახასიათებლებით გამოირჩევა:

**1. ძალადობა ხდება გარკვეული განზრახვით.** როგორც წესი, საკუთარ საქციელს მოძალადე „კეთილი“ ზრახვებით ამართლებს, სინამდვილეში, მისი განზრახვა სულ სხვაგვარია, მიუხედავად იმისა, აცნობიერებს ამას თუ არა მოძალადე.

**2. ოჯახში ძალადობის არსი,** უპირველეს ყოვლისა, ადამიანის პირადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვაში მდგომარეობს;

**3. ოჯახში ძალადობას ახასიათებს ძალთა ასიმეტრია.** ერთი მხარე (მოძალადე) მეორე მხარის (მსხვერპლის) მიმართ მატერიალურ, ფიზიკურ, ინტელექტუალურ ან ემოციურ უპირატესობას ფლობს და ცდილობს დაიმორჩილოს იგი;

**4. ძალადობას მოაქვს ზიანი.** ზიანი შეიძლება იყოს ფიზიკური, ეკონომიკური, ემოციური. თუ ფიზიკური ზიანი ადვილად შესამჩნევია, ფსიქოლოგიური ზიანის განსაზღვრა ძალიან რთულდება.

აღსანიშნავია, რომ ოჯახში ძალადობის უმთავრესი მახასიათებელია ის გარემოება, რომ ძალადობა არ არის ერთჯერადი ქმედება, აქვს ციკლური ბუნება და ახასიათებს ზრდის ტენდენცია, რაც გამოიხატება ძალადობის გაცილებით უხემი ფორმებით გამოვლინებაში, ძალადობის ინტენსივობისა და სიხშირის ზრდაში.

ნიშანდობლივია, რომ სოციოლოგები ოჯახში ძალადობის წარმოქმნის სათავეს რიგ შემთხვევაში ოჯახში ჩამოყალიბებულ არასწორ წეს-ჩვეულებებშიც ხედავენ, რომელიც ხშირად თაობიდან თაობას გადაეცემა. მაგალითად, თუ ვაჟი ხედავს, როგორ სცემს მამა დედას, ზრდასრულობის ასაკში ის ასეთ ქცევას საკუთარ ოჯახში იმიორებს.

## **1.2. ოჯახში ძალადობის შესახებ არსებული ძირითადი თეორიები**

ოჯახში ძალადობის შესახებ არსებულმა ზემოთ აღნიშნულმა შეხედულებებმა საფუძველი დაუდო ოჯახში ძალადობის სხვადასხვა თეორიებს, რომლებიც მე-20 საუკუნეში ჩამოყალიბდა.

1970-იან წლებში აშშ-ში დაიწყო **ნაცემ ქალთა მოძრაობა**. მათ მიერ ჩამოყალიბებული თეორია, თუ რატომ სცემენ მამაკაცები ქალებს ეფუძნებოდა **ფსიქოპათოლოგიას**. ამ თეორიის მიხედვით, მამაკაცები, რომლებიც თავიანთ ცოლებს ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ, ფსიქიკურად დაავადებულნი იყვნენ და მათი განკურნება ნამლების ან ფსიქიატრიული მკურნალობის საშუალებით შეიძლებოდა. თუმცა, მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მოძალადეთა ყოფაქცევა არ შეესაბამებოდა ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანების მახასიათებლებს. მოძალადეები თავს ესხმიან მხოლოდ მათ უახლოეს პარტნიორებს ან ცოლებს, ხოლო ფსიქიკურად დაავადებული, მაგალითად, შიზოფრენიით დაავადებულები, ძალადობას მხოლოდ თავიანთი უახლოესი პარტნიორების მიმართ არ ავლენენ.

თავდაპირველი კვლევები ნაცემ ქალებსაც ასევე ფსიქიკურად დაავადებულად განიხილავდა, მაგრამ ამ კვლევების შედეგები სრულყოფილი არ იყო და არასრულფასოვნად უნდა ჩაითვალოს, რადგან მკვლევარე-

ბი მხოლოდ იმ ქალების შემომნებით შემოიფარგლებოდნენ, რომლებიც ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში იყვნენ მოთავსებული. მოძალადეებს კი, რომლებიც თავიანთი ცოლებისგან განსხვავებით, მშვიდნი და სანდონი ჩანდნენ, ეკითხებოდნენ მათი პარტნიორების მდგომარეობის გამომწვევი მიზეზების შესახებ, რითიც აძლევდნენ შესაძლებლობას, მინიმუმამდე შეემცირებინათ ან საერთოდ უარი ეთქვათ პარტნიორების მიერ მოყოლილი ფიზიკური შეურაცხყოფის ამბებზე. სინამდვილეში, ნაცემი ქალები ფსიქიკურად დაავადებული არ იყვნენ და ბევრი მათგანი არასწორი დიაგნოზის გამო მოათავსეს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

მოგვიანებით ჩამოყალიბდა ახალი თეორია ძალადობასთან დაკავშირებით. მკვლევარები ამტკიცებდნენ, რომ მამაკაცები იმიტომ სცემდნენ თავიანთი ცოლებს, რომ მათ ეს ძალადობა ბავშვობისას თავიანთი ოჯახებში ისწავლეს, ხოლო ქალები იმიტომ ეძებდნენ მოძალადე მამაკაცებს, რომ მათ ნანახი ჰქონდათ, თუ როგორ სცემდა მამა დედას. ეს იყო „შესწავლილი ქცევის“ ძალადობის თეორია. თუმცა, ქალები, რომლებიც ოჯახური ძალადობის მონმენი გახდნენ, ამგვარი ძალადობის მსხვერპლი ზრდასრულ ასაკში აღარ ხდებიან. ოჯახური ძალადობის ფონდის მიერ ბოლო დროს ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ბავშვობაში ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალები, შესაძლებელია, ზრდასრულ ასაკშიც გახდნენ ძალადობის მსხვერპლნი.

გამოკვლევა ცხადყოფს, რომ ბიჭები, რომლებიც ძალადობრივ ოჯახში გაიზარდნენ, შვიდჯერ უფრო მეტად არიან მიდრეკილნი ცოლების მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის გამოვლენისკენ. თუმცა, ასევე აღსანიშნავია, რომ ბევრი მამაკაცი, რომელიც ბავშვობაში ძალადობის მონმე იყო, ფიცს დებს, არასოდეს მიმართოს ძალადობას და არ გაიზარდოს მოძალადედ. ფიზიკური შეურაცხყოფის ნახვასა და თავად ფიზიკურ შეურაცხყოფას შორის კავშირის უფრო შეჯერებული ახსნა ასე შეიძლება: ნახვა ინფორმაციის ერთ-ერთი წყაროთაგანია. მამაკაცები ინფორმაციას იღებენ ფართო საზოგადოებიდანაც, სადაც მიღებულია, რომ კაცმა ცოლი უნდა გააკონტროლოს და ეს კონტროლი ძალადობის გამოყენებით დაამყაროს. მოძალადეთა აღმკვეთ პროგრამებში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ბიჭებმა, რომლებიც ძალადობის მონმენი გახდნენ და მოძალადეებად გაიზარდნენ, ძალადობაზე უფრო მეტი ისწავლეს; მათ მიიღეს ინფორმაცია მამაკაცებისა და ქალების შესაბამისი როლების შესახებ, რამაც მათ ზრდასრულობისას ძალადობრივი საქციელისკენ უბიძგა.

„შესწავლილი ქცევის“ თეორიას მჭიდროდ უკავშირდება თეორიები, რომელთა მიხედვით, **ძალადობა კონტროლის დაკარგვის შედეგია**. მაგალითად, ბევრს მიაჩნდა, რომ მამაკაცები მაშინ არიან მოძალადენი, როდესაც სვამენ, რადგან ალკოჰოლი მათ კონტროლს აკარგვინებს. სხვები კი ამტკიცებდნენ, რომ მამაკაცების ძალადობა მათი რისხვისა და იმედგაცრუების გაკონტროლების უუნარობის შედეგია. ამ თეორიის თანახმად შექმნილი საზოგადოებრივი მოლოდინი ხელს უშლიდა მამაკაცებს რისხვისა და იმედგაცრუების გამოხატვაში. ეს გრძნობები გროვდებოდა მანამ,

სანამ მამაკაცი დაკარგავდა კონტროლს და ძალადობის გამოყენებით ამ გრძნობებისგან გათავისუფლდებოდა. „კონტროლის დაკარგვის“ თეორია ენინაალმდეგება მოძალადის საქციელს. მოძალადე განსაზღვრული ადამიანების მიმართ განსაზღვრულ დროსა და ადგილას ძალადობს გარკვეული სიფრთხილით. ის საკუთარი „ძალადობრივი საქციელის შესახებ წესებისა და კანონების“ მიხედვით მოქმედებს: პარტნიორს უფრო ხშირად მაშინ სცემს, როცა მარტონი არიან, ან ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ფიზიკური შეურაცხყოფის ხილული ნიშნები არ დატოვოს.

მოძალადეები ტაქტიკასაც ფრთხილად ირჩევენ – ზოგი საკუთრებას ანადგურებს, ზოგი მუქარას იყენებს, სხვები ბავშვებს ემუქრებიან. ამ გადაწყვეტილებებით „მოძალადეები ხშირად აკეთებენ არჩევანს, რას უზამენ მსხვერპლს და რას არა, თვით მაშინაც კი, როდესაც ამტკიცებენ, რომ სრულ გონებაზე არ არიან ან საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგეს“. გადწყვეტილებების მიღების ეს უნარი უჩვენებს, რომ მოძალადეები სინამდვილეში აკონტროლებენ თავიანთ ძალადობრივ საქციელს.

„შეცნობილი უმწეობის“ სახელით ცნობილი თეორია ერთობ პოპულარული გახდა. ამერიკელმა ფსიქოლოგმა ლეონორ უოლკერმა შეისწავლა იმ ქალთა ყოფაქცევა, რომლებიც მოძალადე ქმრებთან თანაცხოვრების გაგრძელებას არჩევენ. უოლკერის დაკვირვებით, ქალების გადწყვეტილება განპირობებულია იმით, რომ მუდმივი შეურაცხყოფა მათ გაყრისათვის საჭირო ნებისყოფას ართმევს. თუმცა, „შეცნობილი უმწეობის“ თეორია ვერ ხსნის იმ ფაქტს, რომ არსებობს არაერთი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული მიზეზი, რომლის გამოც ქალმა, შესაძლოა, არჩიოს მოძალადე ქმართან დარჩენა. ქალს ამისათვის ხშირად გონივრული მიზეზები აქვს: კერძოდ, ეშინია მოძალადე ქმრისგან ანგარიშსწორების, როგორც მისი, ასევე ბავშვების მიმართ, ან შესაძლებელია, არ აქვს საკუთარი თავის ან ბავშვების ფინანსური უზრუნველყოფის საშუალება. უფრო მეტიც, შესწავლილი უმწეობის თეორია შეუთავსებადია იმ ფაქტთან, თითქოს ქალები, რომლებიც ძალადობრივ ურთიერთობებს გადაურჩნენ, ხშირად ცდილობენ, დატოვონ მოძალადე ქმარი და თითქმის ყველა შემთხვევაში ძალზე გონივრულად მოქმედებენ, რათა მინიმუმამდე დაიყვანონ ბავშვებისა და თავად მათ წინააღმდეგ მიმართული ძალადობა.

ნაცემი ქალები არ ცხოვრობენ „შეცნობილი უმწეობის“ მდგომარეობაში. პირიქით, ისინი ხშირად მიმართავენ „დარჩენის, წასვლისა და დაბრუნების“ მეთოდს, რომლის პროცესშიც ქალები იღებენ აქტიურ და გონივრულ გადწყვეტილებებს, რომლებიც მათ ცვალებად პირობებზეა დამოკიდებული: ისინი ტოვებენ ქმრებს მოკლე ხნით, რათა თავი დააღწიონ ძალადობას და ხაზი გაუსვან თავიანთ უკმაყოფილებას იმ იმედით, რომ ეს ბოლოს მოუღებს ძალადობას. დასაწყისში ისინი მაინცდამაინც არ ცდილობენ ქმრებთან ურთიერთობის შეწყვეტას, მოლაპარაკებაზე მიდიან, რათა არაძალადობრივ საფუძველზე აღადგინონ ურთიერთობა.

„შეცნობილი უმწეობის“ თეორია ეფუძნებოდა ნაცემი ქალების ვითომდა ისეთ საერთო თვისებებს, როგორიცაა, დაბალი თვითშეფასება, განმარტოებისკენ მიდრეკილება ან კონტროლის დაკარგვის გაუთავისებლო-

ბა. თუმცა, ამ თეორიის მომხრეებმა მხედველობაში არ მიიღეს ის ფაქტი, რომ აღნიშნული „თვისებები“, სინამდვილეში, შეიძლება ფიზიკური და ფსიქოლოგიური შეურაცხყოფის შედეგი იყოს.

„შეცნობილი უმწიბრის“ თეორიას მოჰყვა ფსიქოპათოლოგიის აღმოცენება. თეორეტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ქალები ძალადობრივ ურთიერთობაში რჩებოდნენ იმიტომ, რომ დაავადებული იყვნენ ხასიათის ანომალიით, რაც მათ უზიძგებდა, როგორც თვითგვემის საშუალება, მოეთმინათ შეურაცხმყოფელი ურთიერთობა. ბევრი იმ აზრსაც იზიარებდა, რომ ქალები მეუღლეებთან ერთად ალკოჰოლის მოყვარული იყვნენ და მათი მკურნალობა შესაძლებელი იყო ალკოჰოლზე დამოკიდებულების პროგრამებით.

ოჯახში ძალადობის ურთიერთობების განვითარებისა და დინამიკის განმსაზღვრელ თეორიას განეკუთვნება **ძალადობის ციკლის თეორია**. აღნიშნული თეორიის მიხედვით, ოჯახში ძალადობის განვითარება რამდენიმე ციკლისაგან შედგება და მოძალადისა და მსხვერპლის ერთმანეთისაგან განსხვავებულ ურთიერთობათა ფაზებით ხასიათდება.

ციკლის I ფაზა – **დაძაბულობის ზრდა** – ხასიათდება პიროვნებებს შორის დაძაბულობის ესკალაციით, სიტყვიერი შეურაცხყოფითა და მცირე ფიზიკური შეხლა-შემოსლით. ქალი ცდილობს, დაამშვიდოს პარტნიორი, რათა თავიდან აიცილოს სერიოზული კონფლიქტი. შიში და უსუსურობის განცდა მატულობს იმის მიხედვით, რამდენად სერიოზულია კონფლიქტი. I ფაზა შეიძლება გაგრძელდეს თვეები და წლებიც კი, სანამ დაძაბულობა პიკს არ მიაღწევს და სერიოზული ინციდენტი მოხდება.

ციკლის II ფაზა – **ძალადობის სერიოზული ინციდენტი** – შეიძლება გაგრძელდეს 2-დან 24 საათამდე. ამ ფაზის დროს ქალს არ შეუძლია რაიმე გავლენა მოახდინოს სიტუაციაზე გარდა იმისა, რომ თავი და საკუთარი შვილები დაზიანებისგან დაიცვას. ძალადობის I ფაზის შემდეგ ზოგიერთი ქალი უმაღლეს წყვეტს ურთიერთობას მამაკაცთან, მაგრამ განიცდის მძიმე სულიერ ტრამვას, რომელიც მას შესაძლებელია მთელი ცხოვრება გაჰყვეს. ქალების უმეტესობა კი ამ ფაქტს მალავს. ხშირ შემთხვევაში, სამწუხაროდ, ქალი თავის პარტნიორს შეურაცხყოფას პატიობს. აქ უკვე საქმე გვაქვს ციკლის III ფაზასთან – მამაკაცი ითხოვს პატიებას და იღებს კიდევ მას, ის იმავე წუთს უცებ იდეალური პარტნიორი ხდება, ხშირად ამ ფაზას „**თაფლობის თვის**“ **ფაზას** უწოდებენ. სწორედ აქ იმალება ამ პერიოდების სამიმროება. პერიოდების პროცესში მსხვერპლს უჩნდება ილუზია, რომ შეიძლება მის ცხოვრებაში ყველაფერი სიკეთისკენ შეიცვალოს – ამას თავისი ქცევით უმტკიცებს პარტნიორიც, მაგრამ გადის დრო და ურთიერთობებში დაძაბულობა კვლავ მატულობს, ძალადობის ციკლი მეორდება. ყოველი ციკლით ძალადობა სულ უფრო და უფრო მძიმე ფორმებს იღებს, ხოლო პერიოდების პერიოდი მცირდება და დროის განმავლობაში საერთოდ ქრება.

აღსანიშნავია, რომ ეს თეორია ბევრი კონფლიქტური ოჯახის გამოცდილებას არ შეესაბამებოდა. აღნიშნავდნენ, რომ ბევრ მსხვერპლ ქალს საერთოდ არ ჰქონია „თაფლობის თვის“ პერიოდი, სხვები კი ამტკიცებენ,

რომ დაძაბულობა თანდათანობით არ გროვდება, პირიქით ხშირად ხდებოდა დალაღობის არაპროგნოზირებადი, თითქმის შემთხვევით ეპიზოდებს.

„ძალადობის ციკლის“ თეორიას ხშირად აიგივებდნენ **„ოჯახური/ურთიერთობის კონფლიქტის“** მოდელთან. ამ მოდელის მიხედვით ორივეს, ქალსაც და მამაკაცსაც, ბრალი მიუძღვის ცოლ-ქმრული ურთიერთობისას წარმოშობილ ძალადობაში. აღნიშნული მოდელის თანახმად, ან ურთიერთობა ხასიათდება ორმხრივი ძალადობით ან ხშირ შემთხვევაში ცოლი ქმართან ზღვარგადასული კამათით ინვევს კონფლიქტს, რაც საფუძვლად ედება ქმრის ძალადობრივ რეაქციას. ქალის საქციელი მამაკაცში დაძაბულობის ზრდას ინვევს მანამ, სანამ მამაკაცი აფეთქდება და გამოავლენს მრისხანებას. ამას კი მოჰყვება ზემოთ განხილული „თავლობის თვის“ პერიოდი. „ორმხრივ ძალადობას“ დაფუძნებული თეორიები არ ითვალისწინებს იმას, რომ მამაკაცები და ქალები ძალადობას ახლო ურთიერთობაში სხვადასხვაგვარად იყენებენ. ნებისმიერი თეორია, რომლის მიხედვითაც, ძალადობა პარტნიორის მხრიდან პროვოცირებული რეაქციაა, სხვა არაფერია, თუ არა მსხვერპლის დადანაშაულების კიდევ ერთი ფორმა. გარდა ამისა, ეს მოდელი ვერ ხსნის შემთხვევებს, რომლებშიც ქმარი ფეთქდება ტრივიალურ საკითხებზე ან ინყებს ცოლის ცემას, როცა ამ უკანასკნელს სძინავს.

**„ძალაუფლებისა და კონტროლის ციკლის“** თეორია აღწერს იმ სხვადასხვა ტაქტიკას, რომლებსაც მოძალადე იყენებს თავის პარტნიორზე ძალაუფლებისა და კონტროლის შესანარჩუნებლად. ურთიერთობებში, სადაც ქმარი ცოლს სცემს, მოძალადე იყენებს ტაქტიკის ისეთ მოდელს, რომელიც აღწერილია „ძალაუფლება და კონტროლის ციკლში“, რომლის მიზანიც არის განამტკიცოს მის მიერ ფიზიკური ძალადობის გამოყენება. ძალადობრივი ინციდენტები კონტროლის დაკარგვის განყენებულ შემთხვევებს არ წარმოადგენს. ისინი არც რისხვისა და იმედგაცრუების პერიოდული გამოვლინებებია. პირიქით, თითოეული შემთხვევა არის იმ ყოფაქცევის ნიმუში, რომელიც გამიზნულია მსხვერპლზე ძალაუფლებისა და კონტროლის განხორციელებისა და შენარჩუნებისათვის.

**„ძალაუფლება და კონტროლის მექანიზმი“** ეფუძნება ვარაუდს, რომლის მიხედვითაც ძალადობის მიზანია სხვა ადამიანზე ძალაუფლებისა და კონტროლის განხორციელება. ის ელემენტები, რომლებმაც საფუძველი შეუქმნა წინამორბედ თეორიებს – ბავშვობაში ნანახი ფიზიკური შეურაცხყოფა, ან ალკოჰოლური ნივთიერების ბოროტად გამოყენება, – შეიძლება იყოს ხელშემწყობი ფაქტორები, მაგრამ არა ძალადობის მიზეზი. პირიქით, იმისათვის, რომ თავისი გაიტანოს, მოძალადე შეგნებულად იყენებს ამგვარ ტაქტიკას პარტნიორის დასამორჩილებლად.

უფრო მეტიც, ზოგიერთ კულტურაში მამაკაცების მხრიდან ძალადობას საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტები შემწყნარებლურად ეკიდებიან. ეს ფაქტი კი განაპირობებს ქალების დაქვემდებარებული როლისა და უთანასწორო მდგომარეობის განმტკიცებას.

აღნიშნული თეორიის თანახმად, **ძალადობა ბატონობისა და უთანასწორო ურთიერთობის ლოგიკური შედეგია** – ურთიერთობისა, რომელიც ყალიბდებოდა არა როგორც ზოგიერთი მამაკაცის მხრიდან საკუთარ ცოლზე ბატონობის პირადი არჩევანის ან სურვილის მიხედვით, არამედ იმით, თუ როგორ აყალიბებს საზოგადოება სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს მამაკაცებსა და ქალებს შორის ქორწინებისა (ოჯახის შექმნისა) და შემდგომ ოჯახურ ურთიერთობებში. მთავარი ამოცანა ისაა, როგორ გარემოს ქმნის ჩვენი, როგორც საზოგადოების, დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის მიმართ, ძალის გამოყენებისადმი შეუწყნარებლობისა თუ შემწყნარებლობის თვალსაზრისით.

### **1.3. ოჯახში ძალადობის შესახებ არსებული სტატისტიკა და მისი რეგულირების ძირითადი საკანონმდებლო ტენდენციები**

ოჯახში ძალადობის პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობისა და ადეკვატური სისტემის ფორმირებისათვის მნიშვნელოვანია შეფასდეს ოჯახში ძალადობის ფაქტების გავრცელების მასშტაბები და სტატისტიკა, რომელიც შესაბამის საკითხებზე ჩატარებული რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს.

სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლები ძირითადად ქალები და არასრულწლოვანები არიან. ამავე კვლევების მიხედვით, გამოკითხულ ქალთა 90%-ი განიცდის დამცირებას მეუღლისაგან (პარტნიორისგან), 85%-ს ცხოვრებაში ერთხელ მაინც განუცდია ფიზიკური ძალადობა, ხოლო 45% გამხდარა პარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი.

ნოშანდობლივია, რომ აშშ-ში არსებული სტატისტიკური მონაცემებით, 1992-1996 წლებში აშშ-ში ადგილი ჰქონდა ოჯახში ძალადობის 960 000 ფაქტს. ამასთან, აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს ანგარიშის მიხედვით, 1996 წელს მოკლულ ქალთა შორის 30% მოკლული იყო ქმრის ან მეგობარი მამაკაცის მიერ. კვლევების თანახმად, ბავშვთა მიმართ ძალადობას ოჯახში ძალადობის 30-60%-ს შეადგენს.

კანადაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, 16 წლის ასაკიდან ქალების 29% ახლანდელი თუ ყოფილი მეუღლის მხრიდან ფიზიკურ შეურაცხყოფას განიცდიდა. პოლონეთში ჩატარებული კვლევის მონაცემებით, განქორწინებული ქალების 60% ერთხელ მაინც გახდა ყოფილი მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი.

აღსანიშნავია 2009 წელს საქართველოში ჩატარებული კვლევა, ოჯახში ძალადობის ფაქტების, გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ, რომლის მიხედვით, საქართველოში ყოველი მეთერთმეტე ქალი მეუღლის (პარტნიორის) მხრიდან ფიზიკურ ძალადობას, 14% - ეკონომიკურ ძალადობას განიცდის, ხოლო 35,9% აღიარებს, რომ მეუღლის (პარტნიორის) მხრიდან ყოფილა კონტროლის მიზნით განხორციელებული ქმედების მსხვერპლი.



ოჯახში ძალადობის ფაქტების ზრდამ სახელმწიფოთა მხრიდან შესაბამისი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა გამოიწვია, კერძოდ, საჭირო გახდა პრობლემის აღიარება საკანონმდებლო დონეზე, ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად რეფერირების სისტემის, თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების შექმნა, იურიდიული და სამედიცინო დახმარების განწვევის სისტემის ფორმირება და სხვა. აშშ-ს მინესოტას შტატი იყო ერთ-ერთი პირველი, სადაც მიიღეს სპეციალური კანონი „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის შესახებ“. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად მითითებული კანონის რეგულირების სფეროს მხოლოდ მეუღლეთა შორის დავის საკითხი წარმოადგენდა და ოჯახის სხვა წევრებს შორის ძალადობრივი ურთიერთობები კანონის რეგულირების მიღმა იყო დარჩენილი.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლ ქვეყნებს შორის ავსტრია ერთ-ერთ წარმატებულ ქვეყანად მიიჩნევა, სადაც ფედერალური კანონი „ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ“ 1997 წელს მიიღეს. აღნიშნული კანონი პოლიციელს უფლებამოსილებას ანიჭებს, მოძალადის მიმართ გარკვეული შეზღუდვები დაანესოს და მსხვერპლის დაცვის მიზნით გამოსცეს შემაკავებელი ორდერი, რომელიც ძალაშია 10 დღის განმავლობაში.

უკრაინა იყო პირველი ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყანებს შორის, სადაც 2001 წელს მიიღეს კანონი „ოჯახში ძალადობის პრევენციის შესახებ“. აღნიშნული კანონი განსაზღვრავს ოჯახში ძალადობის თავიდან აცილების სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, იმ ორგანოებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც ეკისრებათ ოჯახში ძალადობის თავიდან აცილების ღონისძიებათა განხორციელება. კანონის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ოჯახში ძალადობის ფაქტების პრევენცია, მისი აღკვეთა საწყის სტადიაზე მანამ, სანამ კონფლიქტი ღია ფორმას არ მიიღებდა და არ გამოიწვევდა გამოუსწორებელ შედეგებს; ძალადობის შემთხვევაში კი მოძალადე პასუხს აგებდა სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული ან სამოქალაქო სამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით.

#### **1.4. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საქართველოში მოქმედ ძირითადი სამართლებრივი აქტების მიმოხილვა**

ოჯახში ძალადობის ფაქტების ზრდამ და მასზე რეაგირების ეფექტური და ადეკვატური სისტემის ფორმირების აუცილებლობამ, საქართველოში ასევე განაპირობა ოჯახში ძალადობის დასაძლევად სპეციალური საკანონმდებლო აქტის მომზადება და მიღება. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2006 წლის 25 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს დაემატა VII<sup>3</sup> თავი, რომელიც ოჯახში ძალადობის აღკვეთის თაობაზე საქართველოს სამართლებრივ სისტემაში თვისობრივად ახალი დამატებითი სამართლებრივი მექანიზმების - დამცავი და შემაკავებელი ორდერის შემოღებას ითვალისწინებდა.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების სრულყოფილი რეგულირებისა და მასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების გადამწყვეტის მიზნით ასევე შევიდა ცვლილებები რიგ საკანონმდებლო აქტებში, კერძოდ, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში, „საქართველოს შრომის კოდექსში“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. ამასთან, გამოიცა კანონქვემდებარე აქტებიც, მათ შორის აღსანიშნავია:

- საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 ოქტომბრის №665 ბრძანებულება „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 დეკემბერის № 625 ბრძანებულება „ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმარტოვებული საუწყებათაშორისო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბრის №1079 ბრძანება „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 24 მარტის №333 ბრძანება „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბრის N1079 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 26 აგვისტოს №875 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის 152/6 – 496 – 45/6 ერთობლივი ბრძანება „ბავშვთა დაცვის მიმართვის საკანონმდებლო (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №1094 ბრძანება „ოჯახში ძალადობის დროს მოძალადისათვის ჩამორთმეული პირად საკუთრებაში არსებული იარაღის შენახვის წესისა და პირობების, აგრეთვე მოძალადისთვის სამსახურებრივ-სამშტატო იარაღით შეზღუდულად სარგებლობის ან/და ჩამორთმევის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 5 მაისის №415 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების დეტექტივ-გამომძიებლების, დეტექტივ-გამომძიებლის

თანაშემწეებისა და ინსპექტორების საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 28 თებერვლის №103 ბრძანებაში დამატებების შეტანის თაობაზე;

- საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვრის №55 განკარგულება „ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი თავისი არსით სპეციფიკური და კომპლექსური ხასიათის სამართლებრივი აქტია, რომელიც ითვალისწინებს იმ დამატებით მექანიზმებსა და ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასთან, მის პრევენციასთან, მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან. აღნიშნული კანონით განისაზღვრა: ოჯახში ძალადობის ცნება, ძალადობის ფორმები, ოჯახის წევრისა და მოძალადის დეფინიცია, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსი, მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები და ინსტრუმენტები, მისი გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები, დამცავი და შემაკავებელი ორდერები, მათი გამოცემისა და გასაჩივრების პროცედურები, ოჯახში ძალადობის საქმეებზე სამართალწარმოების თავისებურებები.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრულია ოჯახში ძალადობის დეფინიცია, რომლის მიხედვით „ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით“. აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონით გაიმიჯნა ძალადობის შემდეგი ფორმები – ფიზიკური ძალადობა, ფსიქოლოგიური ძალადობა, სექსუალური ძალადობა და ეკონომიკური ძალადობა, ასევე, იძულება.

აღნიშნული მუხლი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული პირის უფლებები და თავისუფლებები არ შეიძლება შეიზღუდოს მისივე ოჯახის სხვა წევრის მიერ. პრაქტიკულად, ყველა ქმედება, რომელიც პირის ნების საწინააღმდეგოდ არაერთჯერადად და არანებაყოფლობითი ფორმით ხდება და რომელიც მის ტანჯვას იწვევს, წარმოადგენს ძალადობას.

მითითებული მუხლი საინტერესოა იმითაც, რომ გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით მოწესრიგებული ძალადობის „ტრადიციული“ სახეებისა (ფიზიკური, სექსუალური ან იძულება), მათ რიგში თანაბრად აყენებს ძალადობის ისეთ სპეციფიკურ ფორმებს, როგორცაა, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობა. როგორც პრაქტიკა მოწმობს, ძალადობის ეს ფორმები საკმაოდ გავრცელებული იყო და მითითებული კანონის მიღებამდე საერთოდ არ ხვდებოდა საკანონმდებლო რეგულაციის სფეროში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ოჯახში ძალადობა ცალკე დანაშაულის სახედ არ მიიჩნევა, თუმცა საქართველოს

სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია მრავალი იმ ქმედების კრიმინალიზაცია, რომლებიც თავისი შინაარსით ოჯახში ძალადობას უკავშირდება. კოდექსის შესაბამისი მუხლები ისეა ჩამოყალიბებული, რომ მათში აღწერილი ქმედებები დანაშაულად ითვლება, მიუხედავად იმისა, ჩადენილია გარეშე პირის თუ ოჯახის წევრის მიერ.

ოჯახში ძალადობის, ისევე, როგორც ძალადობის ნებისმიერი ფორმით გამოვლენის შემთხვევაში, სახეზე გვაქვს ძალადობის სამი კომპონენტი: მსხვერპლი, მოძალადე და ქმედება (ძალადობა). ოჯახში ძალადობის ცნება, დამდგარი სამართლებრივი შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება მოიცავდეს: როგორც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას – ძალადობას, ასევე – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ გადაცდომასა და სამოქალაქო კოდექსით აღიარებულ პირთა კერძოსამართლებრივ უფლებათა ხელყოფას.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განისაზღვრა კანონის შემდეგი მიზნები:

- ა) ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობის აღიარებით მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, ოჯახური ღირებულებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიების შექმნის უზრუნველყოფა;
- ბ) ოჯახში ძალადობის გამოვლენის, აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის ეფექტიანი საკანონმდებლო მექანიზმების შექმნა;
- გ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სისტემის შექმნა;
- დ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შექმნა;
- ე) ოჯახში ძალადობის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის უზრუნველყოფა;
- ვ) მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებების ხელშეწყობის უზრუნველყოფა.

დასახული მიზნების მისაღწევად, კანონი მონოდებულია უზრუნველყოს არა მარტო სახელმწიფო ინსტიტუტების გააქტიურება, არამედ ადმინისტრაციული ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი მჭიდრო თანამშრომლობით შექმნას ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის, მისი პრევენციისა და მსხვერპლის რეაბილიტაციის ეფექტური მექანიზმები, ოჯახის წევრთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საკანონმდებლო და სოციალური გარანტიები, შეინარჩუნოს ოჯახური ღირებულებები, დაიცვას ოჯახი ძალადობისგან.

კანონი ოჯახში ძალადობის პრობლემის დაძლევის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ოჯახში ძალადობის პრევენციას, განსაზღვრავს პრევენციულ ღონისძიებებსა და მის განხორციელებაზე

პასუხისმგებელ ორგანოებს (მათ შორის: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროკურატურა და სასამართლო ორგანოები). ოჯახში ძალადობის პრობლემის რეგულირების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად კანონი ასევე მიიჩნევა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის სოციალური და შრომითი გარანტიების შექმნას, მოქალაქეთა რეაბილიტაციის ღონისძიებების განსაზღვრას. კანონის მიხედვით, მსხვერპლის დაცვის მნიშვნელოვან სოციალურ გარანტიას წარმოადგენს მსხვერპლის უზრუნველყოფა დროებითი განთავსების ადგილით – თავშესაფრით. კანონით განისაზღვრა მსხვერპლთა პირველადი და გადაუდებელი დახმარების ისეთი მექანიზმი, როგორცაა კრიზისული ცენტრების შექმნა და ფუნქციონირება.

კანონი განსაზღვრავს სუბიექტთა იმ წრეს, რომელთაც სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში პირისათვის ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების უფლებამოსილება ექმნებათ. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასამართლო ორგანოების გარდა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭებას ასევე ახორციელებს ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუნწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი. აღსანიშნავია, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის მიერ მსხვერპლის იდენტიფიცირებისა და სტატუსის განსაზღვრის პროცედურული ნესები განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 ოქტომბრის №665 ბრძანებულებით დამტკიცებული „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების ნების“ შესაბამისად.

კანონმა ოჯახში ძალადობის შემთხვევებისას განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა არასრულწლოვანთა დაცვის მექანიზმების გაძლიერებაზე, მოძალადე მშობლისგან მათი გარიდებისა და განცალკევების საკითხებზე.

კანონის ფარგლებში ჩამოყალიბდა მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებებთან დაკავშირებული ნორმები. კანონის მიხედვით, მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებებზე განისაზღვრა იმ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც მიმართული იქნება მოძალადის ფსიქო-სოციალური დახმარებისა და გაჯანსაღებისაკენ, ცალკეული მანერ ჩვევებისაგან (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია ან ისეთი ფსიქიკური დაავადება, რომელიც არ გამოირიცხავს შერაცხადობას) პირის განკურნებისა და რეაბილიტაციისაკენ და დაკავშირებულია ძალადობის შემდგომი გამოვლინების თავიდან აცილების, მსხვერპლის შემდგომი უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან.

ოჯახში ძალადობის შესახებ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიმოხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობით აღიარებულია მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ოჯახში ძალადობის ფაქტებზე ოპერატიულ და ქმედით რეაგირებას, ასევე ოჯახში ძალადობის მსხვერპლს აძლევს დაცვის საშუალებებს (როგორც სამართლებრივი, ისე ფიზიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით). კანონმდებლობით გან-

საზღვრულია ის დამატებითი მექანიზმები, რამაც უნდა უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის პრევენცია; ასევე გათვალისწინებულია აღნიშნული ღონისძიებების მუდმივი და დინამიკური განახლება. კანონმდებლობის არსებითი აქცენტები ორიენტირებულია მსხვერპლის დაცვაზე, დაცვის ქმედითი და მისაღები მექანიზმების დამკვიდრებაზე (სტატუსის განსაზღვრიდან დაწყებული, მსხვერპლის დაცვის სოციალური საშუალებებით სარგებლობის ჩათვლით).

### **1.5. ოჯახში ძალადობის გამოვლენის ფორმები**

ძალადობა, როგორც ქმედება, შეიძლება მრავალი ფორმით გამოიხატოს. როგორც ზემოთ ავლინებთ საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ ოჯახში ძალადობის ცნებასთან დაკავშირებით ასახელებს ძალადობის შემდეგ სახეებს: **ფიზიკური ძალადობა, ფსიქოლოგიური ძალადობა, სექსუალური ძალადობა, ეკონომიკური ძალადობა და იძულება.** შესაბამისად, ძალადობის თითოეული ეს ფორმა განიხილება, როგორც ოჯახში ძალადობის ელემენტი, ქმედების ის სახე, რომელმაც ოჯახის ერთი წევრი შეიძლება ახორციელებდეს ოჯახის მეორე წევრის მიმართ. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით:

**ფიზიკური ძალადობა** – ეს არის ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

**ფსიქოლოგიური ძალადობა** – ეს არის შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;

**სექსუალური ძალადობა** – ეს არის სექსობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სექსობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;

**ეკონომიკური ძალადობა** – ეს არის ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.

**იძულება** – ეს არის ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;



აღსანიშნავია, რომ 1995 წელს პეკინში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე მიღებულ სამოქმედო გეგმაში გარდა ზემოთ აღნიშნული ძალადობის ფორმებისა, განმარტებულია ძალადობის კიდევ ორი ფორმა – სტრუქტურული ძალადობა და ინტელექტუალური ძალადობა.

**სტრუქტურული ძალადობა** თავისი შინაარსით ახლოს დგას ეკონომიკურ ძალადობასთან და გულისხმობს თვალთ უხილავი, შეუმჩნეველი დაბრკოლებების შექმნას ქალის პოტენციური შესაძლებლობებისა და ძირითადი უფლებების განხორციელებისადმი. აღნიშნული დაბრკოლებები ფესვგადგმულია და ყოველდღიურად აღმოცენდება თვით საზოგადოების არსიდან, ე.ი. იმ ძალთა გადანაწილებიდან და ურთიერთდამოკიდებულებიდან (სტრუქტურულიდან), რომელიც დასაბამს აძლევს და „აკანონებს“ სქესთა შორის უთანასწორობას საზოგადოებაში.

**ინტელექტუალურ (სულიერ) ძალადობა**დ მიიჩნევა მოქმედება, რომელიც დაცინვითა და დასჯით შეურაცხყოფს და ანგრევს ქალის კულტურულ და რელიგიურ წარმოდგენებს ან აიძულებს ქალს, შეცვალოს ისინი.

## თავი II.

### ოჯახში ძალადობის სუბიექტები, რისკ-ჯგუფები, დინამიკა და განმაპირობებელი ფაქტორები

---

#### 2.1. ოჯახში ძალადობის სუბიექტები და რისკ-ჯგუფები

ოჯახში ძალადობის შესახებ მსჯელობისას განსაკუთრებული ყუ-რადღება უნდა დაეთმოს ძალადობის განმახორციელებელ სუბიექტსა და პირს, რომელიც განიცდის ძალადობრივ ზემოქმედებას (ობიექტს). აღნიშნული თვალსაზრისით „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი გვაძლევს, როგორც მოძალადის, ასევე მსხვერპლის დე-ფინიციის დეტალურ განმარტებას, კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის მიხედვით:

- ა) **მსხვერპლი** – არის ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკუ-რი, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება.
- ბ) **მოძალადე** – არის ოჯახის წევრი, რომელიც ახორციელებს ფი-ზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას ოჯახის სხვა წევრის მიმართ.

ზემოთ აღნიშნულ ორივე განმარტებაში ხაზგასმულია, რომ მო-ძალადეც და მსხვერპლიც არიან „**ოჯახის წევრები**“. შესაბამისად, ოჯახში ძალადობის სუბიექტისა და ობიექტის განხილვისას უმნიშ-ვნელოვანესია განისაზღვროს ვინ შეიძლება მოიაზრებოდეს ოჯახის წევრად. ამ მხრივ „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადო-ბის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი იძლევა შესაბამის განმარტებას და ოჯახის წევრად აღიარებს პირთა საკმაოდ ფართო წრეს: კერძოდ, დედას, მამას, პაპას, ბებიას, მეუღლეს, შვილს (გერს), შვილობილს, მშვილებელს, მშვილებლის მეუღლეს, ნაშვილებს, მიმღებ ოჯახს (დედობილს, მამობილს), შვი-ლიშვილს, დას, ძმას, მეუღლის მშობლებს, სიძეს, რძალს, ყოფილ მეუღლეს, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებს და მათი ოჯახის წევრებს, მეურვეს.





არსებული შეხედულებების მიხედვით, მოძალადისათვის დამახასიათებელია შემდეგი თვისებები:

- ა) მოძალადე ხშირად ზემოქმედებს მსხვერპლზე, რომ არ დაუშვას კონფლიქტში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა ჩარევა;
- ბ) ზოგჯერ მოძალადე თავს მსხვერპლად წარმოგიდგენს, რომელსაც შეურაცხყოფენ და იძულებულს ხდიან, მიმართოს ძალადობას;
- გ) მოძალადე ძალადობის სხვადასხვა ფორმას მიმართავს;
- დ) მოძალადის მოქმედებები შეიძლება მოიცავდეს ისეთ მახასიათებელს, როგორცაა: შეშინება და მანიპულირება; იზოლაცია და თავისუფლების აღკვეთა; ფულის ან საკვების მიწოდებაზე უარის თქმა; ბავშვებზე ძალადობა.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მოქმედი კანონმდებლობის ზრუნვისა და დაცვის მთავარი ობიექტია მსხვერპლი. მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრა და მისი დაცვის სამართლებრივი და სოციალური გარემოს შექმნა კანონმდებლის უმთავრეს ამოცანას შეადგენს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ძალადობის მსხვერპლის გარშემო არსებული სოციალური გარემო უმეტეს შემთხვევაში ართულებს მისდამი გულწრფელი თანაგრძნობის გამოხატვას და საკითხის გადაჭრას. ქალი, რომელიც პარტნიორის ძალადობის მსხვერპლი გახდა და ცდი-

ლობს, თავისი პრობლემები სხვას გაანდოს, ხშირად მწარედ იმედგაცრუებული რჩება. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ასეთი ქალი ზოგიერთისთვის საკუთარი მავნებლობისა და დანაშაულის, ხოლო სხვათათვის საკუთარი სისუსტისა და მარცხის შესხენების ფუნქციას ასრულებს. ამიტომაც, ძალადობის მსხვერპლ ქალს უფრო ხშირად ჩვეულებრივი ოჯახური პრობლემების მქონე ადამიანად აღიქვამენ. მიაჩნიათ, რომ მისი ბრალია, მსხვერპლი რომ გახდა, ზოგიერთი კი, საერთოდ არ აღიარებს იმ ფაქტს, რომ იგი ძალადობის მსხვერპლია.


ოჯახში ძალადობის მსხვერპლის პრობლემის იგნორირების ყველაზე უარესი ფორმა მომხდარში თვით დაზარალებულის დადანაშაულების ტენდენციაა. მსხვერპლი ასე გამომწვევად რომ არ მოქცეულიყო, მაშინ მას არ შეურაცხყოფდნენ, არ სცემდნენ, არ გააუპატიურებდნენ და ა.შ.

მსხვერპლზე საუბრისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს მისი და ბავშვის უსაფრთხოება; მსხვერპლი დაცული იქნეს ძალადობის შემდგომი ესკალაციისაგან და ისარგებლოს სათანადო დახმარებით.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლსა და რისკ-ჯგუფებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტები, როგორც წესი, განსაკუთრებულ ნეგატიურ გავლენას ახდენს ოჯახში მცხოვრებ არასრულწლოვანზე, მიიჩნევა, რომ ოჯახში სადაც ხდება ძალადობა, ბავშვები ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას განიცდიან, მიუხედავად იმისა, უშუალოდ მათზე ხდება თუ არა ზემოქმედება. ასეთ დროს ემოციური ფაქტორი ძალიან დიდია და პრაქტიკულად უტოლდება უშუალოდ ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას.

კვლევები აჩვენებს, რომ:

- ა) ბავშვებს, რომლებიც იზრდებიან ძალადობრივ ოჯახში აქვთ მეტყველების, გონებრივი განვითარების, სმენის და ფსიქოლოგიური პრობლემები.
- ბ) ბავშვებს, რომლებიც იზრდებიან ძალადობრივ ოჯახში აქვთ განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები; უჭირთ საკითხებზე კონცენტრირება, თანატოლებთან ურთიერთობის დამყარება და ხშირად აცდენენ სკოლას.
- გ) ბავშვებს, რომლებიც ძალადობრივ ოჯახში იზრდებიან, ახასიათებთ საკუთარ თავში ჩაკეტილობა, ნაკლები კომუნიკაბელურობა, დათრგუნებულობა, მიდრეკილება ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი.
- დ) ბიჭები, რომლებიც ბავშვობაში ოჯახში ძალადობის ფაქტს შეესწრნენ, შემდგომში თავად ხდებიან მოძალადე თავიანთი პარტნიორების მიმართ.



სწორედ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ოჯახში ძალადობისას განსაკუთრებით საყურადღებოა არასრულწლოვანთა დაცვის სპეციფიკური სისტემის შექმნა. მშობლის მიერ არასრულწლოვანზე ძალადობისას, რეაგირების ერთ-ერთ უპირველეს მექანიზმად უნდა განვიხილოთ მოძალადე მშობლებთან არასრულწლოვანის ურთიერთობის საკითხები, ხოლო ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტის დაფიქსირებისას უპირობოდ უნდა დადგეს მშობლებისაგან ბავშვის განცალკევების საკითხი.

## **2.2. ოჯახში ძალადობის განმაპირობებელი ფაქტორები (მიზეზები) და დინამიკა**

ოჯახში ძალადობის პრობლემის განხილვისას მნიშვნელოვანია შევხვით ოჯახში ძალადობის განმაპირობებელ ფაქტორებსა და მახასიათებლებს. არსებული შეხედულებების მიხედვით, ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები არაერთგვაროვანია. როგორც წესი, ოჯახში ძალადობა წარმოადგენს სხვადასხვა ფაქტორების ურთიერთდაკავშირებულ სისტემას. მსგავს ფაქტორებს კი განეკუთვნება ოჯახის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ემოციური ფაქტორები, თანაცხოვრების პირობებში წარმოქმნილი სირთულეები და შეუთავსებლობა თანაცხოვრებისას, ოჯახში ძალა-

დობაზე (კონფლიქტზე) დაფუძნებული ურთიერთობები; ეკონომიკური დამოუკიდებლობის არარსებობა, რწმენა, რომ დასაბამიდან ქალი მამაკაცის მორჩილი უნდა იყოს; კანონმდებლობა და გავრცელებული კულტურული წეს-ჩვეულებები, რომლის მიხედვითაც ქალებს და ბავშვებს ტრადიციულად არ გააჩნდათ დამოუკიდებელი და სოციალური სტატუსი, მავნე ჩვეულებებისადმი (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია და ა.შ.) მიდრეკილება და სხვა.

ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად ასევე მიიჩნევა მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობის არარსებობა, სწორედ აღნიშნულის გამო უძნელდება ქალების უმეტესობას, თავი დააღწიოს ძალადობას. ძალადობა, ეკონომიკური რესურსების არარსებობა და მოძალადეზე დამოკიდებულება მკვეთრად უკავშირდება ერთმანეთს. ერთი მხრივ, ძალადობის შიში და მუქარა აფერხებს ქალს, იპოვოს სამუშაო ან დაბალანაზღაურებად მძიმე სახის სამუშაოს დასჯერდეს, მეორე მხრივ კი, ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარეშე ქალს არ ძალუძს, თავი დააღწიოს მოძალადეს.

ზოგიერთ ქვეყანაში ოჯახში ძალადობის მიზეზი ხდება აღნიშნული არგუმენტის საპირისპირო შემთხვევები. კერძოდ, ქალების მზარდ ეკონომიკურ აქტივობასა და დამოუკიდებლობას მამაკაცები საფრთხედ აღიქვამენ, რაც ასევე ხდება ძალადობის მიზეზი, განსაკუთრებით მაშინ, თუკი მამაკაცი უმუშევარია. მას ოჯახში საკუთარი ძალაუფლების დაკარგვის შიში უჩნდება.

აღსანიშნავია, რომ ცალკეულ შემთხვევაში ზოგიერთი ქვეყნის კულტურული იდეოლოგია ქალების წინააღმდეგ ძალადობას დასამკვებად მიიჩნევს. უფრო მეტიც, რელიგიური და ისტორიული ტრადიციები არ კრძალავდნენ ცოლების დასჯასა და ცემას (თუ ქალი უღალატებდა მეუღლეს, არ დაემორჩილებოდა ან წინააღმდეგობას გაუწევდა მეუღლის ნება-სურვილს და ა.შ.). ნებადართული იყო ქალების ფიზიკური დასჯა, რაც მათზე საკუთრების შეგრძნების გამახატულებად ითვლებოდა. ოჯახის უფროსის სტატუსის ქონის, ოჯახის შემოსავლებისა და ქონების კონტროლის გამო, გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება მთლიანად მამაკაცს ენიჭებოდა, რაც ოჯახში ქალის მიმართ მის დომინანტურ მდგომარეობას იწვევდა.

ოჯახში ძალადობის განმაპირობებელი ფაქტორების ანალიზისას არ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს ოჯახში კონფლიქტებზე ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გავლენა. მიიჩნევა, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტების უმეტესი ნაწილი ჩადენილია იმ პირობებში, როცა მოძალადე ალკოჰოლური და ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. მამაკაცების მიერ ალკოჰოლისა და ნარკოტიკების დიდი ოდენობით მოხმარება, სხვა უარყოფით ფაქტორებთან ერთად, ასევე იწვევს ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ მისი აგრესიული ქმედებების პროვოცირებას.

ოჯახში ძალადობის განმაპირობებელი ზემოაღნიშნული ფაქტორები შესაძლებელია შემდეგი სახით დავაჯგუფოთ:

1. **კულტურული** - (ა) გენდერზე დაფუძნებული სოციალიზაცია; (ბ) კულტურული ფორმულირებები, რომლებიც განსაზღვრავს შესაბამისი სქესის როლს; (გ) ურთიერთობებში წინასწარ განსაზღვრული როლები; (დ) მოსაზრება, რომ მამაკაცი ყოველთვის უნდა ბატონობდეს ქალზე; (ე) ღირებულებები, რომლებიც მამაკაცს ქალზე მესაკუთრის უფლებას სძენს; (ვ) მოსაზრება, რომ ოჯახი არის მამაკაცის დაქვემდებარების ქვეშ არსებული კერძო სფერო; (ზ) ქორწინების ჩვეულებები (პატარაძალზე დაწესებული ფასი/მზითვი); (თ) ძალადობა – კონფლიქტის გადაჭრის მიღებული მეთოდი.

2. **ეკონომიკური** - (ა) ქალის ეკონომიკური დამოკიდებულება მამაკაცზე; (ბ) ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა; (გ) დისკრიმინაციული ხასიათის კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს მემკვიდრეობის, საკუთრების უფლების, მიწით სარგებლობის, განქორწინებისა და მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ქონების მიღების საკითხებს; (დ) სახელმწიფო თუ კერძო სექტორში დასაქმების ნაკლები პერსპექტივა; (ე) განათლების მიღების ნაკლები პერსპექტივა.

3. **სამართლებრივი**: (ა) დანერგილი თუ დაუწერელი კანონებით აღიარებული ქალის ნაკლები სამართლებრივი სტატუსი; (ბ) განქორწინების, ბავშვზე მეურვეობის, მასზე მზრუნველობისა და მემკვიდრეობის საკითხების მარეგულირებელი დისკრიმინაციული სახის კანონმდებლობა; (გ) ქალებში სამართლებრივი ცნობიერების დაბალი დონე.

4. **პოლიტიკური**: (ა) ქალების ნაკლები წარმოდგენლობა ხელისუფლებაში, პოლიტიკაში, სამართალდამცავ ორგანოებში; (ბ) ოჯახში ძალადობის მიმართ არასერიოზული მიდგომა; (გ) მოსაზრება, რომ ოჯახი არის სახელმწიფო კონტროლის მიღმა არსებული კერძო სფერო.

ოჯახში ძალადობის ფაქტორებსა და დინამიკაზე საუბრისას უნდა აღვნიშნოთ **მიზეზები, რომლის გამოც ძალადობის მსხვერპლი უარს ამბობს მოძალადის საწინააღმდეგოდ განცხადების შეტანაზე** შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოებში და **მიზეზები, რომლის გამოც მსხვერპლი არ ცოვებს მოძალადეს**.

ოჯახში ძალადობის აღსაკვეთად და მოძალადის მიმართ ადეკვატური ზომების გამოსაყენებლად მსხვერპლმა, პირველ ყოვლისა უნდა მიმართოს სამართალდამცავ ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოებს. პოლიციასთან მსხვერპლის კონტაქტი წარმოადგენს ძალადობის აღკვეთისა და მოძალადის დასჯის პირველ და საგულისხმო ნაბიჯს. თუმცა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ხშირად მხოლოდ ინციდენტის შეწყვეტით არის დაინტერესებულია, მას არ სურს შემდგომი სამართლებრივი ღონისძიებების გატარება, მათ შორის არ უნდა, მიმართოს პოლიციას ან სასამართლოს. ამავე დროს არსებობს ფაქტორები, რომლებიც მსხვერპლის ან პოტენციურ მსხვერპლის ხელს უშლის სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვაში. კერძოდ, ასეთ ფაქტორებად განიხილება – **მსხვერპლის შიში, რომ მოძალადე არ დაისჯება** (დასჯის უშედეგობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც წარსულში უკვე ჰქონდა ადეკვატური ქმრის ან ყოფილი ქმრის მხრიდან სასტიკ მოპყრობას და მიღებუ-

ლი ზომები არ იყო ეფექტური); **უნდობლობა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ** (დასჯის არსებული მექანიზმები ეფექტური და საკმარისი არ არის მოძალადის შესაჩერებლად, ამასთან, სასამართლო დარბაზში მოძალადესთან პირისპირ ყოფნა და მის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა მსხვერპლისათვის რთული და შეუძლებელია, რადგან მსხვერპლს ემინია მოძალადის და გარკვეული პერიოდის შემდეგ დასაშვებად მიიჩნევს მისი სანინალმდეგო ჩვენების მიცემას), **კულტურული ტრადიცია** (სირცხვილია ოჯახური პრობლემების საჯაროდ გამოცანა).

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მსხვერპლი სოლიდარობას უცხადებს მოძალადეს და ძალადობის ფაქტის გამო ოჯახში მისული პოლიციის თანამშრომლები მსხვერპლის მხრიდან წინააღმდეგობას აწყდებიან. მსხვერპლი პოლიციის თანამშრომელს აღიქვამს „მტრად“, რომელმაც მოძალადის მხრიდან მისთვის მიყენებული ზიანის გამო, შესაძლოა, პასუხი აგებინოს მისი ოჯახის წევრსა და მისთვის საყვარელ ადამიანს (მოძალადეს). შესაბამისად, მსხვერპლმა შეიძლება პოლიციის თანამშრომელთა მიმართ აგრესია და წინააღმდეგობაც გამოავლინოს. რაც, თავის მხრივ, მართლმსაჯულების შემაფერხებელი და ოჯახში ძალადობის ფაქტების შემდგომი დინამიკის განმაპირობებელი ხდება. მიიჩნევა, რომ ასეთ დროს არსებობს შემდეგი გარემოებები:

- ა) მსხვერპლს არ სურს ეჭვიმტანილის დევნა და გასამართლება;
- ბ) მსხვერპლი მოძალადესთან კომპლექსურ ურთიერთობაშია (ეკონომიკური, სოციალური, ემოციური, სამართლებრივი) და ეს ურთიერთობები საკითხის განხილვის პერიოდში გავლენას ახდენს მსხვერპლის ყოველ სიტყვასა და მოქმედებაზე;
- გ) სამართალდამრღვევებს, რომლებიც რეგულარულად მიმართავენ ძალადობას, დიდი გავლენა აქვთ მსხვერპლზე, ამიტომ მსხვერპლი ფიქრობს, არ დაუშვას სამართალდამცველების ჩარევა ოჯახურ კონფლიქტში.

მსხვერპლებს ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ისინი არ ტოვებენ მოძალადეს. თუმცა, ამგვარი შეფასების ავტორებს გაცნობიერებული არა აქვთ, რომ ამ შემთხვევაში მსხვერპლის პასიურობა ძალადობის შედეგი უფროა, ვიდრე მიზეზი. მოძალადისადმი შიში ოჯახში ძალადობის ჯაჭვის შემადგენელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ამ შიშს თავისი საფუძვლები გააჩნია. ურთიერთობის განყვევტის შესახებ მსხვერპლის მხრიდან მცირე ქარაგმაც კი საკმარისია იმისათვის, რომ მოძალადემ ეს აღიქვას, როგორც ძალაუფლების დაკარგვის საფრთხე, რაც, შეიძლება უფრო მეტი ძალადობის მიზეზი გახდეს.

ცნობილია აგრეთვე, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლს უვითარდება ე.წ. „მძევლის სინდრომი“, რაც ნიშნავს დაზარალებულის მხრიდან მოძალადისადმი სოლიდარობის გამოცხადებას. ამ სინდრომის წარმოშობას ხელს უწყობს: ა) ხანგრძლივი სერიოზული საფრთხე, რომელიც ემუქრება მსხვერპლის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს; ბ) მოძალადის ხელში ყოფნისა და გაქცევის შანსის არარსებობის გრძნობა; გ) ძალადობის მსხვერ-

პლის რწმენა იმისა, რომ მოძალადე აფასებს მის ქცევას, აჯილდოვებს მას „კარგი“ საქციელისთვის და სჯის „ცუდი“ საქციელისთვის. ამგვარი მდგომარეობა იწვევს ძალადობის მსხვერპლის ყურადღების სრულ კონცენტრირებას კითხვაზე – რა სახის საქციელი აკმაყოფილებს ყველაზე მეტად მოძალადეს. უკეთესი შეფასების მიღების მიზნით, მსხვერპლი ცდილობს თავისი თავი წარმოიდგინოს მოძალადის ადგილას – ამოიცნოს მისი სურვილები, ფიქრები და აზრები. ყოველივე ამას, საბოლოოდ, მიეყვართ მოძალადისადმი სოლიდარობის გამოცხადებამდე.

გამოყოფენ სამი ძირითადი სახის ფაქტორებს, რომელთა გამოც მსხვერპლი არ ტოვებს მოძალადეს. კერძოდ:

### 1. სიტუაციური ფაქტორები

- ✓ **ეკონომიკური დამოკიდებულება** – როგორ შეინახოს საკუთარი შვილები და თავი;
- ✓ **შიში** იმისა, თუ სახლიდან წასვლას ეცდება, მას და მის შვილებს ძლიერი ფიზიკური საფრთხე ემუქრებათ;
- ✓ **შიში** იმისა, რომ გამოიჭერენ და უარესი ძალადობის მსხვერპლი გახდება;
- ✓ **გადარჩენა** – შიში იმისა, რომ პარტნიორი მოძებნის და მოკლავს, თუ მის მიტოვებას შეეცდება (რაც ხშირ შემთხვევაში რეალურ საფრთხეს ეფუძნება);
- ✓ ბავშვებისათვის ემოციური ტრავმის მიყენების **შიში**;
- ✓ შვილებზე მეურვეობის უფლების დაკარგვის **შიში**, რაც ძირითადად პარტნიორის მუქარას ეფუძნება;
- ✓ ალტერნატიული საცხოვრებლის უქონლობა;
- ✓ **სამუშაო გამოცდილების უქონლობა** – შეიძლება ვერ იშოვოს სამუშაო;
- ✓ **სოციალური იზოლაცია**, გამონგეული ოჯახისა და მეგობრებისგან მხარდაჭერის უქონლობით;
- ✓ ოჯახის, მეგობრების, პოლიციის მხრიდან **მხარდაჭერის** უქონლობა;
- ✓ **უარყოფითი პასუხი** საზოგადოების, პოლიციის, სასამართლოს, სოციალური მუშაკებისგან და ა.შ.
- ✓ სასამართლო პროცესში ჩარევის **შიში**, წარსულში მძიმე გამოცდილების გამო;
- ✓ **უცნობის შიში** – „უცნობ ეშმაკს ნაცნობი ეშმაკი გერჩივნოს“ ან „შეუჩვენელ ჭირს, შეჩვეული ჭირი გერჩიოს“;
- ✓ ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებების **შიში**;
- ✓ **„მისაღები ძალადობა“** - ძალადობის ესკალაციას დრო სჭირდება. მუდმივი ძალადობა მსხვერპლს უნარს უკარგავს აღიქვას, რომ მას ძალადობრივ გარემოში უწევს ცხოვრება;
- ✓ **კავშირი საზოგადოებასთან** – ბავშვებს სკოლის მიტოვება მოუწევთ, ქალს – მეგობრებისა და მეზობლების. ზოგიერთი ქალისათვის ეს მონმის დაცვის პროგრამაში მონაწილეობას დაემსგავსება – იძულებული გახდება ძველ ცხოვრებასთან ყველანაირი კავშირი განწყვიტოს;
- ✓ **კავშირი საკუთარ სახლთან და ნივთებთან**;

- ✓ **ოჯახის ზენოლა** – დედა ყოველთვის ამბობდა: „მე გეუბნეოდი, რომ ეს არ გამოსწორდება“ ან „შენ გააკეთე არჩევანი და ახლა უნდა აიტანო ყველაფერი“;
- ✓ **შიში**, რომ მოძალადე დაასმენს;
- ✓ **საშუალების არარსებობა გამოიყენოს არსებული რესურსები** გარკვეული ბარიერების გამო (ენობრივი ბარიერი, უუნარობა და ა.შ.);
- ✓ **დრო**, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ დაგეგმო და მოემზადო მოძალადის მისატოვებლად.

## 2. ემოციური ფაქტორები

- ✓ **სიმარტოვის შიში** – ქალს ეშინია, რომ ოჯახსა და ბავშვებს მარტო ვერ გაართმევს თავს;
- ✓ **ლოიალობა** – „იგი (მოძალადე) ავად არის. ფეხი რომ ჰქონოდა მოტეხილი ან კიბოთი ყოფილიყო ავად, ხომ დავრჩებოდი – ეს შემთხვევაც არ არის განსხვავებული“;
- ✓ **სიბრალული** – ქალს ეცოდება მოძალადე მამაკაცი;
- ✓ **დანმარების სურვილი** – ქალი ფიქრობს: თუ დარჩება მოძალადესთან, შეძლებს მის გამოსწორებას;
- ✓ **შიში** – ქალი ფიქრობს, რომ მამაკაცი თავს მოიკლავს თუ ქალი მიატოვებს მას;
- ✓ **უარყოფა** – „იგი (მოძალადე) არც ისე ცუდია, სხვები უარეს მდგომარეობაში არიან“;
- ✓ **სიყვარული** – იმ დროს, როდესაც არ ძალადობს, იგი (მოძალადე) ძალიან მოსიყვარულეა; ქალს განსაკუთრებით კარგად ახსოვს, როგორი იყო პარტნიორი „თაფლობის თვეში“;
- ✓ **ბრალის შეგრძნება** – ქალს და მის პარტნიორსაც სჯერათ, რომ ყველაფერში დამნაშავე ქალია;
- ✓ **საზოგადოების წინაშე სირცხვილის და შეურაცხყოფის შეგრძნება** – „არ მინდა, ვინმემ იცოდეს ჩემი მდგომარეობის შესახებ“;
- ✓ **უსაფუძვლო ოპტიმიზმი** – ქალი ფიქრობს, რომ მოძალადე შეიცვლება;
- ✓ **უსაფუძვლო ოპტიმიზმი** – სანინალმდებო მტკიცებულებების მიუხედავად, ქალი ფიქრობს, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდება;
- ✓ **გათვითცნობიერებული უმწეობა** – გარემოს შესაცვლელად ყველა არსებული მეთოდის გამოყენება, მაგრამ მუდმივი წარუმატებლობა და მარცხი, რაც უმწეობის შეგრძნებას იწვევს;
- ✓ **ცრუ იმედი** – მოძალადემ ქალის თხოვნის შესაბამისად დაიწყო მოქცევა, საკუთარ თავს აკონტროლებს; ასეთ ქცევებს ქალი მოძალადის გამოსწორების საფუძვლად მიიჩნევს;
- ✓ **დანაშაული** – ქალი დარწმუნებულია, რომ ძალადობა მისი არაადეკვატური ქცევის შედეგია (ქალს ხშირად ეუბნებიან ამას); რომ იგი ასეთ დამოკიდებულებას იმსახურებს;
- ✓ **პასუხისმგებლობა** – ქალს ჰგონია (ბუნდოვანი მოლოდინით არის მოცული), რომ მოძალადის მხრიდან მხარდაჭერის მისაღებად საჭიროა გარკვეული მოთხოვნები დააკმაყოფილოს;



- ✓ **დაქვეება** – ქალს არ სჯერა, რომ შეძლებს დამოუკიდებლად ცხოვრებას. ამას ხელს უწყობს ემოციური მხარდაჭერის უქონლობა;
- ✓ **ბრალის შეგრძნება** – ქორწინების/ურთიერთობების წარუმატებლობის გამო;
- ✓ **თვითშეფასების დაბალი შეგრძნება** – ჰგონია, რომ არის ძალიან „მსუქანი, სუფილი, უმწი“... ყველაფერი, რასაც მას მოძალადე უწოდებს, „ამიტომ წასვლას აზრი არა აქვს“;
- ✓ **გამოფიტვა** – ქალი ძალიან დაღლილი და დაუძღურებელია, არ შესწევს უნარი მიატოვოს მოძალადე.

### **3. პირადი მოსაზრებები**

- ✓ **მშობლის აუცილებლობა** – ბავშვებს სჭირდებათ მშობლები: „მამის არყოლას გიჟი მამის ყოლა სჯობია“;
- ✓ **რელიგიური და ოჯახური ზნეობა** – ოჯახი ნებისმიერი გზით უნდა შენარჩუნდეს;
- ✓ **მოვალეობა** – „მე ფიცი დავდე, რომ მასთან ვიქნებოდი, სანამ სიკვდილი არ დაგვაშორებს ერთმანეთს“;
- ✓ **პასუხისმგებლობა** – ქალზეა დამოკიდებული მდგომარეობის გამოსწორება და ურთიერთობის გადარჩენა;
- ✓ **რწმენა** – ოცნებებში ბედნიერად ცხოვრების იმედი;
- ✓ **იდეტიფიცირება** – ქალი იზრდება იმ შეგნებით, რომ საზოგადოება სრულყოფილ წევრად მიიღებს მას მხოლოდ პარტნიორთან ერთად, თუნდაც ეს პარტნიორი იყოს მოძალადე;
- ✓ **რწმენა** იმისა, რომ ქორწინება სამუდამოა;
- ✓ **რწმენა** იმისა, რომ ძალადობა მეუღლეების ურთიერთობის ფორმაა (როგორც წესი, ასეთი ქალები ძალადობის მსხვერპლი იყვნენ ბავშვობაში);
- ✓ **რელიგიური და კულტურული რწმენა.**

ოჯახში ძალადობის დინამიკის განმსაზღვრელ გარემოებას განეკუთვნება აგრეთვე **მსხვერპლის გაორებული დამოკიდებულება მოძალადის მიმართ.**

გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოძალადის მიმართ მსხვერპლის ურთიერთობები მხოლოდ სიძულვილით არ შემოიფარგლება. რამდენადაც მათი ურთიერთობა მხოლოდ ძალადობაზე არ ყოფილა აგებული, ის განიცდის სიყვარულისა და დაფასების, ასევე, დაუცველობისა და უმწიობის გრძობას. მოძალადის მიმართ მსხვერპლის გაორებულ დამოკიდებულებას მუდმივად ხელს უწყობს აგრეთვე, თვით მოძალადის მოქმედება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ოჯახში ძალადობას გააჩნია თავისებური, ციკლური ბუნება, რომელიც ხასიათდება როგორც სიმშვიდის პერიოდით, ისე უმწივავის აფეთქებებით. წყვილის ურთიერთობის დასაწყისში ძალადობა ნაკლებია. ამ პერიოდში ორივე პარტნიორი ცდილობს იდეალურად მოიქცეს, რადგან ამ დროს ძალადობის გამოყენებამ შეიძლება ურთიერთობა შეწყვიტოს. ურთიერთობის გაგრძელების შემდგომ, მოთხოვნების

ზრდასთან ერთად მატულობს სტრესი, აგრესია, რომელიც თავიდან ძირითადად სხვა ობიექტებზეა (მაგალითად, კარის მიჯახუნება, ჭურჭლის მტკერევა) მიმართული. შემდგომ ძალადობა ნელ-ნელა პარტნიორზე გადადის თავიდან შეურაცხყოფის სახით. სიტყვიერი და ემოციური შეურაცხყოფა გრძელდება და მწვავედება. მოძალადე ეჭვიანი ხდება და ცდილობს, ყველანაირად აკონტროლოს პარტნიორი. ის შეიძლება ასევე შეეცადოს მეგობრებისა და ოჯახის სხვა წევრებისაგან პარტნიორის იზოლირებას, პარტნიორისათვის მათთან ურთიერთობის შეზღუდვას ან აკრძალვას. საბოლოოდ, დაძაბული ურთიერთობები კონკრეტული ინციდენტით მთავრდება, რომლის შემდეგ მოძალადე მშვიდდება, მსხვერპლი კი დაბნეულია და მომხდარის გამო ისტერიული შეტევა ეწყება.

ძალადობის ფაქტის შემდეგ დგება სიმშვიდის ფაზა, რომელიც ხასიათდება მშვიდობის ანუ სიყვარულის პერიოდით. ამ ფაზაში მოძალადე ინანიებს თავის საქციელს, რითაც მსხვერპლს გამოსწორების იმედს აძლევს. თუ ამ ფაზაში არ მოხდება წყვილის ურთიერთობაში გარეშე პირთა (მაგალითად, ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის) ჩარევა და ურთიერთობა გაგრძელდება, დიდია ალბათობა იმისა, რომ ძალადობა გამწვავედეს და უფრო მძიმე ფორმებში გამოვლინდეს. დაძაბულობამ, შესაძლოა, კვლავაც დაიწყოს პროგრესირება. ასეთი პერიოდული ცვლილებები (ე.წ. „მათრახისა და თაფლიანი კვერის“ პოლიტიკა), ხელს უწყობს ძალადობის მსხვერპლის მუდმივ ემოციურ დაძაბულობას, მოახლოებული საფრთხის გრძნობას და დაბნეულობას. მაშინ, როდესაც გარეშე პირები საკმაოდ კარგად ხვდებიან, რომ სინდისის ქეჯნის გრძნობის გამოხატვა და ძალადობა მორჩილებაზე აგებული ხანგრძლივი ურთიერთობების შენარჩუნების საშუალებაა, თვით დაზარალებული მოძალადის მიმართ კარგავს მიუკერძოებელი და სწორი აზრის ჩამოყალიბების უნარს. მოძალადეს ორბუნებოვნება ახასიათებს („ორი სახე“ აქვს) და მისი სახეცვლილება არ ექვემდებარება წინასწარ განჭვრეტას ან ახსნას.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორები საფუძვლად დაედო **ოჯახში ძალადობის ციკლის თეორიის** ჩამოყალიბებას, რომელიც ზემოთ უკვე განვიხილეთ და რომელიც ოჯახში ძალადობის დინამიკას ე.წ. „**ძალადობის ბორბლის**“ სახით წარმოგვიდგენს (იხ. დანართში მოცემული ნახაზი). აღნიშნულის მიხედვით კი, ოჯახში ძალადობა შემდეგი თანმიმდევრობით მიმდინარეობს: ა) მუქარა და იძულება; ბ) დაშინება; გ) ემოციური ძალადობა; დ) იზოლირება; ე) ძალადობის უარყოფა და ქალის დადანაშაულება; ვ) ბავშვის გამოყენება; ზ) მამაკაცური პრივილეგიების გამოყენება; თ) ეკონომიკური ძალადობის გამოყენება.

## თავი III.

### ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირებისა და სოციალური დაცვის მექანიზმები

---

#### 3.1. ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირების მექანიზმები

ოჯახში ძალადობა, მისი დეფინიციის გათვალისწინებით, სამართალდარღვევათა მთელ რიგ ნიშნებს შეიცავს და მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება. ოჯახში ძალადობა თავისი შინაარსით გულისხმობს, როგორც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს, ისე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ზიანის მიყენებით წარმოშობილ ვალდებულებებს. ამასთან, ოჯახში ძალადობის სამართალდარღვევის სპეციფიკურობა მდგომარეობს, როგორც მისი გამოვლენის სირთულეში, ისე მის წინააღმდეგ გამოსაყენებელი იძულებითი ღონისძიებების ეფექტურ და მართლზომიერ შერჩევაში. შესაბამისად, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას დანაშაულთან ბრძოლის არსებულ სამართლებრივ თუ პრაქტიკულ გამოცდილებასთან ერთად დამატებითი მექანიზმების შემოღებასაც სჭირდება.

პრობლემის სირთულემ განაპირობა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის დამატებითი სისტემურ ღონისძიებათა ერთობლიობის განსაზღვრა, რომელიც შემოთავაზებული იქნა „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონითა და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო აქტებში შეტანილი ცვლილებებით. აღნიშნული კანონის მე-9 მუხლის მიხედვით, ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები. შეიძლება ითქვას, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირებისას ძალადობის შინაარსის გათვალისწინებით ხდება როგორც სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ასევე ადმინისტრაციულ და სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმების გამოყენება. განმსაზღვრელი, ბუნებრივია, გახლავთ ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და მისი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი, ასევე მიყენებული ზიანის მოცულობა და ფარგლები.

აღნიშნულის გათვალისწინებით „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“

საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 – მე-4 პუნქტების მიხედვით:

**სისხლისსამართლებრივი მექანიზმები** გამოიყენება ოჯახში ძალადობის იმ ფაქტის შემთხვევაში, რომელიც შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს;

**სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმები** გამოიყენება ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით;

**ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები** გამოიყენება შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემის სახით, აგრეთვე მაშინ, თუ სამართალდარღვევა თავისი ხასიათით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა შესაძლებელია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების გამოყენებით.

ამდენად, ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისათვის თავდაპირველად უნდა შეფასდეს სამართალდარღვევათა რა სახესთან (დანაშაულთან, ქონებრივ და არაქონებრივ ზიანთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან და ა.შ.) გვაქვს საქმე და, შესაბამისად, უნდა შეირჩეს რეაგირების ადეკვატური მექანიზმი. ამასთან, შესაძლებელია ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირებისათვის ერთდროულად გამოყენებული იქნეს რამდენიმე მექანიზმი. მაგალითად, სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქო-სამართლებრივი, სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სამოქალაქო-სამართლებრივი.

ოჯახში ძალადობის ყველაზე მძიმე ფორმაა ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. აღნიშნულ ქმედებაზე რეაგირების დროს ხდება სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენება, ანუ იმ მექანიზმებისა, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით: კერძოდ, დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესები.

ოჯახში ძალადობის დეფინიციის გათვალისწინებით ოჯახში ძალადობის ფაქტი შესაძლებელია დაკავშირებული იყოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობასთან: მაგალითად, **მუხლი 116** (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილობობით); **მუხლი 117** (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება); **მუხლი 118** (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება); **მუხლი 120** (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება); **მუხლი 121** (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში); **მუხლი 122** (ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით);

**მუხლი 125** (ცემა); **მუხლი 126** (ძალადობა); **მუხლი 127** (სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება); **მუხლი 128** (განსაცდელში მიტოვება); **მუხლი 137** (გაუპატიურება); **მუხლი 138** (სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება); **მუხლი 139** (სექსობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება); **მუხლი 140** (სექსობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან); **მუხლი 141** (გარყვნილი ქმედება); **მუხლი 143** (თავისუფლების უკანონო აღკვეთა); **მუხლი 144<sup>1</sup>** (წამება); **მუხლი 144<sup>2</sup>** (წამების მუქარა); **მუხლი 144<sup>3</sup>** (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა); **მუხლი 150** (იძულება) **მუხლი 151** (მუქარა) **მუხლი 155** (რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა) **მუხლი 157** (პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფა); **მუხლი 158** (კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა); **მუხლი 168** (შრომის თავისუფლების ხელყოფა); **მუხლი 171** (არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში); **მუხლი 175** (შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება); **მუხლი 176** (ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდება); **მუხლი 181** (გამოძალვა) და ა.შ.

თუ ოჯახში ძალადობას თან ახლავს მსხვერპლისათვის პირადი ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის მიყენება, ზიანის ასანაზღაურებლად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმები. რაც გულისხმობს სასარჩელო წარმოების გზით საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით განსაზღვრული წესითა და პროცედურით ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფას. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით: „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი“. აღნიშნული კოდექსის 413-ე მუხლი ასევე ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურებას არაქონებრივი ზიანისათვის, რომლის მიხედვით: „არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც“. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1212-ე – 1214-ე მუხლები ითვალისწინებს მშობლების მიერ შვილების რჩენისა და ალიმენტის გადახდის წესს, რომლის მიხედვით: „მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. არასრულწლოვანი ან სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილებისათვის გადასახდელი ალიმენტების ოდენობას მშობლები განსაზღვრავენ ურთიერთშეთანხმებით. თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო“.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ უმნიშვნელოვანეს, ამასთან, ოპერატიულ და ქმედით ღონისძიებებს განეკუთვნება **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები**, რომელიც მოიცავს როგორც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე (მაგალითად, წვრილმანი ხულიგნობა (მუხლი 166), ბავშვების აღზრდისა და სწავლების მოვალეობის შეუსრულებლობა (მუხლი 172), თვითნებობა (მუხლი 174) და ა.შ.) რეაგირებას, ასევე საქართველოს სამართლებრივი სისტემისათვის ნოვაციად ქცეულ დამცავ და შემაკავებელ ორდერების გამოყენებას.

### **3.2. დამცავი და შემაკავებელი ორდერები**

ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და მსხვერპლთა დაცვის უმნიშვნელოვანეს და სპეციფიკურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ მექანიზმებს განეკუთვნება დამცავი და შემაკავებელი ორდერები. აღნიშნული ორდერები ჩვენს სამართლებრივ სისტემაში სწორედ „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით იქნა შემოღებული, ოჯახში ძალადობის ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების უზრუნველსაყოფად. დამცავი და შემაკავებელი ორდერები ეს არის სპეციფიკური სამართლებრივი აქტები, რომლითაც, ერთი მხრივ, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დაცვის ღონისძიებები განისაზღვრება, ხოლო, მეორე მხრივ, მოძალადეს გარკვეული მოქმედებების განხორციელებაზე შეზღუდვები უწესდება.

**კანონმდებლობის მიხედვით, ორდერი ორი სახისაა: დამცავი და შემაკავებელი.** აღნიშნული ორდერები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გამოცემის სუბიექტის, მოქმედების ვადის, გასათვალისწინებელი საკითხებით, გამოცემისა და ძალაში შესვლის სპეციფიკურობით. კერძოდ, დამცავი ორდერი გამოიცემა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ხოლო შემაკავებელი ორდერი გამოიცემა პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ოჯახში ძალადობის ფაქტებზე ოპერატიული რეაგირების მიზნით და გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.

**დამცავი ორდერის** გამოცემის მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს, აგრეთვე მისი ოჯახის წევრს ანდა მსხვერპლის თანხმობით პირს, რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში – ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. განცხადება დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის თაობაზე უნდა შევიდეს და განიხილოს პირველი ინსტანციის სასამართლოში, მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სასამართლო განცხადების სასამართლო კანცელარიაში რეგის-

ტრაციიდან 10 დღის ვადაში განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას დამცავი ორდერის გამოცემის, გაუქმების, მოქმედების ვადის გაგრძელების ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ. მხარეთა გამოუცხადებლობა არ აფერხებს აღნიშნული საკითხის განხილვას შესაბამის სასამართლოში.

ოჯახში ძალადობის აღკვეთასთან, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 24 საათის განმავლობაში გადაეცემა მხარეებს. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევაზე რეაგირების მიზნით მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით აგრეთვე ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შესაბამის საუბნო სამსახურს; თუ დამცავი ორდერით გათვალისწინებული საკითხები შეეხება არასრულწლოვანს, სასამართლო გადაწყვეტილება ეგზავნება მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოს, ხოლო თუ სასამართლო გადაწყვეტილება შეეხება იარაღთან დაკავშირებულ საკითხებს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს.

დამცავი ორდერი გამოიცემა 6 თვემდე ვადით. მისი მოქმედების კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს სასამართლო. დამცავი ორდერის მოქმედების ვადის შეცვლის საკითხს წყვეტს სასამართლო. ამასთან, დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია ორდერის მოქმედების პერიოდში და დამატებით არა უმეტეს 3 თვით, თუ არსებობს საფრთხე მსხვერპლის ან ოჯახის სხვა წევრის მიმართ.

დამცავი ორდერის გამოცემასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში, მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში. გასაჩივრება არ აჩერებს გამოცემული დამცავი ან/და შემაკავებელი ორდერის მოქმედებას. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო სასამართლო საჩივრის წარდგენიდან 7 დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დამცავი ორდერი** შეიძლება ითვალისწინებდეს მსხვერპლის დაცვისა და მოძალადისათვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის საკითხებს, კერძოდ:

- ა) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან დაცვის ზომებს;
- ბ) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან გარიდებისა და თავშესაფარში მათი მოთავსების საკითხებს;
- გ) მოძალადის ვალდებულებას – არ შეზღუდოს მსხვერპლი, ისარგებლოს პირადი ნივთებით, ავტომანქანით ან სხვა იმ ქონებით, რომელიც აუცილებელია პიროვნების ნორმალური არსებობისათვის;

- დ) მოძალადის მიერ თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას;
- ე) მოძალადის არასრულწლოვნისგან განცალკევების, მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხებს;
- ვ) მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ სხვა ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მიახლოების საკითხებს;
- ზ) ორდერის მოქმედების ან ორდერით განსაზღვრულ პერიოდში მოძალადისათვის იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით) სარგებლობის უფლების შეზღუდვას ან აკრძალვას, აღნიშნულ პერიოდში იარაღის შექმნის ან შექმნაზე ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვების უფლების აკრძალვასა და პირად საკუთრებაში არსებული ან/და კუთვნილი იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის) შენახვის ან მისი დროებით ჩამორთმევის პირობებს;
- თ) მოძალადის მიერ მსხვერპლის მკურნალობის, თავშესაფარში ყოფნის და სხვა, გონივრულ ფარგლებს მიკუთვნებული ხარჯების ანაზღაურების საკითხებს;
- ი) მოძალადის სარეაბილიტაციო ცენტრში მოთავსების, მისი რეაბილიტაციის ღონისძიებებისა და რეაბილიტაციაზე ზედამხედველობის საკითხებს;
- კ) გაფრთხილებას ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ;
- ლ) სხვა საკითხებს, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.

**შემაკავებელი ორდერი**, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები, გამოიცემა პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ. შემაკავებელი ორდერი გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს. სასამართლო შემაკავებელი ორდერის დასამტკიცებლად წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში განიხილავს ორდერის გამოცემის მიზანშეწონილობის საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების, დამტკიცებაზე უარის თქმის ან ნაწილობრივ დამტკიცების შესახებ. შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებაში დეტალურად აისახება მოძალადისათვის დაწესებული შეზღუდვების პირობები და მსხვერპლის დასაცავად გათვალისწინებული ღონისძიებები. სასამართლო პოლიციის უფლებამოსილი პირის ან პროცესის მონაწილე სხვა პირთა მოთხოვნის საფუძველზე განსაზღვრავს შემაკავებელი ორდერის მოქმედების კონკრეტულ ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბრის №107 ბრძანებით, დამტკიცდა შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმები, ასევე განისაზღვრა მათი შედგენის უფლება-



მოსილი პირები. აღნიშნულ ბრძანებაში 2010 წლის 24 მარტს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №333 ბრძანებით, შეტანილი იქნა ცვლილებები და ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა შემაკავებელი ორდერისა და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმები.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ზემოაღნიშნული ბრძანების მიხედვით, შემაკავებელი ორდერისა და შემაკავებელი ორდერის ოქმის შედგენის უფლებამოსილ პირებად განისაზღვრნენ: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სახაზო დანაყოფების შემდეგი თანამდებობის პირები: ა) ოცეულის მეთაური; ბ) ათეულის მეთაური; გ) უფროსი პატრულ-ინსპექტორი; დ) პატრულ-ინსპექტორი; ე) უმცროსი პატრულ-ინსპექტორი, ხოლო იმ ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც განსაზღვრული არ არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო ტერიტორია, შემაკავებელი ორდერისა და შემაკავებელი ორდერის ოქმის შედგენის უფლებამოსილ პირებად განისაზღვრნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების უბნის ინსპექტორები.



საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მიხედვით პოლიციის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს:

- ა) მოძალადის იმ სახლისაგან მოშორების საკითხს, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, იგი ამ სახლის მესაკუთრეა თუ არა;
- ბ) მოძალადისაგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის გარიდებისა და თავშესაფარში მათი მოთავსების საკითხებს;
- გ) მოძალადის მიერ თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას;
- დ) მოძალადის არასრულწლოვნისგან განცალკევების საკითხებს;
- ე) მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ სხვა ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მოძალადის მიახლოების საკითხებს;
- ვ) ორდერის მოქმედების ან ორდერით განსაზღვრულ პერიოდში მოძალადისათვის იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-სამშტატო იარაღით) სარგებლობის უფლების შეზღუდვას ან აკრძალვას, აღნიშნულ პერიოდში იარაღის შექენის ან შექენაზე ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვების უფლების აკრძალვასა და პირად საკუთრებაში არსებული ან/და კუთვნილი იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის) შენახვის ან მისი დროებით ჩამორთმევის პირობებს;
- ზ) გაფრთხილებას ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ;

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 21<sup>15</sup> მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, გამოცემულ დამცავ და შემაკავებელ ორდერებში ძალადობის ფორმების გათვალისწინებით შესაძლებელია, მიეთითოს ზემოაღნიშნული საკითხებიდან ერთ-ერთი ან ყველა ერთად.

შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება გამოცხადებისთანავე შედის ძალაში და 24 საათის განმავლობაში ეგზავნება პროცესის მონაწილე მხარეებს, აგრეთვე ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შესაბამის საუბნო სამსახურს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევაზე რეაგირების მიზნით; თუ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული საკითხი შეეხება არასრულწლოვანს, სასამართლო გადაწყვეტილება ეგზავნება მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოს, ხოლო თუ სასამართლო გადაწყვეტილება შეეხება იარაღთან დაკავშირებულ საკითხებს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს.

შემაკავებელი ორდერის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილება მიიღება და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჩი-

ვრდება დამცავი ორდერის გამოცემისა და გასაჩივრებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემასთან დაკავშირებული სასამართლო წარმოებისას განცხადების წარმდგენი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

### **3.3. პასუხისმგებლობა დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის**

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით: „მოძალადის მიერ შემაკავებელი/დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსებით კი დადგენილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისა და შეუსრულებლობისათვის. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175<sup>2</sup> მუხლის მიხედვით, განსაზღვრულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შემაკავებელი ორდერის დარღვევის შემთხვევაში განისაზღვრება მოძალადისათვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდებით 7 დღემდე ვადით ან გამასწორებელი სამუშაოების შეფარდებით ერთ თვემდე ვადით, ხოლო დამცავი ორდერის დარღვევის შემთხვევაში – ადმინისტრაციული პატიმრობით 30 დღემდე ვადით ან გამასწორებელი სამუშაოებით სამ თვემდე ვადით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის მე-13 ნაწილის მიხედვით, ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები, ხოლო კოდექსის 208-ე მუხლის მიხედვით, საქმეს განიხილავენ რაიონული (საქალაქო) სასამართლოები. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 246-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებს ენიჭებათ აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირის ადმინისტრაციული დაკავების უფლებამოსილება.



საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დამცავი და შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქმეები განიხილება ერთი დღე-ღამის განმავლობაში. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას ადმინისტრაციულ პასუხისმგებში მიცემული პირის დასწრება სავალდებულოა. თუ ეს პირი თავს არიდებს შინაგან საქმეთა ორგანოს ან ადმინისტრაციული სასამართლოს (მოსამართლის) გამოძახებით გამოცხადებას, იგი შეიძლება იძულებით იქნეს მიყვანილი შინაგან საქმეთა ორგანოს მიერ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381<sup>1</sup> მუხლი ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის. კერძოდ, აღნიშნული მუხლის მიხედვით, სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობა, ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175<sup>2</sup> მუხლის შესაბამისად, ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსაბედელშეფარდებული პირის მიერ. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმად განსაზღვრულია ჯარიმა ან

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, პოლიციას ეკისრება ვალდებულება, კანონით გათვალისწინებული რეაგირება მოახდინოს დამცავი და შემაკავებელი ორდერების დარღვევაზე. აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 21<sup>13</sup> მუხლის 7<sup>1</sup> ნაწილით, ასევე 21<sup>14</sup> მუხლის მე-7 ნაწილით და 21<sup>15</sup> მუხლის მე-6 ნაწილით, გათვალისწინებულია ნორმა, რომლის მიხედვით სასამართლოს მიერ გამოცემული დამცავი ორდერი და სასამართლოს მიერ დამტკიცებული შემაკავებელი ორდერი მისი მიღებიდან (დამტკიცებიდან) 24 საათის განმავლობაში ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შესაბამის საუბნო სამსახურს შემაკავებელი და დამცავი ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევაზე რეაგირების მიზნით.

### **3.4. პოლიციის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების თვალსაზრისით**

ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების მთავარი ფუნქცია „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით, დაკისრებული აქვს პოლიციას. აღნიშნული კანონის მე-16 მუხლის მიხედვით: „პოლიცია ვალდებულია ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.“ ამავ მუხლის მიხედვით კი, ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების მიღების შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია, დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე, მიუხედავად იმისა, პოლიციის ორგანოებს მიმართა დაზარალებულმა, ძალადობის მოწმემ თუ სხვა პირმა. ამასთან, ძალადობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია:

- ა) მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები ოჯახში ძალადობის ფაქტის აღსაკვეთად;
- ბ) განცალკევებულად გამოკითხოს ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი, მოწმე, მოძალადე, მათ შორის, არასრულწლოვანი, რაც ნერილობით უნდა დაფიქსირდეს;
- გ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლს მიანოდოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ;
- დ) მსხვერპლის მოთხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოს მისი გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში;
- ე) მსხვერპლის მოთხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოს მისი ან/და არასრულწლოვნის გადაყვანა თავშესაფარში;

- ვ) სხვა ადგილზე მსხვერპლის გადაყვანის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი საცხოვრებელი ადგილიდან პირველადი საჭიროების ნივთებისა და საიდენტიფიკაციო დოკუმენტების წამოღება;
- ზ) უზრუნველყოს იმ პირის უსაფრთხოება, რომელმაც განაცხადა ძალადობის ფაქტის შესახებ;
- თ) კანონით დადგენილი წესითა და პირობებით გასცეს შემაკავებელი ორდერი.



„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, პოლიცია ოჯახში ძალადობის ფაქტისა და მიღებული ზომების შესახებ ადგენს ოქმს, რომელსაც წარუდგენს ზედამხედველ პროკურორს, ხოლო იმავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით: „პოლიცია ვალდებულია თავის ანგარიშში ცალკე გამოყოს მონაცემები ოჯახში ძალადობის ფაქტების, მიღებული ზომების, მსხვერპლთა რაოდენობის, მოძალადის მიმართ განხორციელებული ქმედებების, აგრეთვე მოძალადის სხვა მონაცემების შესახებ“.

ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საყურადღებოა ასევე „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი და აღნიშნული კანონით პოლიციისათვის გათვალისწინებული ამოცანები, უფლებები და მოვალეობები. მითითებული კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, პოლიციის ამო-

ცანაა „ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან; საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა, ასევე პრევენციული ღონისძიებების განხორციელება დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების შესახებ საფრთხის თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით“. აღნიშნული ამოცანების უზრუნველყოფის მიზნით „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი ითვალისწინებს პოლიციის შემდეგ მოვალეობებს: თავისი კომპეტენციის ფარგლებში რეაგირება მოახდინოს ოჯახში ძალადობისაგან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევაზე; დაადგინოს დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების გამოწვევი მიზეზები და პირობები, მიიღოს ზომები მათ აღმოსაფხვრელად, გამოავლინოს, გამოიძიოს და აღკვეთოს დანაშაული; მიიღოს და რეგისტრაციაში გაატაროს შემოსული ინფორმაცია დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის შესახებ, დაუყოვნებლივ მოახდინოს მასზე რეაგირება, აწარმოოს სამართალდარღვევებისა და მათი ჩამდენი პირების აღრიცხვა; სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაიწყოს გამოძიება და ამის შესახებ აცნობოს პროკურორს; თავისი კომპეტენციის ფარგლებში სათანადო დახმარება აღმოუჩინოს სახელმწიფოს სხვა ორგანოებსა და მოქალაქეებს; აღკვეთოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, კანონით დადგენილი წესით განიხილოს და გადაწყვიტოს თავის კომპეტენციას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები; მიიღოს გადაუდებელი ზომები, თუ ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნა; გადაუდებელი დახმარება აღმოუჩინოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და უზედური შემთხვევის შედეგად დაზარალებულ, უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირს, თუ მას დაკარგული აქვს დამოუკიდებლად გადაადგილების უნარი; განახორციელოს დაზარალებულის, მონმისა და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეების, მათი ოჯახის წევრების დაცვის ღონისძიებები, თუ მათი სიცოცხლე, ჯანმრთელობა ან/და ქონება საფრთხეშია; აღასრულოს სასამართლოს, პროკურორისა და გამომძიებლის გადაწყვეტილებები დაკავების ან დაპატიმრების შესახებ, ასევე მოსამართლის დადგენილებები ადმინისტრაციული დაპატიმრების შესახებ, უზრუნველყოს დაკავებული ან დაპატიმრებული პირის დაცვა და პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანა.

ამასთან, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს პოლიციის უფლებებს, რომლის მიხედვით, დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად პოლიციას უფლება აქვს: ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის, მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით გამოსცეს შემაკავებელი ორდერი; თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეადგინოს ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ და შეუფარდოს დამრღვევს ადმინისტრაციული სახდელი; კანონით დადგენილი წესით განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო

და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებები და საგამოძიებო მოქმედებები იმ დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენის და აღკვეთის მიზნით, რომლის გამოძიება, საქართველოს კანონმდებლობით პოლიციის კომპეტენციას განეკუთვნება; თუ დაყოვნება საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, დაუბრკოლებლად შევიდეს საცხოვრებელ ბინებსა და მოქალაქეთა კუთვნილ სათავსებში, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ტერიტორიებზე და შენობა-ნაგებობებში დანაშაულის აღსაკვეთად ან/და იმ პირის დასაკავებლად, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული ან რომელიც ბრალდებულია დანაშაულის ჩადენაში (მუხლი 9.).

ასევე საყურადღებოა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 26 აგვისტოს №875 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურების შესახებ ინსტრუქცია“, რომლის მე-15 მუხლის მიხედვით, უბნის ინსპექტორი ოჯახური კონფლიქტების სფეროში: „ავლენს და აღრიცხავს უბნის პასპორტში იმ პირებს, რომლებიც ჩადიან სამართალდარღვევებს საოჯახო სფეროში; განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ოჯახურ კონფლიქტებს, რომელთა შედეგად ზარალდებიან ბავშვები; ოჯახური და მეზობლური კონფლიქტის გამოვლენის შემდეგ სწავლობს კონფლიქტის წარმოშობის მიზეზებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში მუშაობს ამ მიზეზების აღმოფხვრის საკითხებზე; განუმარტავს მოქალაქეებს, რომ მათ შორის წარმოშობილი დავა გადაწყვიტონ მორიგებით ან სასამართლო ორგანოების მეშვეობით. ოჯახური და მეზობლური დავების მოსაგვარებლად ატარებს პროფილაქტიკური ხასიათის ღონისძიებებს, რასაც პატაკის სახით აცნობებს უშუალო უფროსს და შემდგომში მოქმედებს მისი მითითებით; ავლენს და უბნის პასპორტში აღრიცხავს არასრულწლოვნებს, რომლებიც სისტემატიურად არიან შემჩნეულნი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, აგრეთვე მშობლებს (მეურვეებს), რომლებიც კეთილსინდისიერად არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას“.

ოჯახში ძალადობის ფაქტებზე პოლიციის რეაგირების საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანია შევეხოთ იმ პოზიტიურ გამოცდილებას, რომელიც აღნიშნულ სფეროში ჩამოყალიბდა აშშ-ს მინესოტას შტატში. მიიჩნევა, რომ ყველაზე სრულყოფილი მოდელი ოჯახში ძალადობის დასაძლევად შეიმუშავეს სწორედ იქ – აშშ-ში, მინესოტას შტატის ქალაქ დულუსში. ეს არის ძალადობის მსხვერპლის დასაცავად განხორციელებული თანამშრომლობის უნიკალური ვარიანტი პოლიციას, სასამართლოს, პროკურატურას, პირობითი სასჯელის მქონე განსასჯელებთან მომუშავე ოფიცრებს, დაზარალებულთა ადვოკატებს, საკონსულტაციო პროგრამებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. პოლიციამ გააცნობიერა რა ამ სამართალდარღვევის არსი, შეცვალა თავისი დამოკიდებულება პრობლემისადმი და პრიორიტეტი მსხვერპლის უსაფრთხოებას მიანიჭა. შესაბამისად, პოლიციამ თანდათან შეცვალა გამოძიების წარმოების, დაკითხვის ოქმების შედგენის, ოფიცრთა გადამზადებისა და ხელისუ-



ფლების სხვადასხვა სტრუქტურებთან მუშაობის მეთოდები. ამიტომ, ამ მოდელს „დულუსის“ მოდელს უწოდებენ. მისი წარმატება მდგომარეობს იმაში, რომ სამართალდამცავმა და არასამთავრობო სტრუქტურებმა იპოვეს თანამშრომლობის უნიკალური გზა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია მსხვერპლის დაცვისა და უსაფრთხოებისაკენ. „დულუსის მოდელის“ არსს წარმოადგენს პოლიციის თანამშრომელთა გათვითცნობიერება ოჯახში ძალადობის ფაქტებისადმი ახლებურ მიდგომასა და, შესაბამისად, ოჯახში ძალადობის საქმის ახლებურად წარმოებაში, ძალადობის ფაქტის ანალიზში, მსხვერპლის, მოძალადისა და მონმეების დაკითხვის ახლებური მეთოდოლოგიის შემუშავებაში. ამასთან, „დულუსის მოდელის“ სწავლების მიზანია: შეცვალოს პოლიციის მუშაობის ტრადიციული მიდგომა ოჯახში ძალადობის ფაქტებთან მიმართებაში, პოლიციელებმა გააცნობიერონ მათი მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობა სასამართლო ხელისუფლებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან; შეიცვალოს პოლიციის ტრადიციული შემგუებლობა ოჯახში ძალადობის მიმართ; საჭიროა პოლიციელებმა გააცნობიერონ, როგორ და რატომ ასრულებენ ისინი მთავარ როლს ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისას, მსხვერპლის დაცვისა და უსაფრთხოებისას, მოძალადის პასუხისმგებლობისას.



### **3.5. მოძალადისათვის იარაღის ჩამორთმევის (იარაღით სარგებლობის შეზღუდვის) წესი და პირობები**

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსი და „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოძალადისათვის იარაღის, როგორც მომეტებული საფრთხის შემცველი საგნის, ჩამორთმევის ან/და მისი ტარების შეზღუდვის საკითხს. მითითებული კანონების მიხედვით, მოძალადისათვის იარაღის ჩამორთმევის ან/და მისი ტარების შეზღუდვის საკითხები რეგულირდება დამცავი და შემაკავებელი ორდერების მიხედვით. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 21<sup>15</sup> მუხლის მე-3 ნაწილის ზ) ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-4 ნაწილის ვ) ქვეპუნქტით გათვალისწინებულია ნორმა, რომლის მიხედვით, დამცავ და შემაკავებელ ორდერებში მიეთითება „ორდერის მოქმედების ან ორდერით განსაზღვრულ პერიოდში მოძალადისათვის იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-სამშტატო იარაღით) სარგებლობის უფლების შეზღუდვა ან აკრძალვა, აღნიშნულ პერიოდში იარაღის შექენის ან შექენაზე ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვების უფლების აკრძალვა და პირად საკუთრებაში არსებული ან/და კუთვნილი იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის) შენახვის ან მისი დროებით ჩამორთმევის პირობები“.

„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მოძალადეს დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და ვადით ეკრძალება პირად საკუთრებაში არსებული იარაღის ტარება, ხოლო ეზღუდება ან ეკრძალება სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის ტარება. დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოქმედების ან დამცავი და შემაკავებელი ორდერებით განსაზღვრულ პერიოდში მოძალადეს ჩამოერთმევა პირად საკუთრებაში არსებული იარაღი და შეეზღუდება ან ჩამოერთმევა გადაცემული სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის ტარების უფლება. ჩამორთმეული იარაღი შეინახება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით: „მოძალადეს დამცავი ორდერის მოქმედების ან დამცავი ორდერით განსაზღვრულ პერიოდში ეკრძალება იარაღის შექენა“. ნიშანდობლივია, რომ „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის თ) ქვეპუნქტის მიხედვით, იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებული ლიცენზია (ნებართვა) არ გაიცემა, თუ ლიცენზიის (ნებართვის) მაძიებელი პირის მიმართ გამოცემულია დამცავი ან შემაკავებელი ორდერი – ამ ორდერით განსაზღვრულ შემთხვევებში და ვადით.

„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მიხედვით, პირისათვის იარაღის ჩამორთმევა ხდება მის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ან დამცავი ორდერით განსაზღვრულ შემთხვევებში და ვადით. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნ-

ქტით, დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოქმედების ან დამცავი და შემაკავებელი ორდერებით განსაზღვრულ პერიოდში მოძალადისათვის მისი კუთვნილი იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის) შენახვის ან აღნიშნულ პერიოდში მისი დროებით ჩამორთმევის პირობები განისაზღვრება შესაბამისი ორდერით. დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოქმედების ან დამცავი და შემაკავებელი ორდერებით განსაზღვრულ შემთხვევებში მოძალადისათვის ჩამორთმეული პირად საკუთრებაში არსებული იარაღის შენახვის წესი და პირობები, აგრეთვე სამსახურებრივ-სამშტატო იარაღით შეზღუდულად სარგებლობის ან/და ჩამორთმევის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით“.

„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოაღნიშნული ნორმის გათვალისწინებით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №1094 ბრძანებით, დამტკიცდა „ოჯახში ძალადობის დროს მოძალადისათვის ჩამორთმეული პირად საკუთრებაში არსებული იარაღის შენახვის წესი და პირობები, აგრეთვე მოძალადისთვის სამსახურებრივ-სამშტატო იარაღით შეზღუდულად სარგებლობის ან/და ჩამორთმევის წესი და პირობები“.

ზემოაღნიშნული წესის მე-2 მუხლის მიხედვით: „მოძალადისთვის ჩამორთმეული პირად საკუთრებაში არსებულ იარაღის შენახვაზე, აგრეთვე სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის ჩამორთმევასა და შესაბამისი ორგანოსთვის გადაცემაზე უფლებამოსილი პირია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს: ა) საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი დანაყოფი (ხოლო იმ ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც არ მოქმედებს საპატრულო პოლიციის იურისდიქცია სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს საუბნო სამსახური) შემაკავებელი ორდერის გამოცემის შემთხვევაში; ბ) შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს საუბნო სამსახური, დამცავი ორდერის გამოცემის შემთხვევაში.

მითითებული წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით: „უფლებამოსილი პირი ჩამორთმეულ იარაღს ინახავს შემაკავებელი ან დამცავი ორდერის მოქმედების ვადით“. ამასთან, უფლებამოსილი პირი ვალდებულია, უზრუნველყოს ჩამორთმეული იარაღის სათანადოდ შენახვა, რისთვისაც აღნიშნული პირი ჩამორთმეულ იარაღს დალუქული სახით სპეციალურ სათავსში ინახავს.

იარაღის ჩამორთმევის საფუძვლების გაუქმების შემთხვევაში იარაღის მესაკუთრეს უფლება აქვს, დაიბრუნოს ჩამორთმეული იარაღი. მესაკუთრისთვის ჩამორთმეული იარაღის დაბრუნების დროს დგება შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელს აწერს უფლებამოსილი თანამდებობის პირი. იარაღის დაბრუნების შემთხვევაში იარაღზე დადებულ ლუქს ხსნის პირი, რომელმაც უზრუნველყო მისი შენახვა.

მოძალადისთვის სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის ჩამორთმევა ხდება შემაკავებელი ან დამცავი ორდერის საფუძველზე. სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის ჩამორთმევის შემთხვევაში დგება შესაბამისი ოქმი. ამასთან, ჩამორთმეული სამსახურებრივ-სამშტატო იარაღი უნდა გადაე-

ცეს იმ ორგანოს, რომელმაც აღნიშნულ იარაღს სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსი მიანიჭა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №1094 ბრძანებით დამტკიცებული „ოჯახში ძალადობის დროს მოძალადისათვის ჩამორთმეული პირად საკუთრებაში არსებული იარაღის შენახვის წესისა და პირობების, აგრეთვე მოძალადისთვის სამსახურებრივ-საშტატო იარაღით შეზღუდულად სარგებლობის ან/და ჩამორთმევის წესისა და პირობების“ მე-6 მუხლის მიხედვით, მოძალადისთვის სამსახურებრივ-საშტატო იარაღის შეზღუდულად სარგებლობის პირობები შეიძლება განისაზღვროს შემაკავებელი ორდერით. შემაკავებელი ორდერის გამოცემის დროს, მოძალადისთვის სამსახურებრივ-საშტატო იარაღის შეზღუდულად სარგებლობის საკითხის გადაწყვეტისას, უფლებამოსილმა პირმა მხედველობაში უნდა მიიღოს მოძალადის სამსახურის სპეციფიკა. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის შეზღუდულად სარგებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, შემაკავებელ ორდერში კეთდება მხოლოდ ზოგადი ჩანაწერი სამსახურებრივ-საშტატო იარაღის შეზღუდულად სარგებლობის შესახებ. აღნიშნული კატეგორიის იარაღის სარგებლობის კონკრეტულ პირობებს კი, ოჯახში ძალადობის საფრთხის თავიდან აცილების ინტერესების გათვალისწინებით, განსაზღვრავს მოძალადის უშუალო უფროსი. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის შეზღუდულად სარგებლობის შეზღუდვების მოხსნის საფუძველია შემაკავებელი ორდერის გაუქმება ან მისი პირობების შეცვლა.

### **3.6. ოჯახში ძალადობის პრევენცია და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციალური დაცვის მექანიზმები**

ოჯახში ძალადობის პრობლემის დაძლევისა და თავიდან აცილებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებებს. შესაბამისად, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი სათანადო ყურადღებას უთმობს ოჯახში ძალადობის თავიდან აცილების ღონისძიებებს, ასევე განსაზღვრავს აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ უწყებებს.

კანონის მიხედვით, ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები გულისხმობს: ა) იმ ფაქტორების ანალიზს, შესწავლასა და შეფასებას, რომლებიც ოჯახში ძალადობის მიზეზებია; ბ) ეფექტიანი სამართლებრივი მეთოდების დანერგვას ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოსავლენად და აღსაკვეთად; გ) შესაბამისი სტატისტიკის წარმოებას; დ) პრევენციული ღონისძიებების გატარებას იმ პირების მიმართ, რომლებიც ოჯახში ძალადობის ჩადენის რისკ-ჯგუფებს განეკუთვნებიან ან რომელთაც ოჯახში ძალადობა აქვთ ჩადენილი; ე) სათანადო საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმართვას, რათა ადამიანები ფლობდნენ ინფორმაციას თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების, ასევე დაცვის გარანტიების შესახებ, მათ შორის, იმ უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, რომლე-

ბი) უზრუნველყოფს ოჯახის წევრთა თანასწორობასა და ურთიერთვალდებულებებს; ვ) ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მოძალადის პასუხისმგებლობის, მსხვერპლის უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის გარანტიების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და ხელმისაწვდომობას; ზ) ოჯახში ძალადობის ფაქტების შემთხვევაში მსხვერპლთათვის დახმარებისა და დაცვის, ხოლო მოძალადეთათვის – სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელებას; თ) ოჯახში ძალადობის პრევენციის უზრუნველსაყოფად დაინტერესებულ ინსტიტუტებთან ერთად ერთობლივი პროგრამების შექმნასა და მხარდაჭერას. კანონის მიხედვით, ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს პროკურატურისა და სასამართლო ორგანოები.

პრევენციის ღონისძიებების განსაზღვრასთან ერთად „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს მსხვერპლთა სოციალური დაცვის გარანტიებს, მათი რეალიზაციისა და სარგებლობის წესსა და პირობებს. კანონმდებლობის მიხედვით, მსხვერპლს გააჩნია შემდეგი სოციალური დაცვის გარანტიები: მოძალადისაგან დაცვის სპეციალური ზომებით სარგებლობის უფლება, თავშესაფრით სარგებლობის უფლება, პირველადი გადაუდებელი სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარებით სარგებლობის უფლება, თავშესაფრით სარგებლობის პერიოდში იმავე თანამდებობაზე მუდმივი სამუშაო ადგილის შენარჩუნების უფლება.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, მსხვერპლის დაცვის მნიშვნელოვან სოციალურ გარანტიას წარმოადგენს მსხვერპლის დროებითი განთავსების ადგილით – თავშესაფრით უზრუნველყოფა. კანონის მიხედვით, თავშესაფარი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ან/და არასამეწარმეო იურიდიული პირის ბაზაზე არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილია, რომელიც ემსახურება მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას, აგრეთვე მისი დაცვის ღონისძიებებს.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მიხედვით: „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი უნდა აკმაყოფილებდეს მსხვერპლის საყოფაცხოვრებო პირობებს და უნდა უზრუნველყოფდეს მის პირველად და გადაუდებელ სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებას. ხოლო არასამეწარმეო

იურიდიული პირის მიერ თავშესაფრის შექმნა დასაშვებია, თუ იგი აკმაყოფილებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ამ ტიპის დანესებულებისათვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით: „თავშესაფარში მსხვერპლის მოთავსება ხდება 3 თვემდე ვადით. საჭიროების შემთხვევაში ეს ვადა გაგრძელდება თავშესაფრის წესდებით (შინაგანანესით) დადგენილი წესით. თავშესაფარში მოთავსების ვადის ამონაწერის შემდეგ, მსხვერპლის მიმართ საფრთხის არსებობის შემთხვევაში, თავშესაფრის ადმინისტრაცია ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს შემდგომი რეაგირების უზრუნველსაყოფად“. ამასთან, მითითებული კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით: „მსხვერპლის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსების შემთხვევაში მას იმავე თანამდებობაზე უნარჩუნდება სამუშაო ადგილი“.

აღსანიშნავია, რომ „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი განთავსების მიზნით ასევე ითვალისწინებს კრიზისული ცენტრების შექმნასა და ფუნქციონირებას. მითითებული კანონის მე-4 მუხლის ლ) ქვეპუნქტის მიხედვით, კრიზისული ცენტრი არის ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთა და მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებასა და სამართლებრივ დახმარებას. კრიზისულ ცენტრში პირის (მასზე დამოკიდებული პირების) განთავსება შესაძლებელია მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრამდე და სტატუსის განსაზღვრის შემდეგ იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლი არ გამოთქვამს თავშესაფარში მისი საცხოვრებლად განთავსების სურვილს და საჭიროებს მხოლოდ ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას ან/და სამართლებრივ დახმარებას ან/და პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას თავშესაფარში ცხოვრების გარეშე. კრიზისული ცენტრები, ისევე როგორც თავშესაფრები, იქმნება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ან/და არასამეწარმეო იურიდიული პირის ბაზაზე. არასამეწარმეო იურიდიული პირის მიერ შექმნილი კრიზისული ცენტრი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ამ ტიპის დანესებულებისათვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სოციალური და შრომითი უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიად უნდა ჩაითვალოს საქართველოს შრომის კოდექსში არსებული ნორმა, რომლის მიხედვითაც: „ოჯახში ძალადობის მსხვერპლს თავშესაფარში ან/და კრიზისულ ცენტრში მოთავსების პერიოდში, თუ მის მიერ შეუძლებელი ხდება სამსახურებრივ მოვალობათა შესრულება, უჩერდება შრომითი ურთიერთობა (მაგრამ

არა უმეტეს 30 კალენდარული დღისა წელიწადში) ისე, რომ აღნიშნული არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას“. ანალოგიურ ნორმას შეიცავს სახელმწიფო მოხელესთან მიმართებაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი. ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის ვ)¹ ქვეპუნქტის მიხედვით ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსებისას, თუ მოხელეს აღარ შეუძლია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება, დამქირავებლისათვის შეტყობინების ვალდებულება ეკისრება მომსახურების გამწვევ ორგანიზაციას.

## თავი IV.

### ოჯახში ძალადობის ფაქტის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის იდენტიფიცირების საკითხები

---

#### **4.1. პოლიციის მიერ ოჯახში ძალადობის ფაქტის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის პირველადი იდენტიფიცირების საკითხები**

ოჯახში ძალადობის ფაქტებზე ადეკვატური და ეფექტური რეაგირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ოჯახში ძალადობის ფაქტის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის იდენტიფიკაციის საკითხებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და ტერიტორიული ორგანოების უფლებამოსილი პირები – პატრულ-ინსპექტორები და უბნის ინსპექტორ-გამომძიებლები – არიან ის პირები, რომლებსაც სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ოჯახში ძალადობის ფაქტებზე კანონმდებლობით გათვალისწინებული პირველადი მოქმედების განხორციელება ეკისრებათ. გარდა ამისა, უბნის-ინსპექტორ გამომძიებლების ვალდებულებაა, ოჯახში ძალადობის ფაქტების აღკვეთის შემდეგ, უფლებამოსილი ორგანოების მიერ გამოცემული აქტების – დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოთხოვნების დაცვაზე კონტროლის განხორციელება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უბნის-ინსპექტორ გამომძიებელთა და პატრულ-ინსპექტორთა მიერ ოჯახში ძალადობის ფაქტების სრულყოფილი შესწავლა, პრობლემის სრულფასოვნად გააზრება, ასევე ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა დადგენა, სავალდებულო პირობაა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ოჯახში ძალადობის აღკვეთა, პრევენცია, მსხვერპლთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, აგრეთვე მოძალადეთა რეაბილიტაცია სახელმწიფოს ვალდებულებაა, ამ ვალდებულების სრულფასოვნად შესრულებისთვის კი, აუცილებელია მოძალადის, განსაკუთრებით კი ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირება. ამასთან, იდენტიფიცირება უნდა მოხდეს საფუძვლიანი ვარაუდის არსებობის დროს, საქმესთან დაკავშირებული და ურთიერთშეჯერებული მტკიცებულებების გათვალისწინებით.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრუ-



ლია ოჯახში ძალადობის არსი და მისი ფორმები, თუმცა, მათი დადგენის ინდიკატორებზე კანონში არაფერია ნათქვამი. უფრო მეტიც, ძალადობის რთული ბუნებიდან გამომდინარე, ინდიკატორების იდეალური ინდივიდუალიზაცია შეუძლებელია. მით უფრო, რომ ძალადობის სხვადასვა ფორმა დამოუკიდებლად თითქმის არასდროს გვხვდება. გარდა ამისა, ძალადობის თითოეულ შემთხვევას თავისი დამოუკიდებელი ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმები ახასიათებს და სწორედ ამიტომ ძალადობის ფორმის განსაზღვრისას დაუშვებელია სტერეოტიპული მიდგომით ხელმძღვანელობა.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, პოლიციის უფლებამოსილი პირი, ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმაციაზე რეაგირების დროს, ადგილზე გამოცხადებისთანავე ძალადობის აღსაკვეთად იღებს ზომებს. ამის შემდეგ იწყებს მოქმედებებს ძალადობის რეალური მსხვერპლის (მსხვერპლების) და მოძალადის (მოძალადეების) დასადგენად. განსახორციელებელი მოქმედებები შეიძლება შემდეგი თვალსაზრისით განისაზღვროს:

- 1. აუცილებელია მოხდეს სავარაუდო მსხვერპლისა და მოძალადის დაშორიშორება.** თუ შესაძლებელია, პირველი შეხედვით გამოკვეთილი დაპირისპირებული მხარეები განთავსდნენ დამოუკიდებელ ოთახებში, ხოლო საუბარი თითოეულ პირთან შედგეს ოჯახის სხვა წევრისაგან განცალკევებულად (გამონაკლისს წარმოადგენს არასრულწლოვანი).
- 2. პოლიციელის უპირველესი მიზანი, რომელიც შედის კონტაქტში ძალადობის პოტენციურ მსხვერპლთან, არის ნდობის დამყარება.** გვახსოვდეს, რომ პოლიციელის გარეგნული იერსახე, განონასწორებული, დამაჯერებელი ტონი, შედარებით მარტივი სამართლებრივი ტერმინებით საუბარი ნდობის მოპოვების წინაპირობაა.
- 3. აუცილებელია განსიზღვროს გასაუბრების მიზანი.** თავიდანვე განემართოს გამოსაკითხ პირს, რომ ოჯახის თითოეული წევრის უფლებები დაცულია კანონით, რომ აუცილებელია ოჯახში კონფლიქტური სიტუაციის არსებობისას დროულად მოხდეს რეაგირება, რათა თავიდან იქნეს აცილებული კონფლიქტის უფრო მეტად გამწვავება, რაც, თავისთავად, უფრო მკაცრ სამართლებრივ შედეგებს გამოიწვევს.
- 4. გასაუბრების დროს პიროვნებას უნდა მიეცეს საშუალება, ილაპარაკოს თავისუფლად, თავისუფალი თხრობით.** შესაძლებელია, პოლიციელმა აკონტროლოს გასაუბრება, მაგრამ მსხვერპლს ანდა მოძალადეს არ უნდა მოახვიოს თავისი მოსაზრებები.

5. **არ გააპროტესტოს მონათხრობი.** მაგალითად, ასეთი ფორმით: „შეუძლებელია ასეთი რამ მომხდარიყო“, „ის ამას ვერ გააკეთებდა“ და სხვა.
6. **გაესაუბროს სავარაუდო მსხვერპლს მისი უფლებებისა და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ.** სავარაუდო მსხვერპლს მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია მისი სამართლებრივი (შემაკავებელი, დამცავი ორდერი) და სოციალური (თავშესაფარი, კრიზისული ცენტრი) დაცვის მექანიზმების შესახებ.
7. **აუხსნას სავარაუდო მსხვერპლს, რომ საკითხის კონფიდენციალურობა გარანტირებული და დაცულია სახელმწიფოს მიერ.** ოფიციალურ ორგანოებში ოჯახში ძალადობის შესახებ არსებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და დაცულია საქართველოს კანონმდებლობით. დაზარალებულის მოთხოვნის შემთხვევაში სასამართლო განხილვა, დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე, შესაძლებელია ჩატარდეს დახურულ სხდომაზე.
8. **შეეცადონ, მსხვერპლს წყვილად ესაუბრონ, კოლეგების დახმარებით (თუ მოცემულ სიტუაციაში ეს გარემოება გაზრდის ნდობის ხარისხს).** არ არის გამორიცხული, ადამიანს პირისპირ საუბარი ზედმეტად ინტიმურად მოეჩვენოს და ნაკლებად გულახდილი იყოს ფაქტებზე მსჯელობის დროს.
9. **თუ სავარაუდო მსხვერპლი ქალია, სასურველია, ერთ-ერთი პოლიციელი ქალი იყოს.** გასათვალისწინებელია ეთნიკური წარმომავლობა, რელიგიური აღმსარებლობა და სხვა ინდივიდუალური ფაქტორები.
10. **ზუსტად განუმარტოს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს გატარებული ღონისძიებების სამართლებრივი შედეგების შესახებ.** შემაკავებელი ორდერის გამოცემის შემთხვევაში, მიაწოდოს ინფორმაცია მისი შემდგომი ადმინისტრირების შესახებ: თუ სად გადაიგზავნება ეს დოკუმენტი და რა ფორმით განხორციელდება მის შესრულებაზე ზედამხედველობა.
11. **არ დაპირდეს იმას, რისი შესრულებაც არ შეუძლია.** რათა არ მოხდეს ნდობის შესუსტება პოლიციასა და საზოგადოებას შორის.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტის, მსხვერპლისა და მოძალადის **იდენტიფიცირების პროცესს ახასიათებს სირთულეები.** ოჯახში ძალადობის მსხვერპლები ხშირად არ თანამშრომლობენ

ან შეგნებულად თავს იკავებენ სამართალდამცავებისათვის ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე, ამის მიზეზი შეიძლება იყოს:

- **შიშის ფაქტორი.** სავარაუდო მსხვერპლს მიაჩნია, რომ პოლიციის წასვლის შემდეგ მასზე ანგარიშსწორება მოხდება.
- **სირცხვილის გრძობა.** მიაჩნია, რომ სამეზობლოში, სანათესაოში ის თითოთ საჩვენებელ ადამიანად იქცევა, რომელმაც არ დაიცვა ოჯახის საიდუმლოება. სექსუალური ძალადობის შემთხვევაში შეურაცხყოფილად იგრძნობს თავს და სხვა.
- **სტიგმატიზაცია.** სოციალური, კულტურული თუ რელიგიური შეხედულების გამო ცნობიერებაში გამჯდარია არასწორი შეხედულება ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულებისა და თანასწორუფლებიანობის შესახებ.
- **პირადი საფრთხე.** სავარაუდო მსხვერპლს მიაჩნია, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების შემთხვევაში მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება, რადგან მას არა აქვს ინდივიდუალური შემოსავალი და მთლიანად დამოკიდებულია მოძალადეზე.
- **მსხვერპლები თვლიან, რომ მათი მდგომარეობა არ გამოსწორდება.** ვითარება მაინც არ შეიცვლება, ვინაიდან აღნიშნულმა ღონისძიებებმა ნაცნობების ოჯახში მსგავს შემთხვევებში შედეგი ვერ გამოიღო.

მიუხედავად ზემოაღნიშნული თავისებურებებისა, პოლიციელი ვალდებულია ყურადღებით დააკვირდეს გამოსაკითხი პირის ქცევას, მის სხეულზე არსებული დაზიანებების თავისებურებებს, გაანალიზოს გამოსაკითხი პირის მონათხრობი და, თუ აღნიშნული გარემოებების ყოველმხრივი გამოკვლევა მიიყვანს გადაწყვეტილებამდე, რომ სახეზეა კანონმდებლობით გათვალისწინებული ძალადობის რომელიმე ფორმა, მიიღოს გადაწყვეტილება შემაკავებელი ორდერის გამოცემის თაობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი არ აკონკრეტებს ოჯახში ძალადობის ადგილს, არც იმ ფაქტს, ოჯახის წევრები ერთჭერქვეშ ცხოვრობენ თუ არა. ამ კანონის მიზნებისათვის მნიშვნელობა არ აქვს ძალადობაში მონაწილე პირთა ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს და არც შემთხვევის ადგილს. ასეთ შემთხვევაში ოჯახში ძალადობად უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი ინციდენტი, რომელიც მოხდა ზემოაღნიშნულ პირთა შორის, მიუხედავად იმისა, ეს ადამიანები ერთად ცხოვრობენ თუ არა, ან/და ძალადობა მოხდა საცხოვრებელ ბინაში, თუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე (მაგალითად, ყოფილი მეუღლეები, რომლებიც

ერთჭერქვეშ აღარ ცხოვრობენ, სადაო საკითხების განსახილველად შეხვდნენ დასასვენებელ პარკში). გამომდინარე აქედან, პოლიციელი ვალდებულია, ნებისმიერ შემთხვევაში მოახდინოს რეაგირება, თუკი ძალადობის ინცინდენტი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ოჯახის წევრთა შორის მოხდა. აუცილებელია, დაფიქსირდეს ინფორმაციის მიმწოდებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები, შემდგომში ამ პირთან კონტაქტის დამყარების მიზნით; ასევე ძალადობის ფაქტის ჩადენის ზუსტი მისამართი, ინფორმაცია ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის, მოძალადის და მათი რაოდენობის შესახებ; სხვა ინფორმაცია, მაგალითად: ხდება თუ არა ძალადობა შეტყობინების მომენტში, აგრეთვე ინფორმაცია ოჯახის სხვა წევრთა შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცოდნა იმისა, ხომ არ იმყოფებიან ოჯახში არასრულწლოვნები.

ინფორმაციის მიღებისთანავე, თუ ამის შესაძლებლობა არის, პოლიციელმა უნდა გადაამოწმოს მონაცემები ერთიან საინფორმაციო ბანკში, ძალადობის ადგილის მისამართის მიხედვით. ადრეც ხომ არ ყოფილა გამოძახება ოჯახში ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით. ასეთი ფაქტის არსებობის შემთხვევაში უნდა გაირკვეს, რა ღონისძიებები გატარდა ადრე; ძალაში არის თუ არა კონფლიქტის მონაწილე პირთა მიმართ შემაკავებელი ან დამცავი ორდერი. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, ვინ იყო დაფიქსირებული ძალადობის მხარეებზე; ხომ არ არის რაიმე დამატებითი ინფორმაცია მოძალადის შესახებ; აქვს თუ არა მოძალადეს ალკოჰოლურ ან ნარკოტიკულ საშუალებების მოხმარებისადმი მიდრეკილება; აქვს თუ არა მას ნასამართლეობა ან რაიმე სამართალდარღვევაზე დაკისრებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა; ირიცხება თუ არა მასზე, ან ოჯახის სხვა წევრზე ცეცხლსასროლი იარაღი.

მორიგე ჯგუფი ვალდებულია, პირველადი ინფორმაციის მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ გამოცხადდეს ძალადობის ადგილზე. გაცილებით ეფექტური იქნება, თუ ზემოაღნიშნულ ინფორმაციას პოლიციელთა ჯგუფი მიიღებს შემთხვევის ადგილზე გამგზავრების პერიოდში ოპერატიული მორიგისაგან. ოპერატიულ მორიგეს ასევე შეუძლია, საინფორმაციო ბაზის გარდა ინფორმაცია მოიძიოს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურის მიერ წარმოებული უბნის პასპორტიდან და საჭირო ცნობები დროულად გადასცეს შეტყობინებაზე რეაგირების განმახორციელებელ ჯგუფს.

შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტი ოჯახის თითოეული წევრისათვის მეტად ფაქიზი საკითხია და თავი შეიკავონ პირველივე შემხვედრისათვის მისვლის მიზეზის გაცნობისაგან.

თუ პირველადი ინფორმაციით ოჯახში ძალადობის ერთ-ერთი მონაწილე მაინც ქალი, ან არასრულწლოვანია, მათთან კონტაქტის გადავიღებისთვის, სასურველია, შემთხვევის ადგილზე გამოცხადდეს აგრეთვე ქალი პოლიციელი (თუ ძალადობის მსხვერპლ ქალს ახსნა-განმარტებას მამაკაცი პოლიციელი ჩამოართმევს, შესაძლებელია, ამ გარემოებამ მოძალადე მამაკაცზე უარყოფითად იმოქმედოს. ზოგიერთ შემთხვევაში არასრულწლოვნებთანაც შეიძლება უფრო ეფექტური იყოს ქალი პოლიციელის გასაუბრება).

შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ინფორმაცია ოჯახის შესახებ ამ ოჯახის თითოეული წევრის პირადი საიდუმლოებაა. მისი დარღვევის ნებისმიერი შემთხვევა მხოლოდ კანონის ფარგლებში და ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად უნდა მოხდეს. თუმცა დაზარალებულის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაც პოლიციელის ვალდებულებაა. თითოეული ადამიანის პირადი უფლებების დაცვა საჯარო ინტერესს წარმოადგენს და აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის.

თუ პირველადი ინფორმაციით, ძალადობა უშუალოდ შეტყობინების მიღების მომენტში ხდება, პოლიციელი პირდაპირ გამოცხადდება ძალადობის მისამართზე და ძალადობის აღსაკვეთად კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა ზომას მიმართავს. აუცილებლობის შემთხვევაში, არსებული წინააღმდეგობის დასაძლევად, კანონიერებისა და პროპორციულობის სრული დაცვით გამოიყენებს მის უფლებამოსილებაში არსებულ ძალას, როგორცაა, ფიზიკური იძულება, ან კონტროლის სპეციალური საშუალებების გამოყენება: ხელბორკილი, ხელკეტი, ელექტროშოკი და სხვა. პოლიციელის მიერ ძალის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი და პირობები მოცემულია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში, კერძოდ, მის მესამე თავში.

არ არის გამორიცხული, შემთხვევის ადგილზე გამოცხადებულ პოლიციელს საცხოვრებელი სახლის კარები არ გაუღონ. თუ ასეთ გარემოებას თან ერთვის სახლიდან გამოსული ხმაური და ხმამაღლა ლაპარაკი, ბავშვების ტირილის ხმა და პოლიციელს უჩნდება გონივრული ეჭვი, რომ ბინაში რაღაც კანონსაწინააღმდეგო ხდება, ის, ვიდრე ვითარებაში არ გაერკვევა, ვალდებულია, მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება.

ოჯახში შესვლის დროს პოლიციელმა უნდა გაითვალისწინოს საინფორმაციო ბაზაში არსებული ინფორმაცია, გამოიჩინოს მაქსიმალური სიფრთხილე საკუთარი თავისა და სხვა პირთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამასთან, დააშორიშოროს მხარეები, განცალკევებით დაკითხოს სავარაუდო მსხვერპლი, მოწმე, მოძალადე, აგრეთვე ოჯახის არასრულწლოვანი წევრი, საუბარი წერილო-

ბით დააფიქსიროს. წერილობითი ახსნა-განმარტებები ჩამოართვას ძალადობის მოწმეებსა და ოჯახის სხვა წევრებს. სასურველია, პოლიციელმა გამოსაკითხი პირისაგან თანხმობის მიღების შემდეგ, საუბრის აუდიო ჩანაწერი გააკეთოს, რომელსაც დაურთავს საქმის მასალებს.

პოლიციელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მოძალადეს და მისი არც ერთი მოქმედება ყურადღების გარეშე არ დატოვოს, რათა დროულად აღიკვეთოს მოძალადის მიერ სხვისი ან საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა. ამასთან, სავარაუდო მოძალადის დაკითხვისას სასურველია, პოლიციელმა გაითვალისწინოს შემდეგი:

- კონფლიქტის მონაწილე მხარეები დაკითხოს ცალ-ცალკე, მინიმუმადე შეამციროს სავარაუდო მოძალადის ჩარევა მსხვერპლის დაკითხვაში;
  - ყურადღებით მოისმინოს ეჭვმიტანილის ვერსია მომხდარის თაობაზე;
  - ყურადღება გაამახვილოს ყველა იმ გარემოებაზე, რაზეც ეჭვმიტანილი უთითებს;
  - აკონტროლოს სიტუაცია, არ მისცეს საშუალება ეჭვმიტანილს სხვა მიმართულებით წაიყვანოს საუბარი (მათ შორის გაიხსენოს წარსული, ისაუბროს კონფლიქტის წინა ისტორიებზე და ა.შ.);
  - თავი აარიდოს ბრალდებებს ეჭვმიტანილის მისამართით, რათა არ გამოიწვიოს მისი გაღიზიანება;
  - თუ ეჭვმიტანილი აღელვებულია, დააწყნაროს იგი.
  - გააცნობიეროს და გაითვალისწინოს ეჭვმიტანილის მდგომარეობა, მისი წუხილი, სიბრაზე, გაღიზიანება.
  - დააფიქსიროს და ოქმში ასახოს ეჭვმიტანილის უნებური აღიარებები, „ცოტა დავარტყი კიდეც“, „ვაიძულე ჩემთვის მოესმინა“, „ვაიძულე ანგარიში გაენია ჩემთვის“ და ა.შ.
  - ნუ ეტყვის ეჭვმიტანილს, რომ მსხვერპლმა გამოიძახა პოლიცია (მიუთითოს, რომ არ აქვს თქმის უფლება, რომ მას მხოლოდ გადასცეს ინფორმაცია გამოძახების თაობაზე და ა.შ.)
  - პირდაპირი და მარტივი შეკითხვების დასმით გამოიკვლიოს:
- \* კონფლიქტის დაწყებისა და მისი განვითარების ქრონოლოგია;
  - \* პირები, რომლებიც შეესწრნენ კონფლიქტს;
  - \* მიყენებული დაზიანებები, სამედიცინო დახმარების საჭიროება;
  - \* კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები.



მომხდარი ინციდენტის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღება პირდაპირ არის დაკავშირებული პოლიციელის პროფესიონალიზმთან. მისი გარეგნული მონესრიგებულობა, თავაზიანობა და კეთილგანობა, დამაჯერებელი საუბარი, რიგითი მოქალაქეებისათვის გასაგებ ენაზე კანონის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, წარმატების მიღწევის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

დამტვრეული ავეჯი ან სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები, სავარაუდოდ მსვერპლის სხეულის ხილულ ადგილებზე არსებული ჩალურჯებები, ან სხვა დაზიანებები, ნამტირალევი თვალები, ფერმკრთალობა, საერთო სისუსტე ან სხეულის გამოფიტვა, როდესაც ოჯახის საერთო მდგომარეობა, ერთი შეხედვით, ეკონომიკურ გაჭირვებაზე არ მიანიშნებს, საკმარისია იმის სავარაუდოდ, რომ ოჯახში შეიძლება მომხდარიყო ძალადობა. ასეთ დროს პოლიციელი მეტი გულისყურით უნდა მოეკიდოს დაზარალებულს, გააცნოს მას თავისი უფლებები, განუმარტოს ძალადობის არსი და მისი განმეორებითი ხასიათი (თუ ძალადობა ერთხელ მოხდა და ის რეაგირების გარეშე დარჩა, დიდია ალბათობა იმისა, რომ ის კიდევ განმეორდეს. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი მოქმედება); სავარაუდოდ მსხვერპლს აუხსნას შემაკავე-

ბელი ორდერის არსი და ამ ორდერით გათვალისწინებული დაცვის დროებითი ღონისძიების დანიშნულება; შეეცადოს განუმარტოს მას, რომ უმჯობესია ადრეულ ეტაპზევე მოხდეს ძალადობის აღკვეთა, ვიდრე ის უფრო მძიმე, აგრესიულ ფორმაში გადაიზრდება და აუცილებელი გახდება მოძალადის მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული უფრო მკაცრი ღონისძიებების განხორციელება.

ასეთი ძალისხმევის მიუხედავად, თუ მაინც ვერ მოხერხდა სავარაუდო მსხვერპლის მიერ ძალადობის ფაქტის აღიარება, პოლიციელმა მას უნდა დაუტოვოს საკითარი საკონტაქტო ინფორმაცია. შემთხვევის ადგილზე გამოცხადების შესახებ შეავსოს შესაბამისი ოქმი, რომელსაც წარუდგენს უშუალო უფროსს. შესაძლებელია, პოლიციელი დამატებით გაესაუბროს ადამიანს, რომელმაც აცნობა პოლიციას ძალადობის ფაქტის შესახებ და სთხოვოს მას, იყოს ყურადღებით, ეჭვის გაჩენის შემთხვევაში კვლავაც დაუკავშირდეს. თუ ამ პიროვნებას სავარაუდო მსხვერპლთან ახლო მეზობლური ურთიერთობა აკავშირებს, სთხოვოს მას, შეეცადოს მსხვერპლს ესაუბროს და დაარწმუნოს პოლიციის დახმარების აუცილებლობაში.

მსხვერპლი შეიძლება აღიარებდეს ძალადობის ფაქტს, ან არ აღიარებდეს მას და სხეულზე არსებულ დაზიანებებს საყოფაცხოვრებო ტრამვით ხსნიდეს (ხელი დაენვა, გაეჭრა სამზარეულოში საქმიანობის დროს, ან მის სხეულზე არსებული ჩალურჯებები სააბაზანოში ფეხის დაცურების შედეგად მიიღო), მაგრამ ითხოვდეს გადაყვანას სამედიცინო დანესებულებაში. პოლიციელი უზრუნველყოფს მსხვერპლის გადაყვანას სამედიცინო დანესებულებაში.

აუცილებლობის შემთხვევაში, მსხვერპლის თხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში პოლიციელი ასევე უზრუნველყოფს მისი ან/და არასრულწლოვანი მსხვერპლის გადაყვანას თავშესაფარში; სხვა ადგილზე მსხვერპლის გადაყვანის შემთხვევაში ეხმარება მას საცხოვრებელი ადგილიდან პირველადი საჭიროების ნივთებისა და საიდენტიფიკაციო დოკუმენტების წაღებაში. საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში, პირველ ყოვლისა, მოიაზრება მოქალაქის პირადობის მონმობა, პასპორტი, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული სურათიანი და ბეჭდით დამონმებული ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტობის დადგენა, არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მონმობა.





მდგომარეობის გართულების თავიდან ასაცილებლად, პოლიციელი ვალდებულია, უზრუნველყოს იმ პირის უსაფრთხოება, რომელმაც აცნობა ძალადობის ფაქტის თაობაზე. მოწმეს უნდა გადაეცეს პოლიციის საკონტაქტო ინფორმაცია და განემარტოს, რომ მოძალადის მხრიდან მუქარის ან ძალადობის ნებისმიერი ფორმის გამოვლენის შემთხვევაში, შეუძლია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს პოლიციას. გარდა ამისა, თუ მოძალადე პირდაპირ მიანიშნებს, რომ შეეცდება, სამაგიერო გადაუხადოს მოწმეს, გააფრთხილონ, რომ მის მიმართ განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. იმ შემთხვევაში, როდესაც მუქარა სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების შესახებ მკაფიოდ და დამაჯერებლად იქნება გამოხატული, თუ მუქარის ადრესატს ანუ იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდება მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, შესაძლებელია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის საფუძველზე აღიძრას სისხლის სამართლის საქმე.

შეტყობინებაზე რეაგირების შემდეგ, თუ მტკიცებულებათა (ასხნა-განმარტებები, ნივთიერი მტკიცებულებები) სრული და ობიექტური გამოკვლევით დადასტურდება ოჯახში ძალადობის ფაქტი, პოლიციელი, კანონით დადგენილი წესით, გასცემს შემაკავებელ ორდერს ერთ თვემდე ვადით. იმ შემთხვევაში, თუ გამოცემული არ იქნება შემაკავებელი ორდერი, პოლიცია შეავსებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 5 მაისის № 415 ბრძანებით დამტკიცებულ „ოჯახში კონ-

ფლიქტების აღრიცხვის ბარათს“, რომელსაც 5 დღის ვადაში წარუდგენს სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თუ პოლიციელის მიერ გამოცემულ შემაკავებელ ორდერს სასამართლო არ დაამტკიცებს, ეს გარემოება არ შეიძლება გახდეს პოლიციელისადმი დისციპლინური დევნის ან სხვა სახის შეზღუდვის საფუძველი.

უნდა აღინიშნოს აღინიშნოს, რომ პოლიციელთა ფუნქციებში შედის ასევე ძალადობის აღკვეთის ღონისძიების შემდგომ პერიოდზე ზრუნვაც. პოლიციელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ მისი წასვლის შემდეგ კონფლიქტისა და ძალადობის საკითხი ოჯახის წევრთა განსჯის საგანი იქნება და ოჯახში არ უნდა დატოვოს ისეთი ვითარება, რომელიც შემდეგ მდგომარეობის კიდევ უფრო გართულებას გამოიწვევს.

#### **4.2. ოჯახში ძალადობის ფორმების იდენტიფიცირება**

ოჯახში ძალადობის ფაქტის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის იდენტიფიცირებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ძალადობის ფორმის იდენტიფიცირებისა და მისი ხარისხის განსაზღვრის საკითხები. როგორც ზემოთ აღინიშნა: „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით, განსაზღვრულია ოჯახში ძალადობის შემდეგი ფორმები: ფიზიკური ძალადობა, ფსიქოლოგიური ძალადობა, ეკონომიკური ძალადობა, სექსუალური ძალადობა და იძულება. ძალადობის თითოეული ფორმის აღწერა-დახასიათებას, მათ გამიჯვნასა და სრულყოფილ იდენტიფიკაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ოჯახში ძალადობის ფაქტზე ადეკვატური რეაგირებისათვის.

კანონის მიხედვით, **ფიზიკური ძალადობა** არის – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რომელიც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

კანონის მიხედვით, **ფიზიკური ძალადობის ყველაზე მსუბუქი** გამოვლინებაა ცემა, ანუ ერთდროულად რამდენიმე დარტყმა, ან ერთჯერადი ძლიერი დარტყმა რომელიც ფიზიკურ ტკივილს იწვევს. დარტყმა, რომელსაც ფიზიკური ტკივილი, ან დაზიანება არ მოჰყოლია, ცემად ვერ ჩაითვლება. ძალადობის ყველაზე მძიმე გამოხატულება შეიძლება იყოს ისეთი აგრესიული მოქმედებები, რომლებსაც შედეგად სიცოცხლის მოს-

პოზა მოჰყვება. ამ ვითარების გათვალისწინებით, ფიზიკური ძალადობის გარეგნული ნიშნები შეიძლება იყოს:

- შეშუპებები და დასიებული სახე, რომელიც, შესაძლებელია, წარმოშობილიყო ფიზიკური ზემოქმედებით;
- ძვლოვანი მოტეხილობები;
- სხვადასხვა წარმოშობის ჭრილობები;
- სხვადასხვა წარმოშობის დამწვრობები (გავარვარებული საგნით, ადუღებული სითხით და სხვა);
- ან სხვა ისეთი ნიშანი, რომელიც ფიზიკური ძალადობის აშკარა კვალზე მიუთითებს (ამოგლეჯილი თმა, ახეული ყური და სხვა);
- ცუდად ნამკურნალები ფიზიკური დაზიანებები.

**სექსუალური ძალადობა** არის – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;

სექსუალური ძალადობა ხელყოფს ადამიანის სქესობრივ თავისუფლებას, პირის უფლებას, თვითონ აირჩიოს სქესობრივი პარტნიორი. მოძალადე სქესობრივ კავშირს ამყარებს ძალადობით ან ძალადობის მუქარით. სექსუალური ძალადობა აგრეთვე ხელყოფს სქესობრივ ხელშეუხებლობას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ კანონით დადგენილ შემთხვევაში, პირთან სქესობრივი კავშირი დაუშვებელია მისი თანხმობის შემთხვევაშიც კი. ეს პირები შეიძლება იყვნენ თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლი ახალგაზრდები ან პირები, რომლებიც ფსიქიკური ან სხვა მდგომარეობის გამო იმყოფებიან უმწეო მდგომარეობაში.

სქესობრივ ძალადობად ითვლება აგრეთვე გარყვნილი ქმედება არასრულწლოვანის მიმართ. აღნიშნული ქმედებები, ისევე როგორც ფიზიკური ძალადობის შემთხვევები სისხლისსამართლებრივი რეაგირების საფუძველს ქმნის და მათი ზუსტი კვალიფიკაციისათვის გასათვალისწინებელი იქნება სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური კრიტერიუმი. ჩვენს შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მოძალადე და დაზარალებული ამ კანონით გათვალისწინებული მიზნებისათვის ოჯახის წევრები არიან, რაც პოლიციელის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევები ორდერის გამოცემის აუცილებლობას წარმოშობს, მიუხედავად იმისა, დაიწყება თუ არა გამოძიება. ძალადობის ამ ფორმის გამოვლენის ძირითადი ინდიკატორები უმეტესად ემთხვევა ფიზიკური ძალადობის ინდიკატორებს, ვინაიდან აქაც ზოგ შემთხვევაში ფიგურირებს ძალადობა, თუმცა შეიძლება დამატებითი ინდიკატორების გამოყოფაც:

- მსხვერპლი თავს არიდებს მომხდარის შესახებ საუბარს, ან, პირიქით, გადამეტებულად საუბრობს მასზე;
- სექსობივი კავშირის თემაზე საუბრობს საკმაოდ გახსნილად და ასაკთან შედარებით უჩვეულოდ გათვითცნობიერებულად გამოიყურება;
- სავარაუდო მსხვერპლს უჭირს სიარული, ფეხის ტერფების ან სხეულის სხვა ნაწილში არსებული მწვავე ტკივილების გამო;
- კიდურებზე შეიმჩნევა სისხლჩაქცევები ან სხვა სახის დაზიანებები, რომლებიც წააგავს ძალადობის, ვთქვათ ხელების გადაგრეხვის შედეგს;
- ყელის ან კისრის არეში შეიმჩნევა მოჭერის შედეგად წარმოშობილი დაზიანებები.

**ფსიქოლოგიური ძალადობა** არის – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც ინვეს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას.

ძალადობის ამ ფორმის განსაკუთრებული ბუნება იმაში გამოიხატება, რომ გარდა დამოუკიდებლად არსებობისა, ის ძალიან ხშირად (არ არის გამორიცხული ყოველთვის) ახლავს ძალადობის სხვა დანარჩენ ოთხ ფორმასაც. ბუნებრივია, თუ ადამიანი ერთხელ მაინც გახდა რაიმე ფორმის ძალადობის მსხვერპლი, მას ასეთი ფაქტების განმეორების შიში ყოველთვის ექნება. შესაძლებელია, ძალადობა უშუალოდ მსხვერპლზე არ ხორციელდებოდეს, მაგრამ ოჯახის სხვა წევრებს შორის არსებული ძალადობრივი ურთიერთობები ამ პიროვნებაზეც დამრთავუნველად მოქმედებდეს, მისი ხანდაზმულობის, მცირეწლოვანობის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო. ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებული ყურადღება და პროფესიული აღლოა საჭირო იმისათვის, რომ ოჯახის რომელიმე წევრი ყურადღებისა და შესწავლის გარეშე არ დარჩეს.

ფსიქოლოგიური ძალადობის ინდიკატორი შეიძლება იყოს შემდეგი გარემოებები:

- პოსტ-ტრავმული სტრესი;
- ფსიქოლოგიური გაუმართაობა (არაადეკვატური რეაქცია, შეკითხვებზე არაადეკვატური პასუხები);
- დაძაბული სიტუაციის დროს შიშის გამოვლენა;
- შთაბეჭდილება, რომ დასმულ კითხვაზე პასუხობს წინასწარ მომზადებული პასუხებით;
- მსხვერპლის საერთო დაბნეულობა და შეკითხვებზე პასუხებისგან თავის არიდება.

**ეკონომიკური ძალადობა** არის – ქმედება, რომელიც ინვეს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობით,

ბისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით განსაზღვრულია ოჯახის წევრთა ურთიერთდახმარებისა და ზრუნვის ვალდებულებები. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის თანახმად, ქორწინება ემყარება მეუღლეთა თანასწორუფლებიანობასა და ნებელობას. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1182-ე მუხლის მიხედვით: „მეუღლეები მოვალენი არიან, მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს“, ხოლო ამავე კოდექსის 1183-ე მუხლის მიხედვით: „შრომისუუნარო მეუღლე, რომელსაც დახმარება სჭირდება მეუღლისაგან, სარჩოს მიღების უფლებას ინარჩუნებს განქორწინების შემდეგაც, თუ იგი შრომისუუნარო გახდა განქორწინებამდე, ან ერთი წლის განმავლობაში განქორწინების დღიდან“.

აღსანიშნავია მშობლეთა მოვალეობები შვილების მიმართ. სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის მიხედვით: „მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. მშობლებს აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება“.

ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1218-ე მუხლის მიხედვით: „შვილები მოვალენი არიან, იზრუნონ მშობლებისათვის და დაეხმარონ მათ. სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილები მოვალენი არიან, არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ“, ხოლო სამოქალაქო კოდექსის 1223-ე მუხლი ითვალისწინებს და-ძმების ურთიერთრჩენის მოვალეობას, რომლის მიხედვით: „დები და ძმები, რომელთაც საკმაო სახსრები აქვთ, მოვალენი არიან, არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი დები ან/და ძმები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ“. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172-ე მუხლი ითვალისწინებს მშობლების ან მათი შემცველი პირების ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას „ბავშვების აღზრდისა და სწავლების მოვალეობის შეუსრულებლობისათვის“.

ეკონომიკური ძალადობის ინდიკატორად შეიძლება დასახელდეს შემდეგი გარემოებები:

- სამედიცინო დახმარების არ აღმოჩენის ნიშნები;
- საკვების მიუღებლობა, შიმშილი და გამოფიტვა;
- გაუწყლობა;
- ცუდი პირადი ჰიგიენა.

ძალადობის მე-5 ფორმაა **იძულება** ე.ი. – ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება,

რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;

იძულება ნიშნავს პიროვნების თავისუფალი ქმედების შეზღუდვას ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით. სწორედ ამიტომ ძალადობის ამ ფორმის არსებობისას, შესაძლოა, სახეზე გვქონდეს გარეგანი გამონატყულების ნებისმიერი ის ინდიკატორი, რომელიც ძალადობის სხვა ფორმებს ახასიათებს. ამ თავისებურების გათვალისწინებით, იძულების გამოსაკვეთად აუცილებელია გამოკითხვით მიღებული ინფორმაციების ურთიერთშეჯერება. იძულების ყველაზე მეტად გავრცელებული და გამოკვეთილი ფორმებია: მათხოვრობის იძულება (მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლით, არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში), ანდა ხანდაზმულისათვის ანდერძის შედგენის იძულება და სხვა.

იძულებად არ ჩაითვლება ისეთი ქმედება, როდესაც პიროვნებას ოჯახის წევრები შეასრულებინებენ ისეთ მოქმედებას, რაც მათი ვალდებულებაა. მაგალითად, არასრულწლოვანს აღვიძებენ დილით ადრე, რათა არ დააგვიანოს სასწავლებელში, ბავშვს აძალებენ გაკვეთილის სწავლას, ან უკრძალავენ რაიმე ანტისაზოგადოებრივი ქმედების განხორციელებას, ავადმყოფს აიძულებენ (რა თქმა უნდა ცივილური მეთოდებით და არა რაიმე სამედიცინო ექსპერიმენტის განხორციელების მიზნით) წამლის დაღვევას და სხვა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის შესაბამისად, იძულება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს და, თუ რეაგირების დროს მოძალადის მიმართ დაიწყება სისხლისსამართლებრივი დევნა, ეს გარემოება არ გამორიცხავს მოძალადის მიმართ შემაკავებელი, შემდგომში კი დამცავი ორდერის გამოცემის შესაძლებლობას.

#### **4.3. ოჯახში ძალადობის არასრულწლოვან მსხვერპლთა იდენტიფიცირება**

სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნები არიან. ბავშვთა უფლებები დაცულია სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომლებიც რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია 1989 წლის 20 ნოემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ბავშვის უფლებათა კონვენცია“, რომელიც საქართველოში ძალაშია 1994 წლის 21 აპრილიდან.

კონვენციის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული

ბავშვის ყველა უფლებას, რომელიც ამ კონვენციით არის გათვალისწინებული. ამასთან, იღებენ ყოველგვარ აუცილებელ ზომას დისკრიმინაციის ყველა იმ ფორმისა და სასჯელისაგან ბავშვის დაცვის უზრუნველსაყოფად, რომლებიც უკავშირდება ბავშვის, ბავშვის მშობლის, კანონიერი მეურვეების ან ოჯახის სხვა წევრთა სტატუსს, საქმიანობას, მათ მიერ გამოთქმულ შეხედულებებს და მათ მიერ გამჟღავნებულ მრწამსს.

კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით, ბავშვის მიმართ ნებისმიერ ღონისძიების გატარებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ ახორციელებს ამას, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვის უკეთეს უზრუნველყოფას.

მონაწილე სახელმწიფოები, ითვალისწინებენ რა ბავშვის მშობლის, ბავშვის მიმართ პასუხისმგებლობის მტვირთველი კანონიერი მეურვეებისა და სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, ვალდებულებას იღებენ, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და მზრუნველობით, რომელიც აუცილებელია მისი კეთილდღეობისათვის და ამისათვის იღებენ ყველა საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომას.

აღსანიშნავია, რომ კონვენციის მე-19 მუხლი ითვალისწინებს ნორმას, რომლის მიხედვით: „მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომას იღებენ იმ მიზნით, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტად გამოყენებისაგან, მზრუნველობის მოკლებებისა თუ დაუდევარი მოპყრობისაგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან, სექსუალური ბოროტების ჩათვლით. დაცვის ასეთი ღონისძიებები აუცილებლობის შემთხვევაში მოიცავს ეფექტურ პროცედურებს სოციალური პროგრამების შემუშავებისათვის იმ მიზნით, რათა აუცილებელი მხარდაჭერა აღმოუჩინონ ბავშვს და იმ პირებს, ვინც მასზე ზრუნავს, აგრეთვე ხელი შეუწყონ ბავშვთა მიმართ სასტიკი დამოკიდებულების ზემოთაღნიშნული გამოვლინებების თავიდან აცილების, წინასწარი გამომჟღავნების, შეტყობინების, განსახილველად გადაცემის, გამოძიების, მკურნალობის და სხვა ღონისძიებების განხორციელებას, აუცილებლობის შემთხვევაში კი – სასამართლო პროცედურის აღძვრას.

კონვენციის ზემოაღნიშნულ დებულებათა გათვალისწინებით, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, უფრო მკაცრი პასუხისმგებლობის ზომებია გათვალისწინებული იმ შემთხვევაში, თუ მართლსაწინააღმდეგო ქმედებით არასრულწლოვნის უფლებები ირღვევა ან იზღუდება.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე შეიცავს რიგ სპეციალურ ნორმებს, რომლებიც დაკავშირებულია ოჯახში ძალადო-

ბის შემთხვევებში, არასრულწლოვანთა დაცვასთან. კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-14 მუხლის მიხედვით: „არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს და განიხილავს საქმეს. არასრულწლოვან მოსარჩელეს უფლება აქვს, არ დაეთანხმოს თავის საპროცესო წარმომადგენელს და თვითონ დაიცვას თავი. სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეში ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო“. იმავე მუხლის მიხედვით, დამცავი ორდერის გამოცემისას სასამართლო განიხილავს არასრულწლოვანთან მოძალადე მშობლის (მშობლების) ურთიერთობის საკითხს. არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის კვალის არსებობისას სასამართლოს წინაშე სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეიძლება დაისვას დროებითი ღონისძიების სახით მოძალადე მშობლისაგან (მშობლებისაგან) არასრულწლოვნის განცალკევების საკითხი.

აღსანიშნავია, რომ მითითებული კანონი შეიცავს ნორმას, რომლის მიხედვით, არასრულწლოვანზე წარმომადგენლის უფლების საკითხის განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ მოძალადე მშობლისათვის წარმომადგენლის უფლების დატოვება საზიანოა არასრულწლოვნის ინტერესებისათვის. ამასთან, კანონი დაუშვებლად მიიჩნევს მშობლებისათვის არასრულწლოვანზე ერთობლივი მეურვეობის დატოვებას, თუ არსებობს მის მიმართ ერთ-ერთი მშობლის მხრიდან ძალადობის საფუძვლიანი ვარაუდი.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არასრულწლოვნის მოტაცების თავიდან აცილებისა და მათი სხვა სახის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხს. კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-15 მუხლის მიხედვით: „სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით განსაზღვრავს მოძალადე მშობლის მიერ არასრულწლოვნის მონახულების ვადებს. მოძალადე მშობელს არასრულწლოვნის მონახულების უფლება შეიძლება მიეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიმართ დაცული იქნება უსაფრთხოების ყველა ზომა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს არასრულწლოვნის მონახულების ადგილს, დროს, პერიოდულობას, ხანგრძლივობას და პირს, რომელიც პასუხისმგებელია არასრულწლოვნის უსაფრთხოების მოთხოვნების/ზომების დაცვაზე“. ამასთან, თუ არასრულწლოვნის მიმართ უსაფრთხოების ზომები დაცული არ იქნება, იზღუდება მოძალადე მშობლის მიერ არასრულწლოვნის მონახულების უფლება“. უფრო მეტიც, აღნიშნული კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით: „მოძალადის მიერ არასრულწლოვნის მოტაცების ან მისთვის სხვა სახის ზიანის მიყენების რეალური საფრთხის არსებობისას სასამართლოს გადაწყვეტილებით



მოძალადეს შეიძლება აეკრძალოს მისი მონახულების უფლება გარემოების შეცვლამდე“.

2010 წლის 31 მაისს გამოცემულ იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანება №152/ნ-№496-№45/ნ „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ბრძანება მრავალ სხვა საკითხთან ერთად ასევე ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნების დაცვის, დახმარებისა და იდენტიფიცირების წესსა და პირობებს.

აღნიშნული ბრძანების მე-5 მუხლის მიხედვით, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემა მოიცავს: ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენას; ბავშვის მდგომარეობის შეფასებას; საჭიროების შემთხვევაში ბავშვის განთავსებას მომსახურებაში ან მომსახურებებში, რომელიც ხელს შეუწყობს მის უსაფრთხოებას და რეაბილიტაციას; შემთხვევაზე ზედამხედველობას.

ბრძანების მიხედვით, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტებია საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურები, სოციალური მომსახურების სააგენტო, სკოლები, ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებები (ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებები, ბავშვთა სახლები, დღის ცენტრები, მცირე საოჯახო ტიპის სახლები), სამედიცინო დაწესებულებები და სოფლის ექიმები.

ამ პროცედურების ფარგლებში საპატრულო პოლიციისა და საუბნო სამსახურების უფლებამოსილებაში შედის: ბავშვზე ძალადობის ფაქტების გამოვლენა, აღკვეთა, შესაბამისი სამართალწარმოება, ძალადობის მსხვერპლთა დაცვა, სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმირება. საუბნო სამსახურები თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩართული არიან ძალადობის მსხვერპლ ბავშვზე ზედამხედველობის პროცესში.

ბრძანების მე-6 მუხლის მიხედვით: „ბავშვზე ძალადობის შემთხვევის გამოვლენა ევალეზა ყველა დაწესებულებას, რომელიც ურთიერთობს ბავშვთან, მათ შორის სკოლას, სამედიცინო დაწესებულებას, სოფლის ექიმს, ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებას, სააგენტოს, საუბნო სამსახურსა თუ საპატრულო პოლიციას“.

ბრძანების მე-8 მუხლი განსაზღვრავს პოლიციის უფლებებსა და ვალდებულებებს ბავშვზე ძალადობის გამოვლენის შემთხვევაში. აღნიშნულის მიხედვით: „საპატრულო პოლიციაში ინფორმაციის მიღებისთანავე საპატრულო პოლიცია ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე. იმ ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც განსაზღვრული არ არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის

დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნული ფუნქციის განხორციელებას უზრუნველყოფენ საუბნო სამსახურები. ადგილზე მისვლისას საპატრულო პოლიციამ/საუბნო სამსახურმა უნდა განახორციელოს შემდეგი ქმედებები: შეისწავლოს და შეაფასოს მდგომარეობა; გაესაუბროს სავარაუდო მსხვერპლს, მოძალადეს, ოჯახის წევრებს, მოწმეებს და საჭიროების შემთხვევაში, მეზობლებს; მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვთან დაკავშირებით; გამოიძახოს სასწრაფო დახმარება ან, უკიდურეს შემთხვევაში, თავად გადაიყვანოს ბავშვი სამედიცინო დაწესებულებაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის მიზნით (თუ ბავშვის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება); ბავშვი მარტო ან მშობელთან/ოჯახის წევრთან ერთად გადაიყვანოს უსაფრთხო გარემოში და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში გამოწეროს შემთხვევითი ორდერი; აღნიშნული შემთხვევის შესახებ სატელეფონო ზარის საშუალებით დაუყოვნებლივ აცნობებს სოციალური მომსახურების სააგენტოს, შემთხვევის ადგილზე შეადგინოს გასაუბრების ოქმი ბავშვზე ძალადობის ფაქტისა და მიღებული ზომების შესახებ.

ამასთან, სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის სატელეფონო ზარით გადაცემული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს: პოლიციელის სახელს, გვარს, თანამდებობას; ბავშვის სახელსა და გვარს; ასაკს, მისამართს; გამოძახების ადგილს, თუ იგი განსხვავდება ბავშვის საცხოვრებელი მისამართისგან; ძალადობის ან ძალადობის ეჭვის მოკლე აღწერას; პოლიციის მიერ ჩატარებული ქმედებების ჩამონათვალს.

ბრძანების მიხედვით, პოლიცია საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ბავშვის გადაყვანას უსაფრთხო გარემოში მშობელთან ან ოჯახის წევრთან ერთად, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში მარტო. ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ოჯახიდან მისი გაყვანა წარმოადგენს უკიდურეს ზომას. გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის აზრი, იმის შესახებ, თუ სად განთავსდება იგი.

მშობელთან/ოჯახის წევრთან ერთად ან მის გარეშე ბავშვის უსაფრთხო გარემოში გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაძლოა, განხილულ იქნეს შემდეგი ალტერნატივები:

- ბავშვი განთავსდება ოჯახის წევრთან, რომელიც სხვა მისამართზე ცხოვრობს;
- ბავშვი განთავსდება ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებებში, რომელთა ჩამონათვალს პოლიციას მიაწვდის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- ბავშვი განთავსდეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურულ ერთეულში – თავშესაფარში, რომელთა შესახებ ინფორმაციას პოლიციას მიაწვდის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს

დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი.

აღსანიშნავია, რომ ბრძანების მიხედვით, არასრულწლოვანი ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირება უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ სამხილებს, რომელიც შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ნიშნებს:

- ბავშვის სხეულზე დაზიანებების ნიშნების არსებობა (სილურჯეები, ახალი ჭრილობები, ახალი ნაკანრები, ახალი იარები, გაძნელებული სიარული, შეშუპებული სხეულის ნაწილები, მოტეხილობები);
- ბავშვის საეჭვო ქცევა (ბავშვი აღგზნებულია, დათრგუნულია, აქვს შიშები, არ უნდა სკოლაში სიარული, არარეგულარულად დადის სკოლაში, არ სწავლობს, მოუფლელია, არ უნდა სახლში დაბრუნება, ასაკის შეუფერებლად სექსუალურია, აქვს სექსის შესახებ ასაკისთვის შეუფერებელი ცოდნა, რადიკალურად შეეცვალა ხასიათი, ვერ ხსნის ტრავმის მიზეზებს).

წარმოშობილი ეჭვის საფუძვლიანობა უნდა დადგინდეს შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

- ბავშვზე სხეულის დაზიანების არსებობისას ბავშვი აცხადებს, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;
  - მონმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;
  - მშობლის არაადეკვატური ქცევა, როგორცაა:
- ა) ბავშვის ტრავმის სიმძიმე არ შეესაბამება ტრავმის მიღების შესახებ მშობლის მონათხრობს;
- ბ) მშობლის მონათხრობის დეტალები მუდმივად იცვლება;
- გ) მშობელი არაადეკვატურად რეაგირებს ბავშვის ტრავმაზე – ტრავმას აფასებს უფრო მსუბუქად, ვიდრე არის;
- დ) ტრავმის მიზეზის ახსნა არ ხდება.

საეჭვო ქცევის არსებობისას ბავშვის გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორები:

- ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;
- მონმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;

ან არსებობს მხოლოდ:

- ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;
- მონმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ბრძანების მიხედვით, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ეფექტური ფუნქციონირებისათვის აღნიშნულ პროცედურებში ჩართულ სუბიექტებს შორის ბავშვის შესახებ ინფორმაციის გაცვლა ხდება. ამასთან, თუ ეს შესაძლებელია, ინფორმაციის გაცვლა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ფარგლებში პოლიციას უზრუნველყოფს შემდეგი სახის ინფორმაციის აღწერას, შეგროვებასა და გადაცემას: პოლიციის თანამშრომელი ბავშვზე ძალადობის ან შესაძლო ძალადობის შესახებ სატელეფონო შეტყობინებას აწვდის სოციალური მომსახურების სააგენტოს; პოლიცია აწარმოებს ბავშვზე ძალადობის შემთხვევების რეესტრს, რომელიც ხელმისაწვდომია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტებისათვის.

#### **4.4. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირება ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის მიერ**

როგორც ზემოთ აღინიშნა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირებას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ თანამშრომლებთან და სასამართლოსთან ერთად ახორციელებს ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი). აღნიშნული ჯგუფის მიერ ოჯახში ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირებისა და სტატუსის განსაზღვრის წესი მოცემულია საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 ოქტომბრის №665 ბრძანებულებით დამტკიცებულ „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესში“.

ბრძანებულების მიხედვით, ოჯახში ძალადობის დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს საუბნო სამსახურებისა და სასამართლოსათვის მიუმართაობის შემთხვევაში, ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის იდენტიფიცირებას ახდენს ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი.

მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი იქმნება ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განხორციელებული საუწყებათაშორისო საბჭოს მიერ. ჯგუფი შედგება არანაკლებ 3 პირისაგან, მათ შორის სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგისა და იურისტისაგან.

იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთი-

სათვის არ გამოიყენება „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 თავით გათვალისწინებული დამცავი ან შემაკავებელი ორდერი, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის პირველადი იდენტიფიცირებისა და სავარაუდო მსხვერპლისთვის სტატუსის განსაზღვრის საკითხს იხილავს მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი შესაბამისი უფლებამოსილი სუბიექტის მიმართვიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი პირისათვის ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის თაობაზე გადანყვეტილებას იღებს უფლებამოსილი ორგანიზაციებისაგან წარმოდგენილი ინფორმაციისა და შევსებული სპეციალური საიდენტიფიკაციო კითხვარების საფუძველზე. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეხვედეს სავარაუდო მსხვერპლს.

სპეციალური საიდენტიფიკაციო კითხვარი ივსება უფლებამოსილი საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრების შედეგად, რომელიც წარედგინება მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფს, მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი აღნიშნული კითხვარის საფუძველზე განიხილავს პირისათვის სავარაუდო მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის საკითხს.

მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი პირისათვის სავარაუდო მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის შესახებ გადანყვეტილებას იღებს ხმათა ორი მესამედით.

სავარაუდო მსხვერპლისათვის სტატუსის განსაზღვრის შემდეგ, თუ სავარაუდო მსხვერპლი გამოთქვამს სურვილს თავშესაფარში მოთავსების თაობაზე, იგი, შესაძლებელია, გადაყვანილ იქნეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში, ხოლო სტატუსის განსაზღვრამდე, მისი სურვილისამებრ, შესაძლებელია განთავსდეს კრიზისულ ცენტრში.

სავარაუდო მსხვერპლისათვის სტატუსის მინიჭებისას მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი მას აწვდის ინფორმაციას საკუთარი უფლებების შესახებ, მათ შორის თავშესაფრით, კრიზისული ცენტრითა და სხვა პროგრამებით სარგებლობის შესახებ.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ოჯახური ძალადობა, სოციალ-პოლიტიკური ასპექტები, საერთაშორისო პრაქტიკა და მიდგომები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი 2006 წ.
2. ოჯახური ძალადობა ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი 2006 წ.
3. ოჯახური ძალადობის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები, მარინე მესხი, თბილისი 2008 წ.
4. ოჯახური ძალადობა: სამართალდამცავი ორგანოების სტრატეგია, ავტორი ელენ პინსი, თარგმანი შესრულებულია მარინე და მაია მესხების მიერ, თბილისი 2006 წ.
5. დამხმარე სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ავტორთა ჯგუფი (კ. ბოჭორიშვილი, მ. მესხი, ქ. ხუციშვილი, მ. ფერაძე, ნ. სააკაშვილი, ა. აბაშიძე, ნ. შავლაყაძე, ნ. ზაზაშვილი), თბილისი 2010 წ.
6. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში, საბოლოო ანგარიში, მკვლევართა ჯგუფი (მარინე ჩიტაშვილი, ნინო ჯავახიშვილი, ლუიზა არუთინოვი, ლია წულაძე, სოფო ჩაჩანიძე), თბილისი 2010 წ.
7. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ ნორმატიული აქტების კრებული, გაეროს მოსახლეობის ფონდი, თბილისი, 2010 წ.

## გამოყენებული ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
3. „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“;
4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
5. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
7. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
8. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
9. საქართველოს შრომის კოდექსი;
10. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონი;
11. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი;
12. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;

13. საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 ოქტომბრის №665 ბრძანებულება „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“;
14. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 დეკემბრის № 625 ბრძანებულება „ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუნწყებათაშორისო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“;
15. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბრის №1079 ბრძანება „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“;
16. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 24 მარტის №333 ბრძანება „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბრის N1079 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;
17. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის №614 ბრძანებულება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;
18. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 26 აგვისტოს №875 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;
19. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 16 მაისის №634 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“;
20. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის №1310 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
21. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის 152/ნ – 496 – 45/ნ ერთობლივი ბრძანება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“;
22. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №1094 ბრძანება „ოჯახში ძალადობის დროს მოძალადისათვის ჩამორთმეული პირად საკუთრებაში არსებული იარაღის შენახვის წესისა და პირობების, აგრეთვე მოძალადისთვის სამსახურებრივ-საშუაგო

- იარაღით შეზღუდულად სარგებლობის ან/და ჩამორთმევის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“;
23. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 5 მაისის №415 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების დეტექტივ-გამომძიებლების, დეტექტივ-გამომძიებლის თანაშემწეებისა და ინსპექტორების საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2008 წლის 28 თებერვლის №103 ბრძანებაში დამატებების შეტანის თაობაზე;
  24. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვრის №55 განკარგულება „ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“;
  25. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ (საქართველოში ძალაშია 1994 წლის 21 აპრილიდან);
  26. „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია“ (რათიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1994 წლის 22 სექტემბერს).

### **გამოყენებული ინტერნეტ-რესურსები:**

1. საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდი, <http://www.parliament.ge/>
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდი, <http://www.mes.gov.ge/>
3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდი, <http://www.police.ge/>
4. საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდი, <http://www.moh.gov.ge/>
5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდი, <http://www.mes.gov.ge/>
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდი, <http://www.geostat.ge/>
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდი, <http://www.supremecourt.ge/>
8. თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებ-გვერდი, <http://www.tcc.gov.ge/>
9. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდი, <http://hcoj.gov.ge/>
10. საქართველოს სახალხო დამცველის ვებ-გვერდი, <http://www.ombudsman.ge/>
11. გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ვებ-გვერდი, <http://www.unfpa.org>



12. გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ვებ-გვერდი, <http://www.unicef.org>
13. მინესოტელი ადვოკატები ადამიანის უფლებებისათვის ვებ-გვერდი <http://www.theadvocatesforhumanrights.org/>
14. გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UNWOMEN) ვებ-გვერდი, <http://www.unwomen.org>
15. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებ-გვერდი, <http://www.gyla.ge>
16. ა.ო. „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის“ ვებ-გვერდი, <http://www.avng.ge>
17. ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში, <http://www.genderbasedviolence.ge>
18. გენდერული საინფორმაციო პორტალი <http://www.ginsc.net>

# დანართი №1

სასწავლო გეგმა თემაზე: ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

---

- საკითხები:
1. ოჯახში ძალადობის არსი, ფორმები, გამოვლინება, ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სტატისტიკა;
  2. ოჯახში ძალადობის სუბიექტები, რისკ-ჯგუფები, დინამიკა და განმაპირობებელი ფაქტორები;
  3. ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირებისა და სოციალური დაცვის მექანიზმები;
  4. ოჯახში ძალადობის ფაქტის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის იდენტიფიცირების საკითხები.

## სამართლებრივი აქტები:

1. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
2. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (თავი VII<sup>3</sup>);
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
5. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი;
6. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონი;
7. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №665 (05.10.2009) „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“;
8. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №1079 (11.09.2006) და ბრძანება №333 (24.03.2010) „შემაკავებელი ორდერისა და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე, მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“;
9. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მი-

ნისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის 152/6 – 496 – 45/6 ერთობლივი ბრძანება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“;

10. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 26 აგვისტოს №875 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;
11. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის 1094 ბრძანება „ოჯახში ძალადობის დროს მოძალადისათვის ჩამორთმეული პირად საკუთრებაში არსებული იარაღის შენახვის წესისა და პირობების, აგრეთვე მოძალადისთვის სამსახურებრივ-საშტატო იარაღით შეზღუდულად სარგებლობის ან/და ჩამორთმევის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“;
12. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვრის №55 განკარგულება „ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“.

### **დამატებითი დოკუმენტები**

1. სტატისტიკური მონაცემები ოჯახში ძალადობის ფაქტებისა და მასზე რეაგირების თაობაზე;
2. ძალადობის ბორბალი – ოჯახში ძალადობის ურთიერთობებისა და დინამიკის ამსახველი მოდელის აღწერა.

### **1. ოჯახში ძალადობის არსი, ფორმები, გამოვლინება, ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სტატისტიკა;**

*წინამდებარე თავში შესწავლილი და გაანალიზებულ უნდა იქნეს შემდეგი საკითხები:*

- ოჯახში ძალადობის პრობლემის არსი, მისი ნეგატიური ხასიათი, ოჯახში ძალადობის ფაქტების უარყოფითი გავლენა პიროვნების განვითარებაზე, მის ოჯახსა და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე, ოჯახში ძალადობის თაობაზე არსებული შეხედულებები (თეორიები) და მისი ევოლუცია-ტრანსფორმაცია.
- სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით **გაანალიზებული უნდა იქნეს** ოჯახში ძალადობის ფაქტების გავრცელების მასშტაბი, მისი სოციალური საშიშროება და მის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა, ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების პრაქტიკული გამოცდილება, დამცავი და შემეკავებელი ორდერების გაცემის დინამიკა.
- ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საქართველოში მოქმედი სამართლებრივი აქტების ზოგადი მიმოხილვა. კერძოდ, 1. „*ოჯახში ძალა-*

დობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი; 2. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსი (თავი VII3); 3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი<sup>1</sup>; 4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი; 5. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი; 6. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონი; 7. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №665 (05.10.2009) „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“; 8. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №1079 (11.09.2006) და ბრძანება №333 (24.03.2010) „შემაკავებელი ორდერისა და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე, მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრების შესახებ“; 9. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის 152/6 – 496 – 45/ნ ერთობლივი ბრძანება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“; 10. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 26 აგვისტოს №875 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“; 11. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №1094 ბრძანება „ოჯახში ძალადობის დროს მოძალადისათვის ჩამორთმეული

1 ოჯახში ძალადობის ფაქტთან შესაძლებელია დაკავშირებული იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლები – მუხლი 116 (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილობობით); მუხლი 117 (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება); მუხლი 118 (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება); მუხლი 120 (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება); მუხლი 121 (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი, ძლიერი სულიერი აღვლევების მდგომარეობაში); მუხლი 122 (ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით); მუხლი 125 (ცემა); მუხლი 126 (ძალადობა); მუხლი 127 (სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება); მუხლი 128 (განსაცდელში მიტოვება); მუხლი 137 (გაუპატიურება); მუხლი 138 (სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება); მუხლი 139 (სექსობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება); მუხლი 140 (სექსობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან); მუხლი 141 (გარყენილი ქმედება); მუხლი 143 (თავისუფლების უკანონო აღკვეთა); მუხლი 144<sup>1</sup> (წამება); მუხლი 144<sup>2</sup> (წამების მუქარა); მუხლი 144<sup>3</sup> (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა); მუხლი 150 (იძულება) მუხლი 151 (მუქარა) მუხლი 155 (რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა) მუხლი 157 (პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფა); მუხლი 158 (კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა); მუხლი 168 (შრომის თავისუფლების ხელყოფა); მუხლი 171 (არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში); მუხლი 175 (შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება); მუხლი 176 (ალიმენტის გადახდისათვის ჯოჯბად თავის არიდება); მუხლი 181 (გამომძალავა).

პირად საკუთრებაში არსებული იარაღის შენახვის წესისა და პირობების, აგრეთვე მოძალადისთვის სამსახურებრივ-საშტატო იარაღით შეზღუდულად სარგებლობის ან/და ჩამორთმევის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“; 12. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვრის №55 განკარგულება „ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“.

- განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საქართველოში მიღებულ სპეციალური საკანონმდებლო აქტს - „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონს, მისი მიღების საფუძველსა და მნიშვნელობას, კანონის არსს, მის მიზნებსა და რეგულირების სფეროს;
- ოჯახში ძალადობის საკანონმდებლო დეფინიცია, მისი დამახასიათებელი ნიშნები, გამოვლენის ფორმები, ძალადობის სახეები - ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობა ან იძულება, კანონში გამოყენებული აღნიშნული სპეციფიკური ტერმინების განმარტება.

**ოჯახში ძალადობა** - გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით;

**ფიზიკური ძალადობა** - ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

**ფსიქოლოგიური ძალადობა** - შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;

**იძულება** - ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის სანაღმდეგო ზემოქმედება;

**სექსუალური ძალადობა** - სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმნეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;

**ეკონომიკური ძალადობა** - ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.

**„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი, მე-3 და მე-4 მუხლები**

**2. ოჯახში ძალადობის სუბიექტები, რისკ-ჯგუფები, დინამიკა და განმაპირობებელი ფაქტორები.**

წინამდებარე თავში შესწავლილი და გაანალიზებულ უნდა იქნეს შემდეგი საკითხები:

- ოჯახში ძალადობის სუბიექტები ანუ იმ პირთა წრე, რომლებიც შესაძლებელია მონაწილენი იყვნენ ოჯახური ძალადობის ფაქტის და რომლებზეც ვრცელდება „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ისეთი სპეციფიკური ტერმინების არსი და მნიშვნელობა, როგორცაა „ოჯახის წევრი“, „მსხვერპლი“, „მოძალადე“ და ა.შ.

**ოჯახის წევრი** – დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები და მათი ოჯახის წევრები, მეურვე;

**მსხვერპლი** – ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება;

**მოძალადე** – ოჯახის წევრი, რომელიც ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას ოჯახის სხვა წევრის მიმართ;

- ოჯახში ძალადობის მახასიათებლები და განმაპირობებელი ფაქტორები, მიზეზები, რაც უმეტეს შემთხვევაში ოჯახში ძალადობის საფუძველი ხდება, ფაქტორები, რის გამოც ძალადობის მსხვერპლი უარს ამბობს მოძალადის საწინააღმდეგოდ განცხადების შეტანაზე შესაბამის ორგანოებში; მიზეზები, რომლის გამოც მსხვერპლი არ ტოვებს მოძალადეს, ყურადღება უნდა დაეთმოს „ძალადობის ბორბალს“, მის არსსა და მახასიათებლებს.
- ოჯახში ძალადობის ძირითადი რისკ-ჯგუფები, ოჯახური ძალადობის ფაქტების ზრდაზე სხვადასხვა ფაქტორებისა და გარემოებების გავლენა (სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ჩვეულებები და ეთნიკურ-კულტურული შეხედულებები, ემოციური ფაქტორები, თანაცხოვრების პირობებში წარმოქმნილი სირთულეები და შეუთავსებლობა თანაცხოვრებისას, მავნე ჩვეულებებისადმი (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია და ა.შ.) მიდრეკილება და ა.შ.),

ოჯახური ძალადობის ნეგატიური გავლენა არასრულწლოვნის აღზრდასა და განვითარებაზე, ბავშვის ფსიქოლოგიის ფორმირების თავისებურებანი ოჯახში ძალადობის პირობებში, ბავშვისათვის დამახასიათებელი ქცევა, ოჯახში ძალადობის გარემოში აღზრდის შედეგად, ასევე ოჯახში ძალადობისას არასრულწლოვნის სამართლებრივი დაცვისა და მოძალადე მშობლისაგან განცალკევების საკითხები.

**„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის ვ), ზ), თ) ქვეპუნქტები, მე-14 და მე-15 მუხლები; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის 152/ნ – 496 – 45/ნ ერთობლივი ბრძანება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“;**

### **3. ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირებისა და სოციალური დაცვის მექანიზმები;**

წინამდებარე თავში შესწავლილი და გაანალიზებულ უნდა იქნეს შემდეგი საკითხები:

- საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ის ძირითადი მექანიზმები, რომლებიც დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის გამოვლენასა და აღკვეთასთან, მოძალადის მიმართ სპეციალური იძულებითი ღონისძიებების გამოყენებასა და მსხვერპლის დაცვასთან, კერძოდ, შესწავლილი უნდა იქნეს ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები.

**სისხლისსამართლებრივი მექანიზმები** – მექანიზმები, რომლებიც გამოიყენება ოჯახში ძალადობის იმ ფაქტის შემთხვევაში, რომელიც შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს.

**სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმები** – მექანიზმები, რომლებიც გამოიყენება ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები** – მექანიზმები, რომლებიც გამოიყენება შემაკავებელი/დამცავი ორდერის გამოცემის სახით, აგრეთვე მაშინ, თუ სამართალდარღვევა თავისი ხასიათით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა შესაძლებელია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების გამოყენებით.

- დამცავი და შემაკავებელი ორდერების არსი, მათი გამოცემის, ძალში შესვლისა და გასაჩივრების წესი და პროცედურა, დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემის უფლების მქონე სუბიექტები,

ასევე დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული საკითხების ნუსხა, დამცავი ორდერების გამოცემასთან დაკავშირებული სამართალწარმოების სპეციფიკა, შემაკავებელი ორდერის ფორმა და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმა. დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებულ საკითხებზე ზედამხედველობის საკითხები და საუბნო პოლიციის როლი აღნიშნულ სფეროში.

- მოძალადის მიერ დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისას, მის მიმართ ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმების გამოყენების საკითხი (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381<sup>1</sup> მუხლი და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლი 175<sup>2</sup>).
- პოლიციის ფუნქციები და უფლებამოვალეობები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით, პოლიციის საქმიანობის წესი ოჯახში ძალადობის პრევენციის, მისი გამოვლენის, ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებულ პირთა (მსხვერპლთა) დაცვისა და უსაფრთხოების სფეროში, შემაკავებელი ორდერის გამოცემის წესი და პირობები, დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებულ საკითხებზე ზედამხედველობის წესი.
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ის დანაშაულები, რომლებიც თავისი არსით შესაძლებელია დაკავშირებული იქნეს ოჯახში ძალადობასთან, ასევე მსგავსი ტიპის დანაშაულებზე რეაგირების მექანიზმები. ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმების გამიჯვნისა და მათი გამოყენების თავისებურებანი.
- მოძალადისათვის იარაღის, როგორც ოჯახში ძალადობისას მომეტებული საფრთხის შემცველი საგნის ჩამორთმევის ან/და აღნიშნულით სარგებლობის უფლების შეზღუდვის საკითხები.
- ოჯახში ძალადობაზე პრევენციის განმახორციელებელი სუბიექტები. კერძოდ, ის სახელმწიფო ორგანოები და მათი უფლებამოსილებები, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის შესაბამისად უზრუნველყოფენ ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებას. კერძოდ: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (პროკურატურა) და სასამართლო ორგანოები, მათი ფუნქციები, როლი და უფლება-მოვალეობები ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და თავიდან აცილების საქმეში.



- საქართველოს კანონმდებლობით ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის გათვალისწინებული ისეთი სოციალური დაცვის მექანიზმები, როგორცაა მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლებითა (თავშესაფრები) და კრიზისული ცენტრებით უზრუნველყოფის საკითხები, მათი ფორმირების, ფუნქციონირებისა და მათში მსხვერპლთა განთავსების წესი და პირობები, ოჯახში ძალადობასთან მიმართებაში არსებული სოციალური მომსახურების სისტემა და მომსახურების ფორმები, ოჯახში ძალადობის საკითხების თაობაზე მოქმედი „ცხელი ხაზის“ სისტემა, მისი მუშაობის სპეციფიკა.

**„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12 და მე-13, მე-17, მე-18, მე-19, მე-20 მუხლები, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 21<sup>12</sup> – 21<sup>15</sup> მუხლები, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონი, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 26 აგვისტოს №875 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“; საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის 1094 ბრძანება „ოჯახში ძალადობის დროს მოძალადისათვის ჩამორთმეული პირად საკუთრებაში არსებული იარაღის შენახვის წესისა და პირობების, აგრეთვე მოძალადისთვის სამსახურებრივ-სამშაგრო იარაღით შეზღუდულად სარგებლობის ან/და ჩამორთმევის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“;**

#### **4. ოჯახში ძალადობის ფაქტის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის იდენტიფიცირების საკითხები**

წინამდებარე თავში შესწავლილი და გაანალიზებულ უნდა იქნეს შემდეგი საკითხები:

- ოჯახში ძალადობის ფაქტისა და მონაწილე სუბიექტების დადგენის პროცედურა და მეთოდოლოგია, ოჯახში ძალადობის ფაქტის მონაწილეთა და მოწმეთა გამოკითხვის წესი, ოჯახში ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის იდენტიფიცირების პროცედურა, ოჯახში ძალადობის ფაქტის უშუალო ადგილზე იდენტიფიცირებისას პირველადი სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელების მეთოდოლოგია.
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის განცალკევებისა და შემდგომი სამართლებრივი რეაგირების ღონისძიებების განსაზღვრის საკითხები (მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრა, შემაკავებელი ორდერის გაცემა, სასამართლოსადმი მიმართვა დამცავი ორდერის გაცემის მოთხოვნით, მოძალადის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის ღონისძიებების დაწყება, მსხვერპლის დაცვის უზრუნველყოფა, მისი თავშესაფარში ან/და ანტიკრისიზული ცენტრში მოთავსება და ა.შ.).

- ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირების ადეკვატური სამართლებრივი მექანიზმების შერჩევის საკითხები (სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები).

*„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 და მე-16<sup>1</sup> მუხლები, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (თავი VI<sup>1</sup>); „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №665 (05.10.2009), საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №1079 (11.09.2006) და ბრძანება №333 (24.03.2010) „შემაკავებელი ორდერისა და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე, მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“.*

## დანართი №2

სასწავლო მოდული თემაზე: ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

---

### განსახილველი საკითხები:

1. ოჯახში ძალადობის არსი, ფორმები, გამოვლინება, ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სტატისტიკა;
2. ოჯახში ძალადობის სუბიექტები, რისკ-ჯგუფები, დინამიკა და განმაპირობებელი ფაქტორები;
3. ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირებისა და სოციალური დაცვის მექანიზმები;
4. ოჯახში ძალადობის ფაქტის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის იდენტიფიცირების საკითხები.

### მიმოხილვა:

შესასწავლი საკითხების გაცნობისა და სწავლების მიზნით გამოყენებული იქნება თეორიული ცოდნის გადაცემისა და ინფორმაციის ინტენსიური მიწოდების მეთოდები, ასევე პრაქტიკული სავარჯიშოები

### მიზნობრივი ჯგუფი:

პოლიციის აკადემიის სტუდენტები, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები

### მონაწილეთა რაოდენობა: 15-დან 25-მდე<sup>2</sup>

---

2 25 მონაწილეზე მეტის არსებობა ჯგუფში რისკის ქვეშ აყენებს სასწავლო პროცესით დაგეგმილი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, რადგან გართულებული იქნება სასწავლო პროცესის ყველა მონაწილის სწავლაში თანაბრად და სრულფასოვნად ჩართულობის უზრუნველყოფა; იდეალური იქნება შემთხვევა, თუ ჯგუფში 15-დან 20 მონაწილემდეა, რადგან საგრძნობლად გაიზრდება სასწავლო პროცესის ეფექტურობა და უზრუნველყოფილი იქნება ყველა მონაწილის აქტიური ჩართულობა; მიზანშეუწონელია 15-ზე ნაკლები მონაწილის არსებობა ჯგუფში, რადგან გართულება მცირე ჯგუფებში პრაქტიკული სავარჯიშოების ჩატარების შესაძლებლობა

**ხანგრძლივობა:** 6 საათი<sup>3</sup>

**მიზანი:**

სასწავლო კურსის დასასრულს სასწავლო პროცესის მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ ზოგადი წარმოდგენა ოჯახში ძალადობის პრობლემისა და რისკ-ჯგუფების, ოჯახში ძალადობის არსის, მის წინააღმდეგ საქართველოში მოქმედი სამართლებრივი აქტებისა (კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები) და მასთან ბრძოლის პრაქტიკული ასპექტების შესახებ.

**დოკუმენტები:**

1. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
2. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (თავი VII<sup>3</sup>);
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
5. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი;
6. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონი;
7. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №665 (05.10.2009) „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“;
8. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №1079 (11.09.2006) და ბრძანება №333 (24.03.2010) „შემაკავებელი ორდერისა და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე, მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“;
9. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის 152/6 – 496 – 45/6 ერთობლივი ბრძანება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“;
10. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 26 აგვისტოს №875 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;

---

<sup>3</sup> წინამდებარე აღწერილობაში მოხსენიებული 1 აკადემიური საათი 50 წუთიანი ხანგრძლივობის მქონე სესიის ტოლფასია

11. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის 1094 ბრძანება „ოჯახში ძალადობის დროს მოძალადისათვის ჩამორთმეული პირად საკუთრებაში არსებული იარაღის შენახვის წესისა და პირობების, აგრეთვე მოძალადისთვის სამსახურებრივ-საშტატო იარაღით შეზღუდულად სარგებლობის ან/და ჩამორთმევის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“;
12. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვრის №55 განკარგულება „ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“.
13. სტატისტიკური მონაცემები ოჯახში ძალადობის ფაქტებისა და მასზე რეაგირების თაობაზე;
14. ძალადობის ბორბალი – ოჯახში ძალადობის ურთიერთობებისა და დინამიკის ამსახველი მოდელის აღწერა.

## ინსტრუქცია:

### **1. ოჯახში ძალადობის არსი, ფორმები, გამოვლინება, ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სტატისტიკა (1 საათი და 15 წუთი).**

შესასწავლი საკითხის განხილვა დაიწყეთ აუდიტორიისათვის ზოგადი ხასიათის ინფორმაციის მიწოდებით, რაც დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის პრობლემასთან, მის სოციალურ საშიშროებასა და ნეგატიურ შედეგებთან, მის წინააღმდეგ ბრძოლის სირთულესა და სპეციფიკასთან, მიმოიხილეთ ოჯახში ძალადობის თაობაზე არსებული შეხედულებები (თეორიები) და მათი ევოლუცია-ტრანსფორმაციის საკითხები.

პრობლემის არსის უკეთ წარმოდგენის მიზნით სასურველია მოიყვანოთ სტატისტიკური მონაცემები და უკანასკნელი კვლევის შედეგები ოჯახური ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით, პროცენტული მაჩვენებლებისა და მისი დინამიკის მითითებით, ასევე თუ რამდენი ქალი და არასრულწლოვანი ხდება ყოველწლიურად ოჯახში ძალადობს მსხვერპლი. მსმენელებისათვის მიწოდებული მონაცემები უნდა ეფუძნებოდეს რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდოლოგიას და ეყრდნობოდეს, როგორც აღნიშნულ სფეროში არსებულ ოფიციალურად აღრიცხულ მონაცემებს (რომელიც შესაბამის სახელმწიფო ორგანოებიდან იქნება მიღებული), ასევე სხვადასხვა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ კვლევისას დაფიქსირებულ მონაცემებს. მიწოდებული სტატისტიკური მონაცემები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ოჯახში ძალადობის გავრცელებული სახეობის, დაფიქსირებული რაოდენობის, გაცემული დამცავი და შემაკავებელი ორდერების რაოდენობის, ოჯახში ძალადობის გამოვლენილი ფორმებისა და ძალადობის გავრცელებული სახეობების მიხედვით. ამასთან, სასურველია სტატისტიკური მონაცემები

ნარდგენილი იქნეს განზოგადებული სახით ქვეყნის ცალკეული რეგიონებისა და დიდი ქალაქების მიხედვით, ასევე, სხვა ქვეყნებში არსებული მდგომარეობის აღწერით.

პრობლემის არსის გამოკვეთის შემდეგ მიმოიხილეთ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, ჩამოთვალეთ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ არსებული ძირითადი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, ყურადღება გაამახვილეთ „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონზე, მის მიღების საფუძვლებზე, მნიშვნელობაზე, კანონის მიზნებსა და რეგულირების სფეროზე. მიმოიხილეთ კანონში მოცემული ძირითადი ცნებები და დებულებები, რომლებიც შეეხება ოჯახში ძალადობის დეფინიციას, ოჯახის წევრის ცნებას, ძალადობის სახეებს, ოჯახში ძალადობის გამოვლენის ფორმებსა და დამახასიათებელ ნიშნებს.

ინფორმაციის გადაცემის, საკითხის უკეთ აღქმისა და ოჯახში ძალადობის პრობლემის თაობაზე მსმენელთა წარმოდგენების გაგების მიზნით შესაძლებელია ისარგებლოთ შემდეგი მეთოდის საშუალებით:

ტრენინგის მონაწილეებს დაუსვით შეკითხვა, თუ რა წარმოდგენა აქვთ მათ ოჯახში ძალადობაზე, მათი აზრით ყველაზე ხშირად ძალადობის რომელი ფორმები და სახეები არის დამახასიათებელი ოჯახში ძალადობისათვის, რა ნიშნებით ხასიათდება ძალადობის თითოეული ფორმა, რა უარყოფითი შედეგით ხასიათდება აღნიშნული მოვლენა.

აღნიშნულის მიზნით შესაძლებელია:

- დანეროთ კონკრეტული შეკითხვა ან განსახილველი საკითხი ყველასათვის ადვილად დასანახ ადგილზე (მაგალითად, დაფაზე);
- სთხოვოთ მონაწილეებს შემოგთავაზონ თავიანთი იდეები და ჩამოწეროთ ისინი ყველასათვის დასანახ ადგილზე;
- მოუწოდოთ ყველას შეიტანოს თავისი წვლილი პროცესში;
- მიუთითოთ, რომ მიზანშეწონილია პასუხები გამოხატული იყოს ერთი სიტყვით ან მოკლე ფრაზით;
- გადახედო ყველა შემოთავაზებულ წინადადებას და მოითხოვეთ კომენტარი მას შემდეგ, რაც სასწავლო პროცესის მონაწილეებს იდეები ამოწურებათ;
- შეაჯამოთ და განაზოგადოთ მოწოდებული პასუხები.

მითითებული პროცესის შედეგად მსმენელებისაგან უნდა მიიღოს პასუხები, რომლითაც მეტ-ნაკლებად გამოვლენილი იქნება ოჯახში

ძალადობის დამახასიათებელი ფორმები, თითოეული ფორმის დამახასიათებელი ნიშნები. შეეცადეთ მსმენელთა მიერ შემოთავაზებულ ფორმები დააჯგუფოთ საკანონმდებლო დეფინიციის შესაბამისად (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობა და იძულება), ამასთან, თუ რომელიმე ჩამოთვლილი ძალადობის ფორმა არ იქნება დასახელებული, შეეცადეთ მსმენელებთან ერთად გამოავლინოთ ოჯახში ძალადობისათვის დამახასიათებელი ყველა ფორმა, თითოეული ფორმისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

## **2. ოჯახში ძალადობის სუბიექტები, რისკ-ჯგუფები, დინამიკა და განმაპირობებელი ფაქტორები (1 საათი და 15 წუთი).**

საკითხის განხილვის პირველ ეტაპზე მსმენელების ყურადღება გაამახვილეთ ოჯახში ძალადობისათვის დამახასიათებელი ისეთი სპეციფიკური ტერმინების განმარტებაზე, როგორცაა „მსხვერპლი“, „მოძალადე“ და „ოჯახის წევრი“. დეტალურად მიმოიხილეთ თითოეული ცნების განმარტება და მათი შინაარსობრივი რაობა „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

შემდგომ ეტაპზე მსმენელებს მიაწოდეთ ინფორმაცია ოჯახში ძალადობის რისკ-ჯგუფების თაობაზე არსებული შეხედულებების თაობაზე, მიმოიხილეთ ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ოჯახში ძალადობის ძირითად განმაპირობებელ გარემოებებს წარმოადგენენ, კერძოდ, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ჩვეულებები და ეთნიკურ-კულტურული შეხედულებები, ემოციური ფაქტორები, თანაცხოვრების პირობებში წარმოქმნილი სირთულეები და შეუთავსებლობა თანაცხოვრებისას, მავნე ჩვეულებებისადმი (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია და ა.შ.) მიდრეკილება და ა.შ. მიმოიხილეთ ოჯახში ძალადობის მსხვერპლების თაობაზე არსებული შეხედულებები, რომელთა მიხედვით ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს, როგორც წესი, უპირატესად წარმოადგენენ ქალები და არასრულწლოვნები.

საკითხის განხილვის შემდეგ ეტაპზე ყურადღება გაამახვილეთ ძალადობრივ ოჯახებში მცხოვრებ არასრულწლოვნებზე, ოჯახში ძალადობის ფაქტების ნეგატიურ ზეგავლენაზე არასრულწლოვანის აღზრდასა და განვითარებაზე, მისი ფსიქოლოგიის ფორმირების თავისებურებებზე, ოჯახში ძალადობისას არასრულწლოვნის სამართლებრივი დაცვისა და მოძალადე მშობლისაგან განცალკევების საკითხებზე.

შემდგომი 15 წუთის განმავლობაში აუდიტორიას წარუდგინეთ ოჯახში ძალადობის დინამიკისა და განმაპირობებელი ფაქტორების ისეთი კომპონენტები, როგორცაა:

- ოჯახში ძალადობის მახასიათებლები;
- მიზეზები, რომლის გამოც ძალადობის მსხვერპლი უარს ამბობს მოძალადის სანინააღმდეგოდ განცხადების შეტანაზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოებში;
- მიზეზები, რომლის გამოც მსხვერპლი არ ტოვებს მოძალადეს (კერძოდ, სიტუაციური ფაქტორები, ემოციური ფაქტორები, პირადი მოსაზრებები).

სასწავლო პროცესის შემდეგ ეტაპზე გააკეთეთ „**ძალადობის ბორბლის**“ პრეზენტაცია წინასწარ მომზადებული სლაიდის მეშვეობით. მიმოიხილეთ ძალადობის ბორბლის სტადიები, მათ შორის ურთიერთკავშირი, დეტალურად აღწერეთ თითოეული სტადია სათანადო მაგალითების მითითებით. კერძოდ,

- მუქარა და იძულება;
- დაშინება;
- ემოციური ძალადობა;
- იზოლირება;
- ძალადობის უარყოფა და ქალის დადანაშაულება;
- ავშვის გამოყენება;
- მამაკაცური პრივილეგიები;
- ეკონომიკური ძალადობის გამოყენება.

პრეზენტაციის დასარულს მიზანშეწონილია გაიმართოს კითხვა-პასუხი და დისკუსია, რაც დასრულდება შესაბამისი შეჯამებით.

ოჯახში ძალადობის სხვადასხვა ფორმებისა და მათი დამახასიათებელი ნიშნების უკეთ აღქმის მიზნით, მიზანშეწონილია, სასწავლო პროცესის შემდეგ ეტაპზე ისარგებლოთ **პრაქტიკული სავარჯიშოთი**. ამ მხრივ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ინსცენირების (იგივე სიმულაციის) მოდელი.

**ინსცენირება** წარმოადგენს პრაქტიკულ სავარჯიშოს, რომელშიც მონაწილეებს წინასწარ განსაზღვრული აქვთ როლები (ფუნქციები) და მათ ერთობლიობაში უნდა წარმოადგინონ მცირე სიუჟეტი (თეატრალური დადგმა), რომელშიც ასახული იქნება კონკრეტული (განსახილველი) სიტუაცია.



ინსცენირების მიზნით მონაწილეები დაყავით მცირე ჯგუფებად ისე, რომ თითოეულ ჯგუფში აღმოჩნდეს არანაკლებ 5 ადამიანისა. თითოეულ ჯგუფს მიეცით დავალება მოამზადონ კონკრეტული სიუჟეტი, რომელიც ოჯახში ძალადობასა და მისი გამოვლინების სხვადასხვა ფორმას ეხება. მაგალითად, განსახილველი სიტუაციები შეიძლება იყოს შემდეგი:

- ოჯახში ძალადობის სიტუაცია, როდესაც ქმარი რეგულარულად ახორციელებს ძალადობას ცოლზე (ძალადობის ფორმად შეიძლება შერჩეულ იქნას ფიზიკური ან ეკონომიკური ძალადობა);
- ოჯახში ძალადობა არასრულწლოვანის მიმართ;
- ოჯახში ძალადობა, როდესაც მოძალადე არიან მამა ან/და ძმა/ძმები ორსული ქალის მიმართ, რომელიც გამოექცა მოძალადე ქმარს;
- ოჯახში ძალადობა, როდესაც ადგილი აქვს მოძალადის მხრიდან მსხვერპლის მიმართ სისტემატიურ დაშინებასა და მუქარას;
- ოჯახში ძალადობის ზეგავლენა არასრულწლოვანი ვაჟის დამოკიდებულებაზე შეყვარებული გოგონას მიმართ.

ჯგუფებს მიეცით 10 წუთი სიუჟეტების მოსამზადებლად და გასათამაშებლად. შემდეგ ეტაპზე თითოეულმა ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს მომზადებული ინსცენირება (არაუმეტეს 2 წუთიანი დადგმა). თითოეულ დადგმას თან უნდა ახლდეს დანარჩენი ჯგუფების მხრიდან სიტუაციის განხილვა-შეფასება და მოსაზრებების გამოთქმა ოჯახში ძალადობის წარმოდგენილ ფორმებსა და დამახასიათებელ ნიშნებზე.

### **3. ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირებისა და სოციალური დაცვის მექანიზმები (1 საათი და 15 წუთი).**

მსმენელებს მიაწოდეთ ინფორმაცია მოქმედ კანონმდებლობაში არსებულ იმ ძირითად მექანიზმების თაობაზე, რომელიც დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის გამოვლენასა და აღკვეთასთან, მიუთითეთ თითოეული მექანიზმის (სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები) არსზე, მათ განსხვავებულ სამართლებრივ ბუნებაზე, კლასიფიცირებულ სისტემასა და მათი გამოყენების თავისებურებებზე.

ყურადღება მიაქციეთ და დეტალურად მიმოიხილეთ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები, თითოეული მათგანის გამო-

ყენების პირობები და თავისებურებები, ასევე მათი გამოიჯვნის საკითხები.

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ მექანიზმებს, დამცავი და შემაკავებელი ორდერებს, მათი გამოცემის, ძალაში შესვლისა და გასაჩივრების საკითხებს, დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემის უფლების მქონე სუბიექტების მიმოხილვას, დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული საკითხების ნუსხას, დამცავი ორდერების გამოცემასთან დაკავშირებული სამართალწარმოების სპეციფიკას. მოძალადის მიერ დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისას, მის მიმართ ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381<sup>1</sup> მუხლი და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლი 175<sup>2</sup>) გამოყენების საკითხებს, მოძალადისათვის იარაღის, როგორც ოჯახში ძალადობისას მომეტებული საფრთხის შემცველი საგნის ჩამორთმევის ან/და აღნიშნულით სარგებლობის უფლების შეზღუდვის საკითხებს.

ყურადღება გაამახვილეთ და გამოყავით პოლიციის ფუნქციები და უფლებამოვალეობები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით, პოლიციის საქმიანობის წესი ოჯახში ძალადობის პრევენციის, მისი გამოვლენის, ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებულ პირთა (მსხვერპლთა) დაცვისა და უსაფრთხოების სფეროში, შემაკავებელი ორდერის გამოცემის წესი და პირობები, დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებულ საკითხებზე პოლიციის მიერ ზედამხედველობის განხორციელების წესი. გააცანით მსმენელებს ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების ის პოზიტიურ გამოცდილება, რაც ჩამოყალიბდა აშშ-ს მინესოტას შტატის ქალაქ დულუსში და რომელიც გულისხმობს ძალადობის მსხვერპლის დასაცავად განხორციელებული თანამშრომლობის უნიკალური ვარიანტს პოლიციას, სასამართლოს, პროკურატურას, პირობითი სასჯელის მქონე განსასჯელებთან მომუშავე ოფიცრებს, დაზარალებულთა ადვოკატებს, საკონსულტაციო პროგრამებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის (ე.წ. „დულუსის მოდელი“).

სასწავლო პროცესის შემდეგ ეტაპზე მსმენელებს მიანოდეთ ინფორმაცია, თუ რას გულისხმობს და მოიცავს ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები, აღწერეთ მათი შინაარსი და დატვირთვა, მათი მნიშვნელობა პრობლემის დაძლევისათვის, ასევე მიუთითეთ ის სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებას (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა და სასამართლო ორგანოები).

სასწავლო პროცესის შემდეგ ეტაპზე მსმენელებს მიანოდეთ ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის გათვალისწინებულ სოციალური დაცვის მექანიზმებზე, მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლებითა (თავშესაფრები) და კრიზისული ცენტრებით უზრუნველყოფის საკითხების თაობაზე, მათ არსსა და დანიშნულებაზე, მათი ფორმირების, ფუნქციონირებისა და მათში მსხვერპლთა განთავსების წესსა და პირობებზე, ოჯახში ძალადობასთან მიმართებაში არსებული სოციალური მომსახურების სისტემასა და მომსახურების ფორმებზე.

საკითხის დასასრულს მსმენელებს გააცანით ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სოციალური და შრომითი გარანტიები, აგრეთვე მოძალადეთა რეაბილიტაციის ღონისძიებები, ასევე ოჯახში ძალადობის საკითხების თაობაზე მოქმედი „ცხელი ხაზის“ სისტემა, მისი მუშაობის სპეციფიკა.

#### **4. ოჯახში ძალადობის ფაქტის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის იდენტიფიცირების საკითხები (1 საათი).**

მიმოიხილეთ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის ფაქტისა და მონაწილე სუბიექტების დადგენის პროცედურა, მეთოდოლოგია, სპეციფიკური თავისებურებები, ოჯახში ძალადობის ფაქტის მონაწილეთა და მონმეთა გამოკითხვის წესი, ინფორმაციის მიღებისა და გამოყენების თავისებურებები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის იდენტიფიცირების პროცედურა, ოჯახში ძალადობის ფაქტის უშუალო ადგილზე იდენტიფიცირებისას პირველადი სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელების მეთოდოლოგია. ყურადღება მიაქციეთ კონფლიქტში მონაწილე პირთა, აგრეთვე მონმეთა აღწერა-დახასიათებას, მათ ჩვენებებსა და კონფლიქტის თაობაზე მათ ვერსიასა და შეფასებას, კონფლიქტის ადგილზე არსებულ და მონაწილე სუბიექტებზე არსებულ დაზიანებების კვალს, სამართალდარღვევის თაობაზე არსებულ სხვა მტკიცებულებების შეკრებისა და მოძიების საკითხებს).

მიმოიხილეთ უნდა იქნეს ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირების ადეკვატური სამართლებრივი მექანიზმების (სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები) შერჩევის საკითხები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის განცალკევებისა და შემდგომი სამართლებრივი რეაგირების ღონისძიებების განსაზღვრის პირობები (მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრა, შემაკავებელი ორდერის გაცემა, სასამართლოსადმი მიმართვა დამცავი ორდერის გაცემის მოთხოვნით, მოძალადის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის ღონისძიებების დაწყება, მსხვერპლის დაცვის უზრუნველყოფა, მისი თავშესაფარში ან/და ანტიკრიზისული ცენტრში მოთავსება და ა.შ.).

მიწოდებული ინფორმაციის უკეთ შესწავლის მიზნით ისარგებლეთ **პრაქტიკული სავარჯიშოთი**. აღნიშნულის მიზნით მსმენელები დაყავით პატარა ჯგუფებად (პირობითად 5 ჯგუფად). შესასწავლი საკითხის თემატურობის გათვალისწინებით თითოეულ ჯგუფს გადაეცით შემდეგი მასალა:

ჯგუფი №1 – ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები (საქართველოს კანონის “ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” მუხლი 9 და 10);

ჯგუფი №2 – ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართალწარმოების თავისებურებანი (საქართველოს კანონის „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ მუხლი 16 და 16<sup>1</sup> და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №665 (05.10.2009) „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“);

ჯგუფი №3 – დამცავი ორდერის გამოცემისა და გასაჩივრების წესი (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლი 211<sup>3</sup>);

ჯგუფი №4 – შემაკავებელი ორდერის გამოცემისა და გასაჩივრების წესი (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლი 211<sup>4</sup>);

ჯგუფი №5 – დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული საკითხები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მუხლი 211<sup>5</sup>).

მას შემდეგ, რაც მონაწილეები გაეცნობიან და შეისწავლიან მათთვის მიცემულ სასწავლო მასალას, განახორციელეთ ჯგუფების ხელახალი გადაჯგუფება ახალ 5 ჯგუფად იმის გათვალისწინებით, რომ თითოეულ ახალ ჯგუფში მოხვდეს წინა ჯგუფის თითო წევრი. მიეცით ჯგუფებს სათანადო დრო ერთმანეთისთვის ნასწავლი ინფორმაციის გასაზიარებლად. როდესაც ურთიერთსწავლების პროცესი დასრულდება, თითოეულ ჯგუფს სთხოვეთ შესასწავლი მასალის ერთი ნაწილი წარუდგინოს აუდიტორიას, ისე, რომ მოხდეს ხუთივე ნაწილის ყველას მიერ მოსმენა.

## **5. პრაქტიკული მეცადინეობა – სავარჯიშო შემაკავებელი ორდერის გაცემასთან დაკავშირებით (1 საათი).**

სავარჯიშოს მიზანს წარმოადგენს პოლიციელების მიერ ოჯახში ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირებისა და შემაკავებელი ორდერის შევსების უნარ-ჩვევების განვითარება.

ზემოაღნიშნულის მიზნით წარუდგინეთ აუდიტორიას შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმა. გამოყავით 5 წუთი აუდიტორიის პატარა

ჯგუფებად დასაყოფად და ჯგუფის შიგნით პრაქტიკული სავარჯიშოს განსახორციელებლად საჭირო როლების იდენტიფიცირებისათვის. თითოეული ჯგუფის წევრებს სთხოვეთ აილონ წინასწარ გამზადებული ქაღალდები (როლური ბარათები) შესაბამისი დავალებებით. ქაღალდებზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით თითოეულ ჯგუფში მივიღებთ მსხვერპლს, მოძალადეს, პოლიციელს და დამკვირვებელს. შეეცადეთ, რომ ყველა ჯგუფს ჰქონდეს სხვა ჯგუფებისგან განსხვავებული სიუჟეტი.

სთხოვეთ აუდიტორიას, რომ ყველა ჯგუფის თითოეული წევრი ინდივიდუალურად გაეცნოს მისთვის განკუთვნილ როლურ ბარათს, ისე, რომ არ გაუზიაროს მასში ასახული ინფორმაცია არც ჯგუფის სხვა წევრებს და არც სხვა ჯგუფების წევრებს. როლური ბარათების გასაცნობად და პრაქტიკული სავარჯიშოს განხორციელებისთვის მოსამზადებლად, მიეცით 5 წუთი.

როლური ბარათების მიხედვით თითოეულ ჯგუფში თითოეული წევრის ძირითადი ფუნქციები განისაზღვრება შემდეგნაირად:

**მსხვერპლი** – როლური ბარათი ასახავს ამბავს, რომელიც მას გადახდა და რომელიც შესაძლოა გახდეს მისი ოჯახში ძალადობის მსხვერპლად აღიარების საფუძველი. მის ფუნქციას წარმოადგენს პოლიციის თანამშრომლის კითხვებზე პასუხის გაცემა და მისთვის მომხდარის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება;

**მოძალადე** – როლური ბარათი ასახავს ამბავს, რომელიც მას გადახდა და რომელიც შესაძლოა გახდეს მისი მოძალადედ აღიარების საფუძველი. მის ფუნქციას წარმოადგენს პოლიციის თანამშრომლის კითხვებზე პასუხის გაცემა და მისთვის მომხდარის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება;

**პოლიციის თანამშრომელი** – როლური ბარათი ასახავს მის ფუნქციას კონკრეტული პირისთვის ჩვენების ჩამორთმევის გზით დაადგინოს წარმოადგენს თუ არა კონკრეტული პირი ოჯახში ძალადობის მსხვერპლს და საჭიროების შემთხვევაში გასცეს შემკავებელი ორდერი. როლურ ბარათთან ერთად პოლიციის თანამშრომელი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შემკავებელი ორდერის ოქმის ფორმებით;

**დამკვირვებელი** – როლური ბარათი ასახავს მის ფუნქციას კონკრეტულ სიტუაციაში, რომლის თანახმადაც მან უშუალო ჩარევის გარეშე უნდა მოახდინოს დაკვირვება პოლიციის თანამშრომლის მიერ კონკრეტული პირისათვის ჩვენების ჩამორთმევის პროცესზე, რომლის საფუძველზეც მოხდება შეკავების ოქმის შევსება, შესაძლოა გაიცეს შეკავების ორდერი და პირი ცნობილ იქნეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლად.

მიზანშეწონილია, რომ ყველა სიუჟეტი მიახლოებული იყოს ცხოვრებისეულ რეალობასთან და ყველა შემთხვევაში არ იყოს იოლი პირის ოჯახში ძალადობის მსხვერპლად ან მოძალადედ დადგენა და შემაკავებელი ორდერის გაცემის გადაწყვეტილების მიღება. აუცილებელია, რომ მონაწილეებს არ ჰქონდეთ განცდა, რომ ყოველი შეთავაზებული სიუჟეტის განხილვისას პირი ცნონ ოჯახში ძალადობის მსხვერპლად და გასცენ შემაკავებელი ორდერი. ამიტომაც, საჭიროა, რამოდენიმე სიუჟეტი იყოს ისე დაგეგმილი, რომ უახლოვდებოდეს ოჯახში ძალადობას, მაგრამ რეალობაში არ წარმოადგენდეს აღნიშნულს. ამგვარი სიუჟეტი ხელს შეუწყობს აუდიტორიის უნარ-ჩვევების განვითარებას სწორად იმოქმედონ და გაარჩიონ ოჯახში ძალადობის შემთხვევები სხვა სამართალდარღვევებისა თუ ქმედებებისაგან.

15 წუთის განმავლობაში ჯგუფებმა პარალელურ რეჟიმში უნდა განახორციელონ პრაქტიკული სავარჯიშო. კერძოდ, პოლიციის თანამშრომელმა შეკავების ორდერის ოქმის შევსებით (სავარაუდო მსხვერპლისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე) უნდა მოახდინოს პირთა ოჯახში ძალადობის მსხვერპლად აღიარება ან არაღიარება და აღიარების შემთხვევაში გასცეს შემაკავებელი ორდერი. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში დამკვირვებელი არ ერევა პრაქტიკული სავარჯიშოს განხორციელებაში და აკეთებს ჩანიშვნებს როგორც პოლიციის თანამშრომლის, ასევე – სავარაუდო მსხვერპლის ქმედებებზე.

სიუჟეტის გათამაშების შემდეგ მიეცით 5 წუთი დამკვირვებლებს, რომ მათ შეაჯამონ დაკვირვების შედეგები. შემდეგ სიტყვა გადაეცით თითოეულ დამკვირვებელს (2 წუთიანი დროის ლიმიტით თითოეულისათვის). მოკლე მოხსენებაში დამკვირვებელმა უნდა აცნობოს აუდიტორიას საკუთარი მოსაზრება თავის ჯგუფში წარმართულ სავარჯიშოს განხორციელებაზე, გაამახვილოს ყურადღება სავარჯიშოს განხორციელებისას დაშვებულ შეცდომებსა და უზუსტობებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სავარჯიშოს განხორციელებით მიღწეულ შედეგებზე (მოხდა თუ არა პირის ოჯახში ძალადობის მსხვერპლად ცნობა, გაიცა თუ არა შემაკავებელი ორდერი).

შეაჯამეთ სავარჯიშოს შედეგები და დისკუსიის რეჟიმში განიხილეთ ის შეცდომები და უზუსტობები, რომლებიც დაშვებულ იქნა მონაწილეთა მიერ სავარჯიშოს განხორციელების სტადიაზე (5 წუთი).

*შენიშვნა: სასწავლო პროცესის დასასრულს ტრენინგის ყველა მონაწილეს გადაეცით საკანონმდებლო აქტების, შემაკავებელი ორდერის ფორმები და სასწავლო პროცესში გამოყენებული სლაიდების ასლები.*


## დანართი №3

ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული  
სტატისტიკა  
(საქართველოსა და უცხო ქვეყნების აგალითზე)


---



### 2009 წლის შსს სტატისტიკა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით




### 2009 წლის ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით გაცემული შემაკავებელი ორდერების სტატისტიკა რეგიონების მიხედვით






### 2010 წლის შსს სტატისტიკა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით




### 2010 წლის ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით გაცემული შემაკავებელი ორდერების სტატისტიკა რეგიონების მიხედვით

2010 წელი




2010 წლის თბილისის საქალაქო  
სასამართლოს სტატისტიკა

2010 წელი




- შემაკავებელი ორდერის დამტკიცება (115)
- დამცავი ორდერის გამოცემა (22)

I ინსტანციის სასამართლოებში გამოცემული  
დამცავი და დამტკიცებული  
შემაკავებელი ორდერების სტატისტიკა




- შემაკავებელი ორდერი
- დამცავი ორდერი

## 2009 წლის სტატისტიკა რეგიონების მიხედვით




## 2010 წლის სტატისტიკა რეგიონების მიხედვით




2009 წლის სტატისტიკა რეგიონების მიხედვით ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებასთან დაკავშირებით გადანყვეტილების გამოტანით განხილული ადმინისტრაციული რაიონების შესახებ

■ განხილული გადანყვეტილების გამოტანით      ■ მათ შორის დამაკმაყოფილებელია




2010 წლის სტატისტიკა რეგიონების მიხედვით ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებასთან დაკავშირებით გადანყვეტილების გამოტანით განხილული ადმინისტრაციული რაიონების შესახებ

■ განხილული გადანყვეტილების გამოტანით      ■ მათ შორის დამაკმაყოფილებელია




## 2008 წლის უკრაინის სტატისტიკა


### 9 თვის სტატისტიკა




## 2000-2006 წლების ფინეთის სტატისტიკა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით





2002-2006 წლების ფინეთის სტატისტიკა ოჯახში  
 ძალადობასთან დაკავშირებით შსს-ში შესული  
 შეტყობინებების თაობაზე



დანაშაულის რაოდენობა





# დანართი №4

## ძალადობის ბორბალი

